






# ლიბეჩანი

№ 58 /  
27 დეკემბერი / 2010 - 16 ნოემბერი / 2011

- ბელარუსის არაღიარებული არჩევნები **გვ. 14**
- სვარტაჰისა და ცსკ-ს გულშემატკივართა საგმობლო **გვ. 18**
- მესტია, რომორც ტურისტული პროექტი **გვ. 42**
- ეკონომიკური რეცესიის ფინალი **გვ. 50**
- რატომ უნდა აჩუქო სახელმწიფოს ქონება საკუთარი ნებით? **გვ. 54**
- მონუმენტი მონუმენტის წილ **გვ. 57**
- ბანათლეაბა 2010: წელი, რომელსაც ველით **გვ. 60**
- დიდი მანევრები არტ-ინფლაციის ფონზე **გვ. 70**
- „მკვლელის ჰიბიანა“ **გვ. 74**

ფანი 2 ლარი

ISSN 1987-7528



## საქართველო 2010 წელს **გვ. 21-41**



მესტია, დეკემბერი 2010

**ნომერი:**

- 02 რედაქტორის სვეტი
- 04 ლიბერალის ვებგვერდიდან
- 06 მოკლედ  
**მსოფლიო**
- 08 მსოფლიო 2010 წელს
- 12 **ორი აზრი**  
2010 წელს თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა თუ გაუარესდა?  
**აღმოსავლეთ პარტნიორობა**
- 14 არალიარებული არჩევნები  
**მეზობლები**
- 18 სპარტაკისა და ცსკ-ს გულშემატკივართა სამშობლო  
**მთავარი თემა**
- 21 საქართველო 2010 წელს

**რეპორტაჟი**

- 42 მესტია, როგორც ტურისტული პროექტი  
**ეკონომიკა**
- 50 რეცესიის ფინალი  
**ჟურნალისტური გამოძიება**
- 54 რატომ უნდა აჩუქო სახელმწიფოს ქონება საკუთარი ნებით?  
**პოლიტიკა**
- 57 მონუმენტი მონუმენტის წილ  
**საზოგადოება**
- 59 საკონცერტო შეთანხმება  
**თვალსაზრისი**
- 60 განათლება 2010: წელი, რომელსაც ველით  
**სიმონ ჯანაშია**
- 62 განათლების სისტემაში კრიზისის  
**თამარ ამზაშვილი**

- 64 რა სარგებლობა მოაქვს START-ს  
**მარკ მალენი**
- 66 ტიტანების შერკინება 2010  
**გიორგი ცხადაია**
- 68 ტექნოლოგიები  
ქინდლიდან ფეისბუქამდე  
**კულტურა**
- 70 დიდი მანევრები არტ-ინფლაციის ფონზე
- 74 **თვალსაზრისი**  
„მკვლელის ჰიგიენა“ რატი ამალლობელი  
**სპორტი**
- 75 ჰოდა, მოყინა  
**ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 76 ველოსიპედისტების მანიფესტის მოლოდინში

**გარეკანზე:**  
საქართველო 2010 წელს



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.



2001-2003 დუღილის წლები იყო, ცვლილებები მნიშვნელოვანად.  
 2003-2005-ში გამარჯვებას ვზეიმობდით, ვიდრე რევოლუციური ხელისუფლება უცებ-უცებ და ჩქარ-ჩქარა იწყებდა ქვეყნის მართვას და ძალაუფლებით ტკობას.  
 2006-2007 წლებში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება დავიწყეთ და ახალ პოლიტიკურ ლანდშაპს კრიტიკული თვალითაც შევხედეთ; ბევრ დროს ვხარჯავდით ერთმანეთის მოსმენასა და აღმოჩენაში, ბევრს ვფიქრობდით იმისათვის, რომ გამოვფხიზლებულიყავით და პროცესებში ჩავრთულიყავით.  
 2007 წელი მართლაც წყალგამყოფი იყო. ამ წელს გამოიკვეთა საზოგადოების სულ უფრო და უფრო რადიკალურად დაპირისპირებული ორი პოლუსი.  
 2008 წელს პოლიტიკურმა ახალმა ამბებმა შეგვიქცია, ვიდრე... ომამდე.  
 2009 წელს ვინელებდით ომის შედეგებს და ვაანალიზებდით ახალ რეალობას. პოლიტიკური ოპოზიცია საკნებს დგამდა, ხალხი ქუჩაში გამოჰყავდა და მერე მატარებლის ლიანდაგებზე ტოვებდა.  
 2010 წლის შეჯამებას „ლიბერალის“ ეს ნომერი ცდილობს, მაგრამ ერთი სიტყვა, რაც თავში სულ მიტრიალებს – სტაგნაციაა. პოლიტიკური სტაგნაცია, ყოველდღიური სტაგნაცია, როცა მოვლენებმა აზრი დაკარგა იმიტომ, რომ საზრისისგან გამოიშინა. ყველაფერს უკვე თავის სახელი ჰქვია. ქვეყნის ერთი ნაწილისათვის საქართველო „პრიალეს“, მეორესთვის – ერთ ჩაკეტილ წრეზე ტრიალებს.  
 2010 წელს გვიან ღამით, „ჩუმად“ ჩამოვადეთ სტალინი და ვერ მოვახერხეთ „განსაბჭოება“. ვერც მენტალური რევოლუცია შედგა – ისევ ერთი ადამიანის გარშემო ბრუნავს ეს ქვეყანა.  
 როცა გარეთ არაფერი ხდება, ინტროსპექციის და საკუთარ თავში შებრუნების დრო დგება. ვეძებთ ახალ შიგთავსს, ახალ ადამიანებს, ახალ ენას, ვეძებთ თავისუფალ სივრცეს და სუფთა ჰაერს. ვეძებთ ახალ მექანიზმებს, რომლებიც პროცესს არსს დაუბრუნებს, რეიტინგებს, ინდექსებსა და ინსტიტუტებს რეალურ ფუნქციას შესძენს. ეს არის ყველაზე საინტერესო და არსებითი პროცესი, რომელიც მთლიანად ჩვენზე დამოკიდებული. ეს არის მუხტი, რომელიც აწვი-თარებს კაცობრიობას.

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!

P.S. „ლიბერალის“ შემდეგი ნომერი გამოვა 2011 წლის 17 იანვარს, იქამდე ესტუმრეთ ჩვენს ვებგვერდს [www.liberali.ge](http://www.liberali.ge).

შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭყავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯავაძე / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიძე  
 შურნალისტები: მია ნიკლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი  
 კონსტრუქციები: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიანი, ნინო კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, მოლი კორსო, ლექსო ჩქარყული, სიმონ ჯანაშია, თამარ ამზაშვილი, დინა ჩაჩუა, ალექსანდრ ბურიჩკო, ოლეგ ალიონოვა, ნათია ახალაშვილი, რატი ამალობელი  
 რედაქციის წევრები: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლონაძე  
 გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია  
 გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: [info@liberali.ge](mailto:info@liberali.ge)  
 სსკვ ბაბუნაშვილი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.  
 „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.  
 შურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.  
 ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.  
 გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.  
[www.liberali.ge](http://www.liberali.ge) ISSN 1987-7528



შეიძინეთ 3 ბოთლი თხილღვინო და მიიღეთ 1 ბოთლი სარუქარა!



აქსია ქალაქში 2010 წლის 15 დეკემბრიდან 2011 წლის 20 იანვარამდე შეიძლება ოქიაქვაში



9 წუთში 2347 მატარაი ზღვის ღონიდან



საინტერესოა, რატომ მოყვა ამ საბა- გირო გზის გახსნას ამდენი ვერსია, ჯერ ამბობდნენ, რომ ტექნიკური შეცდომებია, მერე კი უთოვლობააო. ფაქტია, რომ რალაციის გამო არ იხსნება ეს საბაგირო გზა და ამის თქმას პირდაპირ ერიდებიან. ჩემი აზრით, არ არის გამორიცხული უთოვლობასთან ერთად საბაგირო გზის ტექნიკური გაუმართაობაც ერთ-ერთი მიზეზი იყოს.

ნინა

არანაირი გაუმართაობა არ აფერხებს გახსნას :) ტყუილად ნუ მსჯელობთ უაზ- როდ. თოვლი არ დევს ტრასაზე საკმა- რისი, რომ გაიხსნას „კანატკა“. როგორც კი სათხილამურო თოვლი დაიდება, აუცილებლად გაიხსნება და ერთ-ერთი საუკეთესო ტრასა იქნება.

სტუმარი

საკუთარი გამოცდილებით ვიცი, ბიზნეს კურიერში რამდენ სისულელეს და ტყუილს ამბობენ. მაგათთვის მთავარია სენსაცი- ური და საინტერესო ნიუსი გამოვიდეს და სიმართლე სულ არ აინტერესებთ. მეორეს მხრივ, გაუმართაობაც არ არის გამორ- იცხული. სააკაშვილის top priority-ა ეს პროექტი და აბა, ერთი მალე ვერ ააშენონ, დაერევა ყველას ერთად.

სტუმარი

შედარებისთვის ვინმე თუ დაწერს სტატიას არსებულ და, რაც მთავარია, გამართულ საბაგიროებზე, კარგი იქნება. უამრავი ჭორი დადის ფასებთან დაკავ- შირებითაც.

სტუმარი

თქვენ გჯერათ იმის, რასაც მიკითხავით?

კრიტიკის არ მოსმენა არ ნიშნავს, რომ კრიტიკა არ არსებობს.. თუ მხოლოდ მათ

მოუსმენთ, ვინც მხოლოდ ტაშის დაკვრა იცის, კრიტიკულ აზრებს ვერასდროს გაიგებთ, ამით კი განვითარებაზე ოცნე- ბაც ძნელია.

სტუმარი

მე ამ ინტერვიუდან მხოლოდ შაშ- კინის ერთმა ფრაზამ დამაინტერესა, არარელევანტური შედარების შესახებ. რატომ გვტანჯავენ? არ შეიძლება, ადამიანურად მაინც დაგველაპარაკონ? თითქოს სხვებს ესაუბრებიან...ქვეყნის საზღვრებს გარეთ...

სტუმარი

რედაქტორის სვები – ერთი ნაბიჯი „სანატრალი ევროპისკენ“



მაშინ, როდესაც ქვეყანაში იარსე- ბებს ნამდვილი საზაზრო ეკონომიკა და ბანკებს ერთმანეთთან ექნებათ კონკურენცია, როდესაც ისინი „ნემსის ყუნწში გაძვრებიან“ თითოეული კლი- ენტის მოსაპოვებლად, მაშინ მასეთ რეკლამაზე ბანკი ბოდისაც მოიხდის და სანაცვლოდ, კომპენსაციის მიზნით, გენდერული თანასწორობის მხარდამჭერ პროექტებსაც დააფინანსებს.

ილია

ეს მოხდება მაშინ, როცა განათლება ქვეყნის პრიორიტეტი გახდება. რეალური შეფასება/კრიტიკა მომავლის სწორად დაგეგმვის საფუძველია. ეს დიდი დეფი- ციტია საქართველოში!

სტუმარი

მემგონი, მართლა გვატყუებენ ლონ- დონის ბირჟაზე აქციებს ვყიდითო.

სტუმარი

„საქართველოს ბანკისთვის“ მო- ქცევის სამივე ვარიანტი, რომლებზეც შორენა წერს, მომგებიანი იქნებოდა ისეთ საზოგადოებაში, სადაც არსებობს

კონკურენცია... ხომ უნდა წავიდეთ ოდესმე ოდნავ მაინც წინ?

ნენე გიორგაძე

მე რომ ბანკი ვყოფილიყავი, 1. არ გამოვეხმაურებოდი საპასუხო კრიტი- კული სტატიით. ვინ რომელ ბლოგერს რა აზრი აქვს, ჰქონდეს მას და მის რე- დაქციას, ეს ბანკის გამოხმაურებისათ- ვის კომპეტენცია არ არის. 2. ბოდის არ მოვიხდინდი იმიტომ, რომ ასეთი ხასიათის რეკლამები მთელი ევროპის მასშტაბით გადის. ეს რეკლამა, სწორედ ერთ-ერთის გამეორებაა. მაშინ მოიხა- დოს ბოდის მთელმა ევროპამ. 3. ბან- ერს სწორედ ამ სარეკლამო რგოლით განვითავსებდი. მაგრამ ასეთი ხუმარა ხალხი ბანკში არ მუშაობს.

იასე

პრესის წინააღმდეგ



ანინა, ძალაუწებურად გახდი, მგონი, „დიდი და მოსაწყენი“, როცა საზოგა- დოების აღზრდა-განვითარების ერთ- ერთ რეცეპტად გვთავაზობ „მეტი წიგნი ვიკითხოთ და ნაკლები ჟურნალები“. აქ მეორე ხარისხოვანია, გეთანხმები თუ არა. მორალი არის ის, რომ ბლოგის მორალს შეენინააღმდეგე.

ნინი

მართლაც მეჩვენება, რომ თავში აქვს ავარდნილი და ამბიციური და მენტორ- ული ტონით ჭკუა-დარიგებას იძლევა! რა უბედურებაა, რატო ადრი ჟურნალს წიგნს? ორივეს თავისი დანიშნულება აქვს. არ მგონია, რომ „ცხელი შოკო- ლადის“ მეორედ გადაკითხვა არ იქნება საინტერესო. პირიქით, ამ გადმოსახედი- დან, ბევრი ვინმე და ბევრი რამ კიდევ უფრო საინტერესო წასაკითხია. „ცხელი შოკოლადი“ ის ჟურნალია, რომელიც შეგიძლია ყოველთვის გედოს თაროზე.

ვინცა

საქართველოს ხელისუფლების აჩევანი - ეხატუნაო

ნინო ბექიშვილის ბლოგი

ისე მოხდა, რომ ბელარუსზე, ბევრ ჩემს თა- ნამემამულეზე მეტი ვიცი. იმის გარდა, რასაც ინტერნეტში ვკითხულობ, პირველწყაროსგა- ნაც ვიგებ ბევრ რამეს. ჩემი ახლო მეგობარი ლენა მინსკელია. ქართველი ქმარი ჰყავს და უკვე ათი წელია, თბილისში ცხოვრობს. მინსკ- ში ზაფხულობით დადის და ჩამოაქვს ბევრი ამბავი, მათ შორის, ისიც, როგორ ქრებიან ადამიანები დღისით, მზისით, როგორ არავინ იცის, სად არიან. უბრალოდ, ქრებიან! რო- გორ ხდებიან იძულებულები როკ მუსიკოსები ემიგრაციაში წავიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ „ბანკას“ როკი არასწორ მუსიკად მიაჩნია და როკ კონცერტებს არბევს, როგორ იჭერენ სულ უბრალო რამეზე ხალხს და არანაირი საპრო- ცესო გარიგება არ შევლით. ყველას ეშინია და ყველა ჩუმდაა.



ლენა თბილისში ახალჩამოსული იყო, როცა ასეთი რამ თქვა – Грузия сказочная, волшебная страна, чем дальше \_ тем страшнее (საქართველო ზღაპრული, ჯა- დოსნური ქვეყანაა, რაც მეტს ცხოვრობ, მით უფრო მეტად გეშინია) – ათი წლის წინ, ზა- ფხულში ჩამოვიდა, მაგრამ დადგა ზამთარი, შუქი არ იყო, ნავთქურები გვენთო, გვეციოდა. მერე „ვარდების რევოლუცია“ მოხდა და ლენა ყველა ჩვენგანზე მეტად ამყობდა იმით, რაც ქართველებმა შევძელით. თუკი წამომცდე- ბა, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევა, ლენა ბრაზობს და მიმტყიცებს, რომ ჩვენ არც კი დაგვესიზმრება, იქ რა დღეშია ხალხი. თუმცა ამ ბოლო დროს ისე ვეღარ მენი- ნააღმდეგება, როგორც ადრე.

\*\*\*

მას შემდეგ, რაც სათაფლიის მღვიმეში გა- მართული მთავრობის სხდომა ვიხილე და ჩვენი პრეზიდენტის არტისტიზმითა და კრეა- ტიულობით კიდევ ერთხელ მოვიხიბლე, ამ სა- ახალწლოდ მიხეილ სააკაშვილი კიდევ რამით თუ გამაკვირვებდა, ნამდვილად არ ველოდი. მაგრამ მან შეძლო.

ქართულმა საინფორმაციო სააგენტოებმა 21 დეკემბერს გვამცნეს, რომ „ევროპის უკანასკ- ნელ დიქტატორს“, ლუკაშენკოს არჩევნებში გამარჯვება საქართველოს პრეზიდენტმა მიუ-

ლოცა. უფრო მეტიც, პრეზიდენტის პრესამ- სახურის უფროსმა თქვა, მიხეილ სააკაშვილი ბელარუსის ახლად არჩეულ პრეზიდენტ ალექ- სანდრე ლუკაშენკოს ტელეფონით ესაუბრა და ისე მიულოცაო.

საქართველოს პრეზიდენტის გარდა, ლუკა- შენკოს გამარჯვება მიულოცეს ყაზახეთის პრეზიდენტმა, ნურსულთან ნაზარბაევმა, ვე- ნესუელის პრეზიდენტმა, უგო ჩავესმა და რუ- სეთის პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა. მგონი, ირანის პრეზიდენტმაც მიულოცა. მეტ- მა, ჯერჯერობით – არავინ.

რახან ლუკაშენკომ აფხაზეთისა და სა- მხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არ აღიარა, მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი ხელისუფლე- ბა ასეც მოიქცეოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბელარუსში არჩევნებისას მოხდა, მათგან რა- ტომლაც მაინც უფრო ადეკვატურ საქციელს ველოდი. მით უმეტეს, ევროპამ და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა არჩევნების შე- დეგები არ ცნეს. ისინი ამბობენ, რომ ბელა- რუსთან ურთიერთობას გადახედავენ.

სანამ სააკაშვილი მიულოცავდა, გაირკვა, რომ გივი თარგამაძე ბელარუსში პერსონა ნონ-გრატა აღარ არის და როცა უნდა ჩავა და წამოვა; ბუბა კიკაბიძემ კი ლუკაშენკოს საზე- მო ბანკეტზე უმღერა. სწორედ მაშინ, როცა ძალოვნები სასტიკად უსწორდებოდნენ მომი-

ტინგებს, არბევდნენ და ციხეებში ყრიდნენ არა მხოლოდ ოპოზიციური პარტიების პრეზი- დენტობის კანდიდატებსა და მხარდამჭერებს, არამედ ჟურნალისტებს, პოეტებს, მხატვრე- ბს, კიკაბიძე ლუკაშენკოსთვის მღეროდა და ცეკვადა.

ჩემთვის ნამდვილად არაფერი შეიცვლე- ბოდა, ლუკაშენკოს მაგივრად ბუბა კიკაბიძეს პუტინისთვის ან აშშადინეჯადისთვის რომ მიე- ლოცა გაპრეზიდენტება და მათთვის გამეარ- თა კონცერტი. მერე რა, რომ პუტინი საქარ- თველოს მტერია და, როგორც ირკვევა, დღეს ლუკაშენკო – მოკავშირე – ერთი ტიპის მმარ- თველები და ერთნაირად მიუღებლები არიან.

მესმის, რომ ბუბა კიკაბიძე მინსკში ხელი- სუფლებამ მიავლინა, მაგრამ სწორედ ამას გულისხმობდა მამარდაშვილი როცა ამბობდა „ჭეშმარიტება სამშობლოზე მეტიაო“. თუკი ჭეშმარიტების და ღირსების მხარეს დადგები, მაშინ ლუკაშენკოს ვერც მიულოცავ და ვერც უმღერებ.

ჰო, მართლა, მავიწყებოდა – ლუკაშენკო ამბობს, რომ ოპოზიციონერი პრეზიდენტობის კანდიდატები რუსეთის აგენტები და ხალხის მტრები არიან, მას პროვოკაციას რუსეთი უწყობს და სხვა გზა არ ჰქონდა – ამდენი ხალ- ხი ციხეებში სწორედ ამიტომ, რუსეთის შიშით გამოკეტა.



# ბაჩყალიძის ვადაზის სია

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერის ლევან გაჩეჩილაძის ოჯახის ვალების სია გამოაქვეყნა. ნუსხის მიხედვით, ვალი სამ მილიონ აშშ დოლარს აღემატება. ლევან გაჩეჩილაძის ადვოკატის, ნათია კორკოტაძის განცხადებით, გაჩეჩილაძემ სიდედრის ბინა ბანკში რადიო „უცნობისთვის“ აღებული სესხის სანაცვლოდ ჩადო. „ტაო-პრევიტაბანკიდან“ კრედიტი 160 000 დოლარი რადიო „უცნობის“ ყოფილმა დირექტორმა კობა გაბისონიამ გამოიტანა, რომელსაც გარანტიორად ლევან გაჩეჩილაძე დაუდგა. კახა კუკავას ინფორმაციით, რადიო „უცნობმა“ რეკლამის სიმცირის გამო სესხის დაფარვა ვერ მოახერხა, რის გამოც „ტაო-პრევიტაბანკმა“ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. სასამართლომ კი გადანაწილება ბანკის სასარგებლოდ გამოიტანა და მოპასუხე მხარეს 203 000 დოლარი დააკისრა. ადვოკატის განცხადებით, მას საქმე სააპელაციო სასამართლოში აქვს გასაჩივრებუ-

ლი. სანამ სასამართლო დავა არ დასრულდება, მისი თქმით, გაჩეჩილაძის სიდედრის სახლის გაყიდვა კანონით არ შეიძლება. გაჩეჩილაძის ოჯახის ფინანსური მდგომარეობის შესახებ სპეციალური წერილი კუკავამ მას შემდეგ გაავრცელა, რაც გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ მასალა გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც 2007 წლის ნოემბერში გაჩეჩილაძე რამდენიმე მილიონის მიღების სანაცვლოდ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა. „ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს ყველა იმ ბრალდების აბსურდულობას, რომელიც არაერთხელ იქნა წამოყენებული ლევან გაჩეჩილაძის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს, არა მარტო ლევან გაჩეჩილაძის რეპუტაციის, არამედ ყველა იმ ადამიანის ღირსების შელახვას, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებენ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ“, – ნათქვამია კახა კუკავას წერილში.

## ბადაზიხთვილან „სახაბაძე“

შეერთებული შტატების სენატმა მხარი დაუჭირა რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის ბირთვული იარაღის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების, „სტარტის“ რატიფიკაციას. აშშ-ს და რუსეთის პრეზიდენტებმა შეტყევეთი შეიარაღების შესახებ შეთანხმებას ისტორიული უწოდეს. შეთანხმება ორივე ქვეყნის ბირთვული იარაღის ერთი მესამედით, 1550 ერთეულამდე, შემცირებას ითვალისწინებს. შეთანხმება ასევე ითვალისწინებს ორმხრივ ინსპექტირებას. ხელშეკრულების რატიფიკაციას „ევროატლანტიკური უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება“ უწოდანატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა.

## ხოხოთი ხაჩისყხანს ახ ახიხანს

სამხრეთ ოსეთის ლიდერმა ედუარდ კოკოითმა განაცხადა, რომ ის კონსტიტუციის „საკუთარ თავზე მორგებას“ და 2011 წელს მესამე ვადით პრეზიდენტად კენჭისყრას არ აპირებს, ამ ინფორმაციას სამხრეთ ოსეთის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს. 22 დეკემბერს მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე კოკოითმა ასევე განაცხადა, რომ მას გეგმაში აქვს „დაარქოს პოლიტიკაში და ემსახუროს ხალხს“.

# ქართული მენია ჩამოყალიბების ჰიოსასში



22 დეკემბერს გორში, ადგილობრივ ტელეკომპანია „თრიალეთში“ სტუმრობისას, აშშ-ის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა განაცხადა, რომ ქართულ მედიაში ჟურნალისტური გამოძიებების ნაკლებობაა. „ვფიქრობ, მედია საქართველოში ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება, სადაც

საზოგადოებისთვის შეხედულებების ნამდვილად ფართო სპექტრია ხელმისაწვდომი, თუმცა არა აუცილებლად ობიექტური მიდგომა იმ საკითხებსა თუ შეხედულებებზე, რომელთაც კონკრეტულ არხებზე ან გადაცემებში გამოხატავენ“, – განაცხადა აშშ-ის ელჩმა. „მიმანია, რომ მთავრობის საქმიანობის შესახებ და ასევე ამ ქვეყანაში მთავრობისა და ბიზნესის გადაკვეთის საკითხების შესახებ ჟურნალისტური გამოძიების ნაკლებობაა, რაც დროთა განმავლობაში შესაძლოა საზიანო იყოს დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის. ეს არის ის, რაზეც მუშაობას გავაგრძელებთ“, – განაცხადა მან.

## ხსათის ახანსი ბიხანეთილან ბამოაქვეს

„უსაფუძვლო“ და „არამეგობრული“ ჟესტი უწოდა რუსეთმა ბრიტანეთიდან მისი დიპლომატების ჯაშუშობის ბრალდებით გამოძევებას. პასუხად, რუსეთმა ანალოგიური ნაბიჯი გადადგა. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, დეკემბერში რუსეთიდან ერთი ბრიტანელი დიპლომატი დაბრუნდა. „ბიბისი“-ს

ინფორმაციით, დიპლომატების გაძევება არ უკავშირდება კატია ზატულივეტერის გახმაურებულ საქმეს, რომელიც ბრიტანეთის პარლამენტში მკვლევრად მუშაობდა და რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში დაადანაშაულეს. ზატულივეტერი ამჟამად დაკავებულია, რის გამოც რუსეთმა ბრიტანეთს „ჯაშუშობა-ნიაში“ დასდო ბრალი.

## ხსათი მისხხანს შიიქანს

საშობაოდ რუსეთი სამხედრო გემ „მისტრალს“ შეიძენს. ამ ინფორმაციას ფრანგული გამოცემა „La Tribune“ ავრცელებს. ფრანგული გამოცემა იუწყება, რომ უახლოეს დღეებში რუსეთი ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდება და ოთხ ვერტმფრენში „მისტრალს“ დაახლოებით ორ მილიარდ ევროდ შეიძენს. ეს რუსეთის ფედერაციისთვის საზღვარგარეთ პირველი მასშტაბური სამხედრო შენაძენია, რომელმაც მოსკოვში აზრთა



სხვადასხვაობა გამოიწვია. თბილისში კი მიანიათ, რომ ეს შენაძენი საფრთხეს შეუქმნის რეგიონის სტაბილურობას.

### ჩისხეხი

**7.1** მილიარდი ლარით განისაზღვრა 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

**3** გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა თბილისის საქალაქო სასამართლომ განხილული 7 296 საქმიდან

**0.6%** შეადგინა მომსახურებაზე ფასების წლიურმა ზრდამ

**1000** ლარამდე (50-დან) გაიზარდა ჯარიმა ნაცვის უკანონო მოჭრისა და გაყიდვისთვის

### სიტატუბი



„საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის აღდგენაში ეკლესიას დიდი როლი აკისრია“.

**ნინო ბურჯანაძე რუსეთის პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ**

„გამკვირვებია, რატომ სძინავს კერძო სექტორს“

**პრეზიდენტმა სააკაშვილმა მესტიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე ბიზნესს გამოლვიძებისკენ მოუწოდა**

„ბელარუსში შექმნილი ვითარება შემფოთებას იწვევს“.

**უშიშროების საბჭოს მდივანი, გიგა ბოკერია ბელარუსის არეულობაზე**

„მან საფრთხეში ჩააგდო ადამიანების სიცოცხლე მთელს მსოფლიოში... მან ასევე გაართულა საქმიანი შეხვედრების წარმოება. ახლა ჩვენს პარტნიორებს ურჩევნიათ, მარტო შემხვდნენ, ვიდრე თანამშრომლებთან ერთად“.

**ამერიკის ვიცე პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ჯუულიან ასანუხე**



# მსოფლიო 2010 წელს

ნანა საჯავია

პორტო-პრესი მინისძვრის შემდეგ, 29 იანვარი 2010

ფოტო: ჯორჯა კლავა / REUTERS

## მინისძვრა ჰაიტიში



12 იანვარი 2010

12 იანვრის ჰაიტის მინისძვრა, რომელმაც ქვეყნის დედაქალაქი პორტ-ო-პრენსი მიწასთან გაასწორა, უახლოესი წარსულის ყველაზე ძლიერი მინისძვრა არ ყოფილა. თუმცა ის ნამდვილად იყო ყველაზე ტრაგიკული – მინისძვრის შე-

დეგად 230 ათასი ადამიანი დაიღუპა, მილიონზე მეტი კი უსახლკაროდ დარჩა.

მინისძვრას მყისიერი საერთაშორისო გამომხაურება მოჰყვა, ათზე მეტმა სახელმწიფომ ჰაიტის ჰუმანიტარული დახმარება და სამაშველო ჯგუფები გაუგზავნა, ქვეყანაში ჩავიდნენ უცხოური სამხედრო დახმარებები. საერთაშორისო დახმარების მიუხედავად, ათიათასობით ადამიანი დღემდე კარვებში ცხოვრობს, სამასზე მეტი ადამიანი მინისძვრის შემდეგ გავრცელებულმა ქოლერამ იმსხვერპლა, იმატა დანაშაულებების სიხშირემ. ჰაიტის მთავრობა ამ პრობლემებს დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება.

## კაჩინსკის ტრაგედია

10 აპრილს პოლონეთის პრეზიდენტი, ლეხ კაჩინსკი და მისი მთელი ოჯახი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. პრეზიდენტის თვითმფრინავი სმოლენსკის აეროპორტის მახლობლად ჩამოვარდა. პრეზიდენტთან ერთად ავიაკატასტროფაში მისი მეუღლე, მარია კაჩინსკა,



10 აპრილი 2010

და პოლონეთის მთავრობის მაღალჩინოსნები, სულ 96 ადამიანი დაიღუპა. პოლონური დელეგაცია კატინში მიემგზავრებოდა, მეორე მსოფლიო ომის დროს, 1940 წელს დახვრეტილი პოლონელი ოფიცრების ხსოვნისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე დასასწრებად. რუსეთის გამოძიებამ კატასტროფის მიზეზად უამინდობა დაასახელა.

გარდაცვილილი პრეზიდენტის ძმა იაროსლავ კაჩინსკი გამოძიების შედეგებს უნდობლობას უცხადებს. მისი თქმით, ოჯახს ეჭვი აქვს, რომ რუსეთის მიერ მოწოდებული ცხედრის ნაწილები მისი ძმის არ არის.

## ნავთობის ჩაღვრა მექსიკის ყურეში



20 აპრილი 2010

20 აპრილს მექსიკის ყურეში ენერგოკომპანია „ბრიტიშ პეტროლუმის“ მიერ წარმოებული ბურღვისას აფეთქება მოხდა. შედეგად 11 მუშა დაიღუპა და მექსიკის ყურეში შვიდი მილიონი გალონი (26,5 მილიონი ლიტრი) ნავთობი ჩაიღვარა.

მექსიკის ყურეში ნავთობის დაღვრის შესაჩერებელი სამუშაოები სამ თვეს გაგრძელდა. ამერიკელი მეცნიერების განცხადებით, შეერთებული შტატების ისტორიაში ეს ნავთობის დაღვრის ყველაზე მასშტაბური შემთხვევაა. გამსკდარი ჭაბურღილიდან დღეში 1,9 მილიონიდან 3,8 მილიონამდე ლიტრი ნავთობი იღვრებოდა.

## მსოფლიო ჩივილი აფრიკაში

წელს აფრიკის კონტინენტმა პირველად უმასპინძლა მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში. ჩემპიონატის



ზაფხული 2010

დანებამდე რამდენიმე თვით ადრე საერთაშორისო მედია ეჭვქვეშ აყენებდა სამხრეთ აფრიკის მზაობას, ემასპინძლა 2010 წლის ყველაზე დიდი სპორტული ღონისძიებისთვის.

ჩემპიონატის გახსნა უფრო მხიარული იქნებოდა, რომ არა ნელსონ მანდელას ოჯახის ტრაგედია, ყოფილ პრეზიდენტს გახსნის ცერემონიამდე რამდენიმე საათით ადრე შეილთაშვილი ავტოკატასტროფაში დაეღუპა. ამგვარი სტატისა და წინასწარი განწყობების მიუხედავად, ზაფხულის ოთხი კვირის განმავლობაში სამხრეთ აფრიკა, თავისი ვუფუზელათი, უახლესი წარსულის ყველაზე წარმატებული ჩემპიონატის მასპინძლად იქცა.

## რუსი ჯაშუშების დაპატიმრება ამერიკაში

იენისში ამერიკის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ რუსეთისთვის ჯაშუშობაში ბრალდებული 10 ადამიანი დააკავა. ჯაშუშები ცდილობდნენ, მოეპოვებინათ ინფორმაცია შეერთებული შტატების ბირთვულ იარაღზე და ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე. დაკავებებს წინ უძღოდა ე.წ. „ჰამბურგერის თათბირი“ – შეხვედრა, როცა პრეზიდენტი ობამასა და რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს შორის მოლაპარაკება



ივნისი 2010

ჰამბურგერების ჭამის თანხლებით მიმდინარეობდა.

შეერთებულმა შტატებმა მოგვიანებით 10 რუსი ჯაშუში გაათავისუფლა. ამის სანაცვლოდ რუსეთმა შეერთებულ შტატებს გადასცა რუსი ეროვნების ოთხი დასავლეთის ჯაშუში. ცივი ომის შემდეგ შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის პირველად შედგა მსგავსი მასშტაბის ჯაშუშთა გაცვლის ფაქტი. ავსტრიაში, ვენის აეროპორტში ერთად დაეშენენ ამერიკისა და რუსეთის თვითმფრინავები და ჯაშუშები გაცვალეს. რუსი ჯაშუშები შეერთებულ შტატებში ველარასდროს დაბრუნდებიან სპეციალური უფლების გარეშე.

## მსოფლიო საძინეს ბადასარჩინად

43 წლის ირანელი ქალი, ორი შვილის დედა, საქინე მოჰამად აშთიანი, ქმრის ლალატის გამო 2006 წლის მაისში დააკავეს და 99 როზგი მიუსაჯეს. სექტემ-



ზაფხული 2010

ბერში კი, ქმრის სიკვდილიც დასდეს ბრალად და მოსამართლემ ჩაქოლვის განაჩენი გამოუტანა. საქინეს მხარდასაჭერი მსოფლიო კამპანია 2010 წლის ზაფხულში დაიწყო. საქინეს ჩაქოლვის წინააღმდეგ მიმართულმა საქვეყნო გაღიზიანებამ იმ ზღვარს მიაღწია, რომ პროტესტი ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის ლიდერმა და ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გამოთქვეს.

## ჩილეელი მალაროელების 69 დღე მინისძვრაში


5 აგვისტოს ჩილეში, სან ხოსეს მალაროში მომწყვედული 33 მალარო-



5 აგვისტო 2010

ელის ისტორია მინსკეშა დრამად იქცა. მალაროელებისთვის 700 მეტრის სიღრმეში ცხოვრება 69 დღე გაგრძელდა. მათ გადასარჩენად ჩატარებულ სამაშველო ოპერაციაზე 22 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯა. მალაროელთა ამოყვანას სამი ათასამდე გულშემატკივარი – მალაროსთან დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე, მსოფლიოს მასშტაბით მილიონობით ადამიანი კი წამყვანი ტელევიზიებით პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალ-ყურს. ოპერაციას ადგილზე 1 500 ჟურნალისტი აშუქებდა. გადარჩენილი მალაროელები სათითაოდ ამოჰყავდათ, ამოსულებს ოჯახის წევრებთან ერთად რამდენიმე ათეული ვიდუო-კამერა და ქვეყნის პრეზიდენტი ხვდებოდა. ახლადარჩეული პრეზიდენტი სებასტიან პინერა სამაშველო ოპერაციის „სანახაობად ქცევისთვის“ გააკრიტიკეს.

„ვიკილიქსი“



ნოემბერი 2010

„ვიკილიქსი“ – ორგანიზაცია, რომლის მიზანია მთავრობის მამხილებელი დოკუმენტების მოძიება და გამოქვეყნება, პირველად პოპულარული ივლისში გახდა, როცა ორგანიზაციამ ამერიკის მთავრობის 77 ათასი სამხედრო საიდუმლო დოკუმენტი გამოაქვეყნა. ამას წინ უძღოდა „ვიკილიქსის“ დამფუძნებლის, ჯულიან ასანჟის პრესკონფერენცია, სადაც მან მედიას 40-ნუთიანი გასაიდუმლოებული ვიდუო-კლიპი წარუდგინა. ეს იყო 2007 წელს, ერაყის დაბომბვების დროს გადაღებული დოკუმენტური მასალა იმის შესახებ, თუ როგორ ცხრილავენ ერთ-ერთი თავდასხმის დროს ამერიკელი სამხედრო მფრინავები ბალდადის მშვიდობიან მოსახლეობას. ამ შეტევას 26 ადამიანის, მათ შორის, სააგენტო „როიტერის“ ორი თანამშრომლის, სიცოცხლე შეენირა.

ნოემბერში „ვიკილიქსის“ მიერ ამერიკელი დიპლომატების 250 ათასზე მეტი საიდუმლო დოკუმენტის გამოქვეყნებას საიტის დამფუძნებლის – ჯულიან ასანჟის დაკავება მოყვა. ასანჟი ლონდონში 7 დეკემბერს ჩაბარდა პოლიციას, რომელიც მას შედეგით ორი ქალის გაუპატიურების ბრალდების გამო ეძებდა. ასანჟი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა. ის ამბობს, რომ 2011 წელს სხვა ქვეყნების, მათ შორის, რუსეთის მთავრობაზეც აპირებს მასალების გამოქვეყნებას.

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა ომის პირას

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის მომხდარი შეტაკებებიდან ერთი თვის შემდეგ ორი სახელმწიფო სამხედრო რიტორიკას აგრძელებს. სამხრეთ კორეა თავდასხმის შემთხვევაში საპასუხო რეაქციით, ჩრდილოეთ კორეა კი პროვოცირების შემთხვევაში, მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით იმუქრება.

ურთიერთობა სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის უკიდურესად მას შემდეგ დაიძაბა, რაც ჩრდილოეთ კორეამ ცეცხლი გაუხსნა სამხრეთ კორეის კუნძულს, რომლის დროსაც ოთხი ადამიანი დაიღუპა, 20 კი დაიჭრა. ერთი თვის წინ მომხდარი შეტაკება, სამშვიდობო რეგიონზე



23 ნოემბერი 2010

თავდასხმის პირველი შემთხვევა იყო კორეის ომის შემდეგ. ჩრდილოეთ კორეა, მოსაზღვრე რეგიონში მიმდინარე ხუთდღიანმა სამხედრო წვრთნებმა გააღიზიანა,

საპროტესტო აქციები ლონდონში



ნოემბერი 2010

ლონდონში საკანონმდებლო ცვლილებებს გაბრაზებული სტუდენტების საპროტესტო აქციები მოყვა. მომიტინგეები ბრიტანეთის უნივერსიტეტებში სწავლის საფასურის ზრდას აპროტესტებდნენ, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა. პარლამენტის განწყვეტილებით, წლიური საფასური თითქმის გასამმაგდა და წელიწადში ცხრა ათასი ფუნტი შეადგინა. გაბრაზებული მომიტინგეები თავს პრინც ჩარლზის და კამილას მანქანასაც დაესხნენ. სტუდენტმა პროტესტანტებმა მანქანის შუშები ჩაამტვრიეს. პროტესტების მსვლელობისას 38 მომიტინგე დაზარალდა, 26 კი დააპატიმრეს. ბოლო 30 წელია, ბრიტანეთში ასეთი მასშტაბური ახალგაზრდული პროტესტი არ გამართულა.



ჩივისი აფთიაქებში აიხრია 5 მედიკამენტი და მიიღო ბაზანთიხაბუდი საჯათოსო ფასი

- ✓ ისარგებლე სამედიცინო შეღავათით - ყოველთვიურად, კვალიფიციური ექიმის უფასო სამედიცინო კონსულტაცია ექსპრეს კლინიკაში და ექსკლუზიური ფასდაკლება სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციებსა და ლაბორატორიულ კვლევებზე.
- ✓ გამოიყენე გარანტია - თუ აღმოაჩინო, რომ "ჯი-პი-სი" აფთიაქში შენი კალათის ფარგლებში შერჩეული მედიკამენტის ღირებულება აღემატება სხვა აფთიაქებში არსებულ ფასს, დაგვიკავშირდით ნომერზე 0-007, დააფიქსირეთ ინფორმაცია და ჩვენ ვუზრუნველყოფთ "ჯი-პი-სი" სააფთიაქო ქსელში ფასის შესაბამის კორექციას (5 სამუშაო დღის განმავლობაში).
- ✓ პროგრამაში ჩართვის შემდეგ, თქვენ გეყოლებათ პირადი სამედიცინო მრჩეველი, რომელიც:
  - 24 საათის განმავლობაში უპასუხებს თქვენს ნებისმიერ შეკითხვას.
  - დაგიკავშირდებთ თავად მკურნალობის პროცესის მიმდინარეობისა და ეფექტურობის, სასარგებლო რჩევებისა და მოსალოდნელი სიახლეების თაობაზე.
  - დაგიგეგმავთ ურთიერთობას ჩვენი ქსელის კონკრეტულ აფთიაქსა და ექსპრეს კლინიკასთან (აფთიაქში მედიკამენტების მარტივად და დროულად მიღების უზრუნველყოფა წინასწარ შეთანხმებით; ექიმთან ვიზიტის დანიშვნა; მანიპულაციებისა და გამოკვლევების განრიგის განსაზღვრა და ა.შ.).



### გაუმჯობესდა

#### მაია შარვაშიძე, 43 წლის, ფიზიკოსი

ამ წელს გაუმჯობესდა ჩვენი მდგომარეობა, რადგან მცირე კერძო ბიზნესი ავანყვეთ. მაქვს იმედი, რომ კიდევ გაუმჯობესდება, რადგან სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი ვარ და საერთაშორისო პროექტებში ჩართვის იმედი მაქვს. წელს გასაჯალმა იმატა, მაგრამ რადგან შემოსავალიც მეტია, ფასების ზრდა ჩვენზე არ ასახულა.

#### გია ბოკუჩავა, 50 წლის, ინჟინერი

წელს ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, რადგან ჩემს შვილს ხელფასი მოუმატეს, მეც მეტი შემოსავალი მაქვს.

#### თამაზ ბუთხუზი, 65 წლის, ფიზიკოსი

ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილურია, პროდუქციის გაძვირება არ დასტყობია ჩემს ოჯახს, რადგან ჩემმა შემოსავალმაც იმატა.

#### ალექსანდრე ყიფიანი, 55 წლის, ინჟინერი

წელს სამსახური დავინყე, ადრე კი, მარტო ჩემი მეუღლე მუშაობდა, ასე რომ, ახლა ბევრად უკეთ ვართ. ორივეს ხელფასი ჯამში 1 000 ლარი გვაქვს, გადასახადებს რომ ვიხდით 500 ლარი გვრჩება კვებისთვის, ცოტაა, მაგრამ ადრე უარესად ვიყავით.

#### ანა ჩუბინიძე, 26 წლის, დიზაინერი

რამდენიმე წელი უმუშევარი ვიყავი და უკვე საზღვარგაერთ ვგეგმავდი წასვლას, მაგრამ წელს გამიმართლა და სარეკლამო კომპანიაში დავინყე მუშაობა, სადაც მაღალი ხელფასი მაქვს. მუშაობს დედაც, ასე რომ, ნამდვილად გაუმჯობესდა ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა.

#### გოგა შავიშვილი, 34 წლის, ბიზნესმენი

წლეგანდელი წელი უფრო შემოსავლიანი იყო, რადგან გავხსენი მეორე მცირე მაღაზიაც, რომელიც ისევე კარგად მუშაობს, როგორც პირველი. მიუხედავად იმისა, რომ წლის დასაწყისში ფინანსურმა პოლიციამ დამაჯარიმა, ამ წელს შემოსავალი მაინც მეტი აღმოჩნდა.

#### ელისო ბერაძე, 42 წლის, გამყიდველი

წინა წლებთან შედარებით ჩემი ოჯახის მდგომარეობა მცირედით გაუმჯობესდა. ბოლო სამი წელი უმუშევარი ვიყავი, წელს ღვინის მაღაზიაში დავინყე გამყიდველად მუშაობა, ასე რომ წელს მეტი შემოსავალი მქონდა, ვიდრე შარშან.

#### ბესო კიკნაძე, 38, მშენებელი

ჩემი ეკონომიკური მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა, გზების მშენებლობაზე დავინყე მუშაობა და ნორმალური შემოსავალი მაქვს. რა თქმა უნდა, მეტი ხელფასი ყოველთვის სჯობს, მაგრამ უმუშევრობას მუშაობა მირჩევნია.



## 2010 წლის თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა თუ გაუარესდა?

#### ანა გირგვლიანი, 28 წლის, ტურისტული ცენტრის თანამშრომელი

წელს დავსაქმდი მესტიის ტურისტულ საინფორმაციო ცენტრში, რაც ძალიან კარგი შესაძლებლობაა. რაც მეტი მსგავსი სამუშაო ადგილი გაჩნდება, მით მეტი ხალხი დაუბრუნდება მთას.

#### სპარტაკ ტვილდიანი, 40 წლის, დურგალი

დიდი ხნის უმუშევრობის შემდეგ წელს დავსაქმდი. მესტიის ცენტრალური მოედნის რეაბილიტაციაზე ვმუშაობ და გამიჩნდა რეალური საარსებო შემოსავალი, რაც ოჯახისთვისაა საჭირო.

### გაუარესდა/იგივე დარჩა

#### ციური ბერუაშვილი, 68 წლის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

გაუარესდა, რადგან ჩემმა შვილმა დაკარგა სამუშაო, საჯარო სამსახურში მუშაობდა და შეამცირეს, კრიზისიაო. მე და ჩემი მეუღლე პენსიონერები ვართ და პენსიის დიდ ნაწილს წამლებს ვახარჯავთ. მე ფეხი მანუხებს, მეუღლეს კი ინსულტი აქვს გადატანილი. თვიდან თვემდე ძლივს გაგვაქვს თავი.

#### მარინა ოქროპირიძე, 55 წლის, დიასახლისი

გაუარესდა, რადგან არ მოუმატია ხელფასებს და ამ დროს ყველაფერი გაძვირდა, პროდუქტები, ტრანსპორტი, ეს ყველაფერი ჩვენს ბიუჯეტზე მძიმედ აისახა.

#### 50 წლის, იურისტი ქალბატონი

ორი წელია, ჩემს გარდა ოჯახში არავინ მუშაობს, წელს კიდევ უფრო გაუარესდა ჩვენი მდგომარეობა – სახლის გაყიდვა და უარეს უბანში გადასვლა მოგვიწია. მალე, ალბათ, კიდევ უარეს ადგილას გადავალთ ან საზღვარგარეთ მომიწევს სამუშაოდ წასვლა.

#### თემური, 53 წლის, ინდემნარმე

გაუარესდა, რადგან ინდემნარმე ვარ და ჯარიმებით, რევიზიებით, უკანონო დაჯარიმებებით სული ამომხადეს, მეუბნებიან ბიუჯეტს ფული სჭირდება და უნდა გადაიხადო. აი, ახლაც 15 000 ლარიანი ჯარიმა მაქვს გადასახდელი და არ ვიცი, რა ვქნა. ბოლო წლები სულ ასე იყო, მაგრამ წელს ასეთმა ჯარიმებმა განსაკუთრებით იმატა. სახლში პურის ფული ვერ მიმაქვს შვილებისთვის, ვწუხვარ, რომ ქვეყანას ვერ ვტოვებ.

#### თეა ადამაშვილი, 31 წლის, ყოფილი პედაგოგი

წელს მამაჩემი გაათავისუფლეს სამსახურიდან, 6 ადამიანისგან შემდგარ ოჯახს ფაქტობრივად, მარტო ვარჩენ. საქართველოში გაუსაძლისი მდგომარეობა რომ იყო, 10 წელი საზღვარგარეთ ვიყავი და იქ ვმუშაობდი. ვატყობ, ახლა ისევე მომიწევს წასვლა.

#### თემურ ემილიონოვი, 39 წლის, სტომატოლოგი

დაახლოებით 30%-ით გაუარესდა ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა. მამა აღარ მუშაობს, ფიზიკოსია და ფიზიკა არავის სჭირდება საქართველოში. მინდა ექიმად ვიმუშაო, მაგრამ სერთიფიკატი არ მაქვს და მიჭირს. საზღვარგარეთიდან გვეხმარებიან, თორემ ყოველთვიურ ხარჯებს ვერ გავუმკლავდებოდით.

#### ნანო, 22 წლის, სტუდენტი

გაუარესდა, დედა ფარმაცევტია და ორ კერძო აფთიაქში მუშაობდა, ორივეგან შეამცირეს. ახლა ვცხოვრობთ მამის 100-ლარიანი შემოსავლით. ჩემი ძმაც მუშაობს, მაგრამ საკმარისი მაინც არ არის. ამიტომ, დროის უქონლობის მიუხედავად, მეც უნდა დავინყო სამსახურის ძებნა.

#### მადონა ტყეხური, 33 წლის, მსახიობი

არაფერი შეცვლილა, შემოსავალი ისევე იგივე გვაქვს. პირობას გვაძლევენ, რომ 2011-ში მეუღლეს, რომელიც საჯარო სამსახურში მუშაობს, ხელფასს მოუმატებენ. ამას მოუთმენლად ველით, რადგან გაზრდილი ფასებით და იგივე ხელფასით არსებობა თანდათან სულ უფრო შეუძლებელი ხდება.





ოპოზიციონერი დემონსტრანტი ამტვრევს პარლამენტის შენობის კარს, მინსკი, 19 დეკემბერი 2010

ფოტო ნახალო აპლანოვი / REUTERS

ბელარუსი

# ახალიაჩეხი აჩეხნები

20 დეკემბერს, გამთენიისას, ბელარუსის ხელისუფლებამ მინსკის ცენტრში მრავალრიცხოვანი ოპოზიციური მიტინგი დაარბია. არჩევნების წინ რუსეთის მხარდაჭერით შეგუიანებული ლუკაშენკო აქციის მონაწილეებს სასტიკად ისე გაუსწორდა, სახის შენარჩუნება არც უცდია.

ოლგა ალიონოვა, მინსკი

საპროტესტო აქცია არჩევნებამდე ორი კვირით ადრე დაიგეგმა – როცა ნათელი გახდა, რომ ოპოზიციას წაგება ელოდა. სწორედ მაშინ, სატელევიზიო არხებმა ოპოზიციური ლიდერების გამოსვლე-

ბისთვის ეთერის დათმობა შეწყვიტეს. სწორედ მაშინ გახდა ცნობილი, რომ ხმის წინასწარ მიცემის პროცედურა, რომელსაც ევროკავშირი აკრიტიკებდა, მაინც ჩატარდებოდა. შეგახსენებთ,

ისტორიულად, ლუკაშენკო ხმების დაახლოებით 30 პროცენტს სწორედ ამ წინასწარი ხმის მიცემის წყალობით იღებს. ბელარუსი ოპოზიციონერები დარწმუნებული იყვნენ, რომ თუ არჩევნები

მეტნაკლებად სამართლიანად ჩაივლიდა, ბატონ ლუკაშენკოს მეორე ტური მოუწევდა, სადაც გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატსა და ლუკაშენკოს შორის უკვე სერიოზული და თანაბარი ბრძოლა გაიმართებოდა.

წინასწარი სოციალური გამოკითხვების თანახმად, პრეზიდენტ ლუკაშენკოს 40 პროცენტზე ოდნავ მეტი, ნეკლაევის, სანნიკოვის, რომანჩუკის, სტატკევიჩის და რემაშევსკის კი – 17, 10, 8, 5 და 5 პროცენტები უნდა მიეღოთ. ეს იმ პირობებში, როცა ბელარუსების უმეტესობა ლუკაშენკოს მხოლოდ იმიტომ აძლევდა ხმას, რომ ოპოზიციის გამარჯვების არ სჯეროდა. ოპოზიცია რომ მეორე ტურში გადასულიყო, ამომრჩევლების განწყობა შეიცვლებოდა, ვარაუდობდნენ ოპოზიციური შტაბები.

თუმცა ოპოზიციის ოცნებებს ახდენა არ ენერა. წინასწარი ხმის მიცემისას, ერთი კვირის განმავლობაში ეუთოს და ადამიანთა უფლებების ბიუროს დამკვირვებლები მრავალ დარღვევას აფიქსირებდნენ: სახელმწიფო მოხელეებს, სტუდენტებს და სახელმწიფო საწარმოების თანამშრომლებს ხმის მიცემას აიძულებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელფასების და პრემიების წართმევით, ან უწყებებიდან დათხოვნით ემუქრებოდნენ; ღამე უბნების დალუქვა არ ხდებოდა, საარჩევნო კომისიის შენობებში კი დაცვა არ იყო.

ხმის მიცემის დღეს, ეუთოს მონიტორინგის მისიის ცნობით, დარღვევები უბნების 66 პროცენტზე დაფიქსირდა. უკვე მეორე დღეს მისიის წარმომადგენელი ტონი ლოიდი შემდეგ დარღვევებზე საუბრობდა: დამკვირვებლებს არ უშვებდნენ მაგიდებთან, სადაც ხმების დათვლა მიმდინარეობდა; საარჩევნო კომისიის წევრები ისე ეხვეოდნენ ურნებს, რომ დამკვირვებლებს მათთვის განკუთვნილი ადგილებიდან არაფრის დანახვა არ შეეძლოთ; უბანზე პერიოდულად შედიოდნენ უცხო პირები, რომლებიც საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს მითითებებს აძლევდნენ; დაფიქსირდა ურნებში ბიულეტენების მთელი შეკვრის ჩაყრის ფაქტებიც.

ეს მონაცემები ორშაბათს გამოქვეყნდა, თუმცა უკვე არჩევნების დღეს, სამ

საათზე ეგზიტპოლების მიხედვით, კანდიდატი ლუკაშენკო ხმების 74 პროცენტით იმარჯვებდა. ამ ინფორმაციის გავრცელებას ამომრჩევლებზე პირდაპირი ზეწოლის განხორციელების მიზანი ჰქონდა – ლუკაშენკოს გამარჯვებით დამწუხრებულ ოპოზიციურ ელექტორატს ოქტომბრის მოედანზე აქციებზე გასვლის ხალისი უნდა დაეკარგა.

თუმცა საწინააღმდეგო რამ მოხდა – მიტინგები შედგა. ბევრ უკმაყოფილო ბელარუსს აქციებზე გასვლისკენ ოპოზიციური კანდიდატის, ვლადიმერ ნეკლაევის ცემამ უბოძა. მეტრო ნემიგას მიმდებარე ტერიტორიაზე ნეკლაევის და მის მხარდამჭერებს შავებში ჩაცმული პირები დაესხნენ თავს. დაზარალებულები ოქტომბრის მოედანზე ხმის გამაძლიერებელი აპარატურის მიტანას ცდილობდნენ. თავდასხმელებმა მათ აპარატურა ჩამოართვეს, თავად კანდიდატი კი უგონო მდგომარეობაში სასწრაფო დახმარების მანქანაში აღმოჩნდა.

ასეთივე ბედი ელოდა მიტინგის მონაწილეებსაც, რომელთაც ოქტომბრის მოედნიდან თავისუფლებას მოედანზე გადაინაცვლეს. ღამის 12 საათისთვის, როცა ქუჩაში მომიტინგეთა რიგები შეთხელდა, უცნობმა პირებმა პარლამენტის შენობაში შუშების მტვრევა დაიწყეს. ამ დროს ოპოზიციურმა ლიდერებმა მოედანზე შეკრებილებს სიმშვიდისკენ მოუწოდეს და ახალგაზრდებს პროვოკაციებისგან დასაცავად ცოცხალი ჯაჭვის ორგანიზება სთხოვეს. თუმცა გვიანი იყო – სპეცრაზმი უკვე მოედნისკენ მიემართებოდა.

მომიტინგეების დარბევას დაახლოებით 15 წუთი დასჭირდა. გამოყენებული იყო რეზინის ხელკეტები და პლასტმასის ფარები, აქციის მრავალი მონაწილე და ოპოზიციური კანდიდატი სასტიკად ცემეს და შემდეგ დააკავეს. აქციაში მონაწილე, პრაქტიკულად ყველა, საპრეზიდენტო კანდიდატს, მათ მოკავშირეებს და შტაბების ხელმძღვანელებს 15 წლიანი პატიმრობა ემუქრებოდა. ისინი ბელარუსის სახელმწიფო უშიშროების ბიუროს ციხეებში გადაიყვანეს, სადაც არც ადვოკატებს უშვებდნენ და არც ახლობლების ამანათების გადაცემის უფლებას

## საჩაქვიცი ლუკაშენკოს ბაჰაჩქეხას უცოსავს



ოფიციალური თბილისის მთავარმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა: აშშ-მ, პოლონეთმა, ლიტვამ და ესტონეთმა, ასევე მიუღმა ევროკავშირმა ბელარუსში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებს ძალადობრივი, არათავისუფალი და არადემოკრატიული უწოდა.

დასავლეთის რეაქციის მიუხედავად, საქართველომ ბელარუსის არჩევნები ლეგიტიმურად ცნო.

„ჩვენ ვადასტურებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ალექსანდრე ლუკაშენკოს გამარჯვება ტელეფონით მიულოცა“, – განაცხადეს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნებში რიგით მეოთხე გამარჯვება ალექსანდრე ლუკაშენკოს სააკაშვილთან ერთად ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა, ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა და რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მიულოცეს.

ზუსტად ოთხი წლის წინ საქართველო ლუკაშენკოს რეჟიმს დიქტატორულს უწოდებდა. მაშინ სააკაშვილის ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა მინსკის ოპოზიციური ახალგაზრდული მოძრაობა „ზუბრის“ მხარდაჭერას, თუმცა ლუკაშენკოს რეჟიმმა „კმარას“ ორი ქართველი აქტივისტი და ასევე ყურნალისტები დააპატიმრა.

2010 წლის არჩევნებზე ლუკაშენკოს მხარდაჭერას საქართველოში ქვეყნის ახალი სტრატეგიით და ბელარუსის მიერ სეპარატისტული რეჟიმების არაღიარების საპასუხო ნაბიჯად აფასებენ.

აძლევდნენ. ნაცემი პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ რამდენიმე დღე არაფერი იყო ცნობილი.

პროტესტის დარბევის მოტივი შეიძლება ძალიან მარტივი იყოს: ლუკაშენკოს უბრალოდ ნერვები არ ეყო. ბელარუსი პრეზიდენტი უკიდურესი თავმოყვარეობით გამოირჩევა და შეუძლებელია აქციებზე მისი მისამართით გამოთქმულ შეურაცხყოფებს ის გულგრილი დაეტოვებინა. „ახალი არჩევნები ლუკაშენკოს გარეშე“, „ნამება ლუკას“, „მელოტი საბურავის გამოცვლის დრო“ – ასეთი შინაარსის შეძახილები ისმოდა მინსკის ცენტრალურ მოედანზე.

აქციების დარბევის ობიექტური საჭიროება არ არსებობდა. თუ ყინვასა

და ოპოზიციის ლიდერების მიერ გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმის სურვილის არარსებობას გავითვალისწინებთ, დიდია შანსი, რომ 20 დეკემბრის დილისთვის თავისუფლების მოედანზე არც ერთი ოპოზიციონერი აღარ იდგებოდა.

თუმცა ბელარუსი ლიდერის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელიც უნდა გავითვალისწინოთ: როგორც ყველა ავტორიტარი მმართველი, ისიც ძალიან ეჭვიანია. შესაძლოა, მან სხვაგვარი სცენარი წარმოიდგინა: მეორე დღეს მოედანი კი გაცარიელდებოდა, მაგრამ მომდევნო დღეს ხალხი ისევ გამოვიდოდა ქუჩებში და ასე გაგრძელდებოდა გაურკვეველი პერიოდით. პერმანენტული, საშუალო ზომის აქციები ხელისუ-

ფლებისთვის გაცილებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე ერთი და მასობრივი. ბელარუსში ოპოზიციური ინტერნეტ-გამოცემების პოპულარობის გათვალისწინებით, ქუჩის აქციები ლუკაშენკოს რეჟიმს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა. ამ აქტივობის ჩახშობა შიგნიდან უნდა მომხდარიყო, ამიტომაც გამოჩნდნენ პარლამენტის კედლებთან შენიღბული უცნობი პირები. თვითმხილველები მოგვიანებით იხსენებდნენ, რომ ერთ-ერთ ხულიგანს ყურთან გადამცემი შენიღბეს, პარლამენტის ფანჯრების მსხვერვის დანყებისთანავე პროსახელი-სუფლებო სატელევიზიო არხი გამოჩნდა, სპეცრაზმი კი ხულიგნებს მთელი ძალით არ უსწორდებოდა.

Twitter-ის პიქაპაბაჰი ხელოვნება



„ცესკო-ს ლუკაშენკოსთვის კარგი და ცუდი ამბავი აქვს – კარგი ის, რომ ის კვლავ პრეზიდენტი გახდა, ცუდი ამბავი კი ის, რომ მისთვის ხმა არავის მოუცია“ – სოციალურ ქსელ Twitter-ში გავრცელებული ეს ხუმრობა, რომელიც ბელარუსი ბლოგერების და აქტივისტების შეფასებით, რეალურად ასახავს არჩევნების შედეგებს, მკითხველების ფაფორიტი გახდა.

ჩვენები ერთ-ერთი ყველაზე განხილვადი თემა გახდა. ბელარუსის კონტროლირებული მედია არაფერს ამბობდა გაყალბების ფაქტებზე და აქციებზე მომხდარი ძალადობის შესახებაც საკუთარ ვერსიას ავრცელებდა. სპეცრაზმელების სისასტიკის დამადასტურებელი ფაქტები, ფოტოები და თვითმხილველთა მონათხრობი ბელარუსის მოსახლეობას მხოლოდ ინტერნეტში, Twitter-ის საშუალებით გავრცელებული პოსტებით შეეძლო ეხილა.

არჩევნების შედეგებით იმედგაცრუებულმა ბელარუსებმა 19 დეკემბერს საარჩევნო უბნებიდან ქუჩაში გადაინაცვლეს: ისინი ალექსანდრე ლუკაშენკოს მეხუთე ვადით „არჩევას“ აპროტესტებდნენ.

„ჩემმა მშობლებმა ლუკაშენკოს წინააღმდეგ მისცეს ხმა, თუმცა ეგზიტპოლზე განაცხადეს, რომ ლუკაშენკოს დაუჭირეს მხარი. იცით, რატომ? იმიტომ, რომ შეეშინდათ, ამის გამო არ დაეჭირათ,“ – წერდა Twitter-ზე პაველი მინსკიდან.

აქციაზე გაჩაღებული ცემატყევის და არეულობის პარალელურად, ბელარუსი ახალგაზრდების აქტიურობამ პიკს მიაღწია Twitter-ზეც. ამ სოციალური ქსელის თემებში ბელარუსის არ-

„საუცდანიშნულების რაზმებისგან თავი შორს დაიჭირეთ. მათ

ძალიან უყვართ ლამაზი გოგონები. განსაკუთრებით ლამაზფეხებიანები...“. Twitter-ით აფრთხილებდა აქციებზე დაზარალებული რომანი თავის ნაცნობებს.

„ბელარუსის სასამართლომ ყრუ-მუნჯი ადამიანი „ანტი-სახელმწიფოებრივი სლოგანების ძახილისთვის“ დააკავა“, – წერდა ცნობილი ბელარუსი მკვლევარი და ბლოგერი ევგენი მოროზოვი.

არჩევნებიდან ორ დღეში Twitter-ზე ეიფორიამ იკლო, რასაც ბელარუსების პესიმისტური განცხადებები მოჰყვა. მინსკელი ვიტა ფიქრობს, რომ ქუჩის რევოლუციები ბელარუსების ძლიერი მხარე არ არის:

„მოდით, მივეყვით გზას, რომელიც ისტორიულად ყველაზე კარგად გამოგვიდის – პარტიზანობას“.

„ჩვენი მიზანია გავაგებინოთ ყველას, რომ ლუკაშენკოს ბევრი მონინააღმდეგე ჰყავს და ასევე ლუკაშენკოს მომხრეებს მაქსიმალური დისკომფორტი შევუქმნათ. მაგალითად, თუ თქვენ მეზობლად ამ რეჟიმის მომხრე პოლიტიკოსი, მოსამართლე ან ჟურნალისტი გყავთ, უარი

თქვით მათთან ურთიერთობაზე და მაქსიმალური ფსიქოლოგიური ზენოლა მოახდინეთ,“ – წერს Asabistabel მინსკიდან საკუთარ ბლოგზე, – „ასევე, შეგიძლია, შავი ლენტები გამოვიყენოთ და საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ლობებზე, სკოლებში, უნივერსიტეტებში და სხვა ადგილებშიც ჩუმად მოვაბათ. საჭირო არ არის ამის მინსკის ცენტრალურ მოედნებზე კეთება. მაქსიმალურად შეუქმნევლად უნდა ვიმოქმედოთ. რიგითო მოქალაქეებო, ნუ ივლით ქალაქის დღეობებზე და დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ ღონისძიებებზე. რაც ასევე მნიშვნელოვანია, გავაქტიურდეთ ინტერნეტში და ამოვებქდით და გავავრცელოთ ყველა ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაზეც ქვეყანაში ბევრს არ მიუწვდება ხელი“.

სანამ პარტიზანული მოძრაობის ლიდერები სამოქმედო გეგმას ამუშავებენ, ნაკლებად ოპტიმისტი ბელარუსები Twitter-ზე ასეთ განცხადებებს ტოვებენ: „ძალიან გთხოვთ, ვინც ქვეყნიდან ბოლო გაფრინდებით, აეროპორტში შექვით არ დაგჩქოთ“.

ოპოზიციურ შტაბებში დიდხანს აკვირდებოდნენ ხულიგნობის ამსახველ კადრებს და აქტივისტების გამოკითხვას ატარებდნენ. აღმოჩნდა, რომ პარლამენტის „შტურმით ამღები“ პირების ვინაობა არავინ იცოდა. მეტიც, „შტურმის“ შესახებ მხოლოდ მეორე დღეს, ლუკაშენკოს განცხადების შემდეგ გახდა ცნობილი. 20 დეკემბერს გამთენიისას თავისუფლების მოედანზე არავინ იცოდა, რომ პარლამენტის კედლებთან შუშებს ლენავდნენ. მოედანზე შეკრებილი ადამიანები მღეროდნენ და ცეკვავდნენ და წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომ ნახევარ საათში ბელარუსის ისტორიაში ოპოზიციის უსასტიკესი დარბევა დაიწყებოდა.

მეორე დღეს ბელარუსის ტელევიზიის მაყურებლები აღშფოთებულები ადვენებდნენ თვალს კადრებს, რომლებიც ხელისუფლებამ თავის გასამართლებლად გაავრცელა: კადრში ახალგაზრდები მთელი ძალით ამსხვრევდნენ პარლამენტის ფანჯრებს და ეს ერთნუთიანი კადრი ხელახლა მეორდებოდა. შემდეგ აჩვენებდნენ მომიტინგეების სპეცრაზმთან შეტაკებას, ბოლოს კი მოედანზე მიმოფანტულ ლუდის და არაყის ცარიელ ბოთლებს. ნეკლაევის მიკროავტობუსში, სადაც ხმისგამაძლიერებელი აპარატურა ინახებოდა, კამერამ არმატურის ნაჭრები და ასაფეთქებელი „იპოვა“ (ნეკლაევი თან ერთად მყოფი რამდენიმე უცხოელი ჟურნალისტის ცნობით, ავტობუსში არანაირი არმატურა და ასაფეთქებელი არ ყოფილა).

ასეთი სურათის წარმოდგენის შემდეგ საზოგადოების მიერ ოპოზიციის გაკიცხვა გარანტირებულია. იმისთვის, რომ მოედანზე გამოსვლის სურვილი კიდევ უფრო ნახდინათ, ბელარუსის ხელი-სუფლებამ შემდეგი გადაწყვეტილებები მიიღო: ოპოზიციური არხები დაიხურება, ამ საიტების რედაქციების თანამშრომლები უკვე დააკავეს, აქციებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს კი აკრძალავენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბელარუსში რეგისტრირებული 15 პოლიტიკური პარტიიდან თითქმის ყველა აქციებში მონაწილეობდა, შეგიძლია დავასკვნათ, რომ ლუკაშენკოს რეჟიმმა პოლიტიკური არენა რამდენიმე წლით გაისუფთავა.



ალექსანდრე ლუკაშენკო, 20 დეკემბერი 2010

პროტესტის დარბევის მოტივი შეიძლება ძალიან მარტივი იყოს: ლუკაშენკოს უბრალოდ ნერვები არ ეყო. შეუძლებელია აქციებზე მისი მისამართით გამოთქმულ შეურაცხყოფებს ის გულგრილი დაეტოვებინა.

ამ ისტორიაში საინტერესო როლი რუსეთმა ითამაშა. დსთ-ს დამკვირვებლები, მათ შორის დუმის დეპუტატები, ბელარუსის არჩევნებს ერთხმად უნოდებენ „აუცილებელ სტანდარტებთან შესაბამისს“, მედვედევმა კი უკვე მიულოცა ლუკაშენკოს არჩევნებში გამარჯვება. და ეს იმ პირობებში, როცა მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ მშვიდობიანი აქციების დარბევა დაგმო, ეუთო კი უარს აცხადებს არჩევნების ლეგიტიმურობის აღიარებაზე.

აქცია რუს საზოგადოებაში მხოლოდ შიშებს აღვივებს. რუსეთში მომავალ წელს საპარლამენტო არჩევნებია. ერთი წლის შემდეგ კი – საპრეზიდენტო. დღეს მოქალაქეებში სოციალურ-ეკონომიკური პირობებით უკმაყოფილების ზრდის პირობებში, არავინ იცის, როგორი იქნება რუსეთი ორი წლის შემდეგ. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილეობას არა ერთი, არამედ ორი რეალური კანდიდატი მიიღებს. შესაძლოა, მოსკოვში და სხვა დიდ ქალაქებში მცხოვრებმა აქტიურმა და უკმაყოფილო მოქალაქეებმაც გადაწყვიტონ ქუჩაში გასვლა და საკუთარი ხმების დაცვა. მათი დარბევის რეცეპტი 19 დეკემბერს მინსკში უკვე დაიწერა და მოსკოვმა ის მოიწონა. მზად არის მოსკოვი, მინსკის შემდეგ მსოფლიოს მიერ მორიგ გარიჟრაჟს ქვეყნად იქცეს?

ტელეარხ HTB-ს გადაცემაში დეპუტატმა მიტროფანოვმა ბელარუსის ხელისუფლების მიერ კრიტიკულად განწყობილ ჟურნალისტებს ასე მიმართა: „და თქვენ რას ელოდით? პარლამენტზე შტურმი განხორციელდა, რომელსაც ხელისუფლებამ ადეკვატურად უპასუხა!“ მიტროფანოვის კოლეგები ერთხმად ამართლებენ ლუკაშენკოს: „ქვეყანაში გადატრიალების მცდელობა იყო!“ 19 დეკემბერს რესტორან „მინსკში“ მსხდომი რუსი დეპუტატების ასეთი რე-

სტატია მომზადებულია პოლონეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით



საფეხბურთო კლუბ „სპარტაკის“ გულშემატკივრები



რუსმა სამართალდამცავებმა დააკავეს საპროტესტო აქციის მონაწილე, მოსკოვი, 15 დეკემბერი 2010

არაულობა მოსკოვი

# სპარტაკისა და სსხ-ს ბუნებასთან სამშობლო

ნაციონალისტური იდეები რუსი რადიკალი საფეხბურთო ფანების იდეოლოგიის მთავარი საფუძველია.

ალექსანდრ ბურიაჩკო, მოსკოვი

პლაკატი „ერთი ყველასთვის“, რომელიც სპარტაკის გულშემატკივრის – იგორ სვირიდოვის – მკვლელების დასჯის მოთხოვნით, ხალხს მანეთის მოედანზე გამოსვლისკენ მოუწოდებდა, ინტერნეტში მის დაკრძალვამდე რამდენიმე დღით ადრე გამოჩნდა. შემდეგ კრემლის კედლებთან რუსე-

თის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური აქცია დაიწყო. „ეს სამი მუშაკეტერის ლოზუნგია“, – ყვება ნიკოლაი, მანეთის მოედანზე მიტინგის მონაწილე და „ცსკ“-ს გულშემატკივარი. „დალესტნელი ბიჭები აზრზე ვერ მოდიან, ვის გაუბედეს ხელის აღმართვა“.

მშვიდობიანობის დროს რუსული საფეხბურთო კლუბების – „სპარტაკისა“ და „ცსკ“-ს ფანები მოსისხლე მტრები არიან. ერთნი მეორეს „ცხენებს“ უწოდებენ, ისინი, თავის მხრივ, პირველს „ლორებს“ ან „ხორცის ნაჭერს“. თუმცა, დღეს დაპირისპირების დრო არაა. „ჩვენი ძმა მოკლეს. ორი თვის წინ,

მოსკოვში დერბის დროს, დიდი სიამოვნებით მოვარტყამდით ნებისმიერ „სპარტაკელს“ თავში ერთ-ორ „პენალტს“, მაგრამ დღეს ამას მნიშვნელობა არა აქვს. დღეს დაღუპული „სპარტაკელი“ ჩვენი ძმაა,“ – ამბობს ნიკოლაი. ის 17 წლისაა და უკვე ხელმძღვანელობს „მოზს“ – ფანების აგრესიულ ჯგუფს. დღეს იგი მზადაა, ყველა ძველი წყენა დაივიწყოს. „ფეხბურთში არსებობს ერთი დაუნერეელი კანონი: თუ „ცსკ“ „სპარტაკს“ ეთამაშება, მზად ვართ იმისთვის, რომ „სპარტაკის“ ფანები დედას გვიტირებენ. არც „სპარტაკის“ გულშემატკივარს გაუკვირდება, თუ ჩვენი „მოზი“ თავს დაესხმება. ყველაფერი იცვლება, როცა ეროვნული ნაკრები თამაშობს. კლუბების „ფერების“ მიხედვით დიფერენციაცია უკანა პლანზე გადადის. ამ შემთხვევაშიც ასეა. ყველა უთანხმოება

დავივიწყეთ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ 11 დეკემბერს მანეთის მოედანზე კრემლთან ეროვნული ნაკრები შეიკრიბა.“ „მოსკოვი „ჩურკების“ გარეშე!“, „უაიტ ფაუერ!“, „წინ რუსები!“ – ყველა ეს ლოზუნგი სტადიონებიდან სვირიდოვის მკვლელობამდეც ისმოდა. ნიკოლაი ჩრდილოეთ კავკასიაში ნამყოფია. ის იხსენებს მოგზაურობას, როცა მისი გუნდი „ანჟისა“ და „ნალჩიკთან“ (ჩრდილოეთკავკასიური საფეხბურთო გუნდები) თამაშობდა. „ჩვენ იქ ძალიან დიდი პრობლემები შეგვექმნა. დალესტანში შესვლისას ჩვენს ავტობუსებს ტრავმატული იარაღი დაუშინეს. უარესად იყო საქმე ნალჩიკში – იქ მივიტანეთ პლაკატი БИШОВЕЦ ВПЕРЕД (ბიშოვეცი საფეხბურთო გუნდის მწვრთნელია). „ძალებმა“ უპრობლემოდ გავატარეს. შემდეგ პლაკატი

ნაწილებად დაფეხვით, ასოები გადავანყვეთ და გამოვიდა: ОБЩЕЕ БИ. მაგრა ვიხალისეთ. სხვათა შორის, აქედან მოდის ლოზუნგი "Ебать Кавказ". როგორც შემდეგ გაირკვა, საფეხბურთო ხელმძღვანელობიდან არავინ მოელოდა ფანების დანახვას, რომლებიც კრემლის კედლებთან ფაშისტური მისალმების ნიშნად ხელებს მაღლა წევდნენ. რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვალერი მუტკომ ლოზუნგი „რუსეთი რუსებისთვის“ ასე შეაფასა: „მე ვიცნობ გულშემატკივართა მოძრაობებს და შემიძლია ვთქვა, რომ ისინი არასდროს იყვნენ პოლიტიზირებულნი, არასდროს ეგებოდნენ პროვოკაციებზე. ხულიგნობდნენ, თუმცა ნაციონალისტური მოწოდებებით არ გამოდიოდნენ. ბოლო წლის განმავლობაში,

გულშემატკივრებს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი. ეს არის ორგანიზებული დაჯგუფება, რომელთანაც მუშაობა აუცილებელია“.

ნაციონალისტური იდეები და სიმბოლიკა რადიკალი საფეხბურთო ფანების იდეოლოგიის ერთ-ერთი საფუძველია.

„სპარტაკის“ ფანების მოსკოვური ორგანიზაციის „ფრატრიის“ დამფუძნებელს ივან კატანაევს ასეთი მეტსახელი აქვს: „კომბატ -18“. ლათინური ანბანის მიხედვით,1 და 8 ადოლფ ჰიტლერის ინიციალების ნუმეროლოგიური შემოკლებაა.

„ყველა ფანს მოსწონს „white power“-ის იდეა და უკმაყოფილოა სახელმწიფოს მიგრაციის პოლიტიკით,“ – ჯერ კიდევ 2002 წელს, ფანების დაპირისპირებით დასრულებული რუსეთ-იაპონიის საფეხბურთო მატჩის შემდეგ ამბობდა 25 წლის ალექსანდრე შპრიგინი. მაშინ იგი მოსკოვის დინამოს ფანკლუბის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

ერთ-ერთი მატჩის შემდეგ ჩხუბისთვის მომდევნო ხუთი წელი ამ ადამიანმა პატიმრობაში გაატარა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ კი, ქვეყნის მთავარი გუნდის ოფიციალური გულშემატკივარი გახდა და რუსული ფეხბურთის ხელმძღვანელობასაც დაუმეგობრდა.

გაზეთ „კომერსანტთან“ ინტერვიუში რუსეთის გულშემატკივართა საზოგადოების თავმჯდომარემ, ალექსანდრე შპრიგინმა თქვა, რომ მანუჟის მოედანზე არეულობებთან არავითარი კავშირი არ აქვს:

„მანუჟის მოედანზე რუსი ერი იდგა. იქ „კარლიკები“ იყვნენ (14-18 წლის ასაკის თაობა), რომლებიც ფანატურ მოძრაობებში პირველ ნაბიჯებს დგამენ. ისინი ცხოვრებას ფანატების ინტერნეტსაიტებიდან, ფანატური „ტუსოვკებიდან“ და ინტერნეტიდან სწავლობენ. მანუჟზე გამოვიდნენ მოზრდილი თაობის წარმომადგენლებიც, თუმცა საფეხბურთო ფანატების ელიტა იქ არ ყოფილა. სწორედ ამის გამო იყო ხალხის მასა უმართავი“.

საფეხბურთო დაჯგუფებების ლიდერები ამბობენ, რომ აქციამდე ერთი დღით ადრე პოლიციას მათთან სერიოზული საუბარი ჰქონდა. თავად ლიდე-

რები აქციებზე არ წასულან, თუმცა უამრავი რიგითი წევრი, კოორდინატორების ნების საწინააღმდეგოდ, მაინც იდგა მოედანზე.

„ფეხბურთზე მოსიარულეთა ახალი თაობა, დიდი ხანია, ერთ დიდ ულტრამემარჯვენე არაკონტროლირებად ბრბოდ იქცა,“ – ამბობს გაზეთ New Times-თან ინტერვიუში „ცსკ“-ს ფანი, მეტსახელად „სლაიონი“, რომელიც ადრე დაჯგუფება „ნაცი-ტრუპის“ წევრი იყო. „მოსკოვში უკვე 20 ათასამდე „მემარჯვენე“ ფანატია, რომელთა უმრავლესობა არავის ექვემდებარება. ინტერნეტის მომხმარებლების 80 პროცენტი „ვკონტაქტეს“ იყენებს, რაც, საჭიროების შემთხვევაში, ადამიანების შეკრების ეფექტური საშუალებაა“.

ქსელური ორგანიზაციის უპირატესობები კარგად ესმოდათ პროსახელისუფლებო ახალგაზრდულ დაჯგუფებებსაც, ამ ქსელებს ეფექტურად იყენებდნენ კიდევც. ახალგაზრდული მოძრაობების ლიდერის – ვასილი იაკომენკოს – ინტერვიუდან უკრაინის „ნარინჯისფერ რევოლუციასთან“ დაკავშირებით: „საკითხის მაიდანზე გადაწყვეტა რომ დამჭირებოდა, აი, რას მოვიმოქმედებდი: „ჩემს კოლეგებს, „სპარტაკის“ გულშემატკივართა მოძრაობის წევრებს დავუკავშირებოდი. ისინი ხუთი ათასამდე მომხრეს შეკრებდნენ, თავიანთ ცისფერ პლასტმასის სკამებსაც წამოიღებდნენ, რომელთაც ისინი სტადიონზე ჩხუბისას იყენებენ. ჩვენ მათ ხუთ რეისზე ჩავტვირთავდით, კიევში ჩავიყვანდით და ამ ცისფერი სკამებით ისინი მომიტიგეებს მაიდანთან დნეპრისკენ გადავნიდნენ“.

ძველმა ულტრამემარჯვენე ნაციონალურმა ორგანიზაციებმა, როგორც „სლავების კავშირი“ და „მოძრაობა არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ“ არიან, მანუჟზე გამოსულ ფანებს ოფიციალურად დაუჭირეს მხარი. თუმცა მათ უპასუხეს, რომ „ძველებმა საკუთარი თავი ამოწურეთ და თან, არ არის გამორიცხული კრემლის ინიციატივით იყოთ შექმნილი“.

ბლოგერები მანუჟის მოედანზე გა-

დაღებულ ფოტოებზე კრემლის მხარდამჭერი ორგანიზაციების „ნაში“-ს და „როსია მოლოდია“-ს წევრების ამოცნობას ცდილობდნენ. თუმცა, მხოლოდ „ნაში“-მ აღიარა, რომ ნაციონალისტების ტალღაში იყო რამდენიმე პროვოკატორი, რომლებიც ოდესღაც „სელიგერეში“ – კრემლის პატრიოტულ ბანაკში – იმყოფებოდნენ.

თუმცა, აქციების უშუალო ორგანიზატორის ვინაობა დღემდე უცნობია. არ არის გამორიცხული, რომ ამ აქციებს მართლაც არ ჰყოლოდა ერთი კონკრეტული ორგანიზატორი. ილია კუბრაკოვი, რომელიც რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა რამიდ ნურგალიევა აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორად დაასახელა, 14 წლის მერვეკლასელი აღმოჩნდა.

ნაციონალისტური ხასიათის მქონე მასშტაბურმა შეტაკებებმა აჩვენა, რომ 21-ე საუკუნეში შექმნილმა კრემლის ახალგაზრდულმა პოლიტიკამ, რომელიც „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ჩასახშობად შეიქმნა, კრახი განიცადა.


იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაუშვებთ, რომ გულშემატკივრები და სტუდენტები სასტიკ მეთაობზე-ნაციონალისტებად თავისით გადაიქცნენ, სახელმწიფო ჩარევის გარეშე, ის, რაც მანუჟის მოედანზე მოხდა, მაინც კრემლის პოლიტიკის „დამსახურებაა“. აშკარაა, რომ ისინი ხელიდან გაეცნენ მათ, ვინც პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა თაობაზე.

მოზარდმა ნიკოლაიმ ახალი თაობის ფილოსოფია ასე ჩამოაყალიბა:

„რაში მდგომარეობს ფეხბურთთან დაკავშირებული მოძრაობების ხიბლი და რა არის მისი მთავარი საფრთხე... სტადიონი – ეს თავისუფალი პოლიტიკური თვითგამოხატვის ზონაა. უფრო სწორედ, ეს ნებისმიერი სახის განცხადებების ზონაა. თუ ქუჩაში „ძაღლების“ თანდასწრებით დაიძახებ „mycora cosaty“, შენ განყოფილებაში ნავიყვანენ და დაგაჯარიმებენ... ან სულაც რამეს ჩაგიგდევენ... ხოლო როდესაც ამას 21 ათასი ადამიანი ჰყვირის, ამის წინააღმდეგ რაიმეს ზომების მიღება უკვე ძალიან რთულია“.

# საქართველო 2010 წელს

## წლის მნიშვნელოვანი მოვლენები



მაისი 2010

# თბილისის პირველი ხარვეზი

2010 წელს, ისტორიაში პირველად, თბილისელებმა მერი აირჩიეს.



მერობის კანდიდატი გიგი უგულავა საარჩევნო უბანზე, თბილისი 30 მაისი 2010

ფოტო: ვაჰაგნი ბაჩვალაძე / REUTERS

**30 მაისის** თვითმმართველობის არჩევნები წლის მთავარ შიდაპოლიტიკურ მოვლენად იქცა და 2009 წელს დაწყებული ფართომასშტაბიანი ოპოზიციური პროტესტების გაგრძელება გახდა. ხელისუფლებამ ვადამდელი თვითმმართველობის არჩევნები პოლიტიკური კრიზისის განსამუხტად დანიშნა.

თვითმმართველობის არჩევნებმა პოლიტიკური პროცესები ქუჩიდან საარჩევნო ურნებთან გადაიტანა. თუმცა, დათმობა, რომელიც ოპოზიციისთვის შანსი უნდა ყოფილიყო, რეალურად, მისი დასუსტების დასაწყისად იქცა.

ბიუჯეტიდან დაფინანსებული გრანდიოზული პროექტების, ადმინისტრაციული რესურსის შეუზღუდავად გამოყენებისა და ნაციონალური ტელეარხების სრული მხარდაჭერის დახმარებით, თბილისში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა, მოქმედმა მერმა გიგი უგულავამ გაიმარჯვა. მისი წინასაარჩევნო კამპანია იმდენად მასშტაბური აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური კომენტატორები მას საპრეზიდენტო კამპანიას ადარებდნენ.

მერობის ყველაზე პერსპექტიული, ოპოზიციონერი კანდიდატი ირაკლი ალასანია, დიდი სხვაობით მეორე ადგილზე გავიდა და უგულავას არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. ეს პირველი შემთხვევა იყო საქართველოს საარჩევნო ისტორიაში, როდესაც დამარცხებულმა მხარემ ხელისუფლება გამარჯვებულად აღიარა.

თბილისის საკრებულომ უკვე დაამტკიცა დედაქალაქის 2011 წლის ბიუჯეტი, რომელიც 123 მილიონი ლარით ნაკლებია, ვიდრე 2010 წლის ბიუჯეტი იყო და ბევრ იმ დაპირებას არ ითვალისწინებს, რომელიც უგულავამ წინასაარჩევნოდ მისცა თბილისელებს. **■**

**კომენტარი**

**ირაკლი ალასანია**  
„ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატიის“ ლიდერი



ფოტო: ლევან ხინჭოსია

მადგენლობა. ჩვენ ხელისუფლებაში მოსვლას არჩევნების გზით ვგეგმავთ და დარწმუნებული ვარ, წარმატებას მივაღწევთ. **■**

**კომენტარი**

**ლუის ნავარო**  
ამერიკის „ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) დირექტორი

პირველი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ 2008 წლის არჩევნებთან შედარებით, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები უკეთესად ჩატარდა. მეორე – 2010 წლის მუნიციპალური არჩევნები იყო პირველი არჩევნები, როდესაც თბილისელებმა პირდაპირი წესით აირჩიეს ქალაქის მერი. და მესამე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და პირდაპირ იყო დაკავშირებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან, და ეფუძნება NDI-ის და სხვადასხვა ორგანიზაციის გამოკითხვებს, არის ის, რომ საქართველოს მოსახლეობას გაცილებით უფრო კარგად ესმის პოლიტიკა, ვიდრე პოლიტიკურ პარტიებს ჰგონია.

ჩემი აზრით, არჩევნებმა გავლენა ქვეყნის შიდაპოლიტიკურ მოვლენებზე



ფოტო: სანთა ფაშვილი

**■ უგულავას წინასაარჩევნო კამპანია იმდენად მასშტაბური აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური კომენტატორები მას საპრეზიდენტო კამპანიას ადარებდნენ.**

ბზე სამი მიმართულებით მოახდინა. პირველი – უგულავა ამ კონკრეტული არჩევნებისთვის წარდგა, როგორც კანდიდატი, რომლის კამპანიის მთავარი აქცენტი არ ყოფილა მისი როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატობა. იგი მუდმივად იმეორებდა სლოგანს „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“, ეს იყო არაპირდაპირი დისტანცირება პარტიისგან, რამაც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა თბილისში მის წარმატებაში, ქალაქში, რომელიც ოპოზიციის საყრდენს წარმოადგენდა. მეორე – ამ არჩევნებში ჩვენ დავინახეთ ორი პარტია, რომლებმაც აჩვენეს მნიშვნელოვანი ელექტორალური სიძლიერე: ერთი იყო ალასანიას „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატიები“ და მეორე – თარგამაძის „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“. ჩვენი საქართველო – თავისუფალმა დემოკრატიებმა თავიანთი ძალა უჩვენეს ისტორიულად ოპოზიციურად განწყობილ დედაქალაქში, „ქრისტიან-დემოკრატიებმა“ კი თავიანთი სიძლიერე წარმოაჩინეს დანარჩენ საქართველოში. მესამე მნიშვნელოვანი საკითხი: მიუხედავად იმისა, რომ „კონსერვატორები“ და „მრევლები“ არასაპარლამენტო პარტიებია, მათ აჩვენეს საკმარისი ელექტორალური მხარდაჭერა საარჩევნო ბარიერის გადასალახად. ეს იმის მანიშნებელია, რომ არიან არასაპარლამენტო პარტიები, რომლებსაც ჰყავთ საკმარისი რაოდენობის ამომრჩეველი იმისათვის, რომ გადალახონ საარჩევნო ბარიერი, სწორედ ამის დემონსტრირება მოხდა თვითმმართველობის არჩევნებზე.

ვფიქრობ ნათელია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის პირობებში სახელისუფლებო პარტიას აშკარა და გადამწყვეტი უპირატესობა ჰქონდა სხვა ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით.

ასევე, ამ არჩევნებში თარგამაძის და ალასანიას საარჩევნო შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლები ამ კონკრეტულ არჩევნებში უფრო ზომიერად არიან განწყობილი და კონსტრუქციულ ჩართულობას უჭერენ მხარს. **■**

მაისი 2010

# "იმედის" "მოღაღიხაბული ჟიჟონია"



2010 წლის 13 მარტს საქართველოს მოსახლეობამ კიდევ ერთხელ განიცადა რუსეთთან ომის საშიშროება. ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, დაახლოებით, ნახევარი საათის განმავლობაში 2008 წლის აგვისტოს ომის კადრები გადიოდა, წამყვანისა და ჟურნალისტების ტექსტები კი ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ საომარი დაპირისპირება განახლდა.

გადაცემა „სპეციალური რეპორტაჟის“ დასაწყისში წამყვანის, ნათია კობერიძის გაფრთხილება, რომ ყველაფერი რასაც ეთერში ნახავდნენ, დადგული იყო, მაყურებლების ნაწილმა ვერ მოისმინა. იმის გამო, რომ „მოდელირებულ ქრონიკას“ ნახევარი საათის განმავლობაში არანაირი გამაფრთხილებელი წარწერა არ ჰქონია, მაყურებლებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ომი დაიწყო.

აპრილში NDI-ს მიერ გამოკითხულთა 68 პროცენტმა განაცხადა, რომ „მოდელირებულ ქრონიკაში“ გასული ინფორმაცია დაიჯერა. მათი 85 პროცენტი კი ამბობდა, რომ ამ ინფორმაციამ მათზე უარყოფითად იმოქმედა.

ნახევარი საათის განმავლობაში საგანგებო რეჟიმში მომუშავე „ქრონიკის“ მაყურებელმა შეიტყო, რომ „ახალგორის რაიონსა და ერგნეთში რუსეთის რეგულარული არმიის შენაერთებმა საბრძოლო მზადყოფნა გამოაცხადეს და თბილისისკენ დაიძრნენ. ნინო ბურჯანაძემ და ზურაბ ნოღაიდელმა ხელისუფლება არაღეგტიმურად გამოაცხადეს და „სახალხო მთავრობის“ შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს.

გამოგონილ ამბავში ედუარდ კოკოთის თავს დაესხნენ. მოკლეს პრეზიდენტი სააკაშვილი. კრემლში მედვედევთან საგანგებო შეხვედრა გაიმართა. სანამ ობამა და ბაიდენი საქართველოს მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებდნენ, მცხეთასთან „პირველი შეტაკებები“ დაიწყო. ქართველ მოხალისეებს კი უკვე იარაღს ურიგებდნენ.

„ქრონიკის“ ეთერის მიმდინარეობისას გადაიტვირთა მობილური ტელეფონების ხაზები. იმატა სასწრაფო დახმარების გამოძახებების შემთხვევებმა.

პანიკას მოგვიანებით „იმედის“ წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციე-



სურათი იმედის ბაზრისგან

საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერი მანანა მანჯგალაძე „იმედთან“ „მოდელირებული ქრონიკის“ კომენტარებისას, თბილისი 13 მარტი 2010

ბი მოჰყვა. მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის აპარატში 3 სარჩელი შევიდა. ყველა მათგანის ავტორი ირწმუნებოდა, რომ იმიტირებული „ქრონიკის“ ყურებისას ნერვული შოკი დაემართა. სოფელ არაგვისპირში მცხოვრები ოდიშელიძეები დღესაც ირწმუნებიან, რომ გადაცემას მათი ოჯახის წევრი გაიოზ ოდიშელიძე შეენირა. ის „მოდელირებული ქრონიკის“ ყურებისას გარდაიცვალა.

ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელმა გიორგი არველაძემ მომხდარზე პასუხისმგებლობა აიღო და მაყურებელს ბოდიში მოუხადა. თუმცა აღნიშნა, რომ ამის გამო თანამდებობის დატოვებას არ აპირებს.

„მოდელირებული ქრონიკის“ მიზანი იყო, საზოგადოებას თვალნათლივ დაენახა რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხეები, – აცხადებდა გიორგი არველაძე.

გადაცემა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. ჟურნალ „ეკონომისტის“ „ყველაზე შოკისმომგვრელ სიცრუეთა ათეულში“ კი „მოდელირებული ქრონიკა“ პირველ ადგილზე მოხვდა.

„მოდელირებული ქრონიკის“ გამო, გადაცემა „სპეციალური რეპორტაჟის“ წამყვანი ნათია კობერიძე საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი მუხლის დარღვევაში დაადანა-

**მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის აპარატში 3 სარჩელი შევიდა. ყველა მათგანის ავტორი ირწმუნებოდა, რომ იმიტირებული „ქრონიკის“ ყურებისას ნერვული შოკი დაემართა.**

შაულეს. პირველი მუხლი გულისხმობს, რომ „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“. საბჭოს გადამწყვეტილების შემდეგ ნათია კობერიძემ ქარტია დატოვა.

მოგვიანებით რუსულ საიტებზე გამოქვეყნდა არველაძის და მისი მოადგილის, ეკა წამალაშვილის, ასევე კულტურის მინისტრ ნიკა რურუას და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სატელეფონო ჩანაწერები. საიდანაც ირკვევა, რომ „მოდელირებული ქრონიკის“ შესახებ საქმის კურსში საქართველოს პრეზიდენტიც იყო. ჩანაწერების მიხედვით, გადაცემის ავტორებს სააკაშვილი მითითებებსაც აძლევდა. აუდიოჩანაწერების კვლევა „ახალი მემარჯვენეების“ დაკვეთით ბრიტანელმა სპეციალისტებმა ჩაატარეს და მათი ნამდვილობა დაადგინეს. თუმცა ამ ფაქტს გამოხმაურება არ მოჰყოლია.

### კომენტარი

**ალექსანდრე რონდელი**  
გადაცემის მონაწილე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი

ნებისმიერი გადაცემა შეიძლება გააკეთო, რომელიც კანონში, პროფესიულ ჩარჩოებში და გემოვნებაში ჯდება. პროფესიულ ჩარჩოებზე და გემოვნებაზე შეიძლება იდავო, მაგრამ კანონი კანონია. ეს „ქრონიკა“ იყო შედეგი იმისა, რომ ჩვენში შიში რუსეთთან ომისა კიდევ არსებობს. შიში იმისა, რომ ჩვენი ძლიერი მეზობელი ხელს აფათურებს ჩვენთან – კარგად ჩანს. ეს გადაცემა გათვლილი იყო იმაზე, რომ შიში არსებობს და მოსახლეობამ ის უნდა შეიგრძნოს. მაგრამ ფორმა, როგორც იყო გაკეთებული, გადმოცემული, არასწორი აღმოჩნდა. ყველგან აკეთებენ მსგავს რაღაცებს, მაგრამ დიდი სიფრთხილე უნდა.

„მოდელირებულ ქრონიკაში“ ყველაზე მეტად ზომიერების გრძნობა არ იყო დაცული. არ უფიქრიათ, რომ შიშის და პანიკის ელემენტი მოხსნილიყო წინასწარი გაფრთხილებით, წარწერებით, რომელიც ყოველ წუთში გაჩვენებს, რომ ეს არ არის სიმართლე. მოხდა ამკარა გადაცენა, შედეგი კი იყო ყველაზე ცუდი. ხალხმა, რომელიც ტელე თუ რადიოგადაცემაში მოგვიანებით ჩაერთო, ვერ გაიგო, რა ხდებოდა და შეეშინდა. ომი უკვე მომხდარი იყო და მოულოდნელი არ იქნებოდა მისი გამეორება. ჩვენი მოსახლეობა, რომელიც ისედაც ემოციურია, პანიკაში ჩავარდა. ეს გასაგებია. ხალხის რეაქცია იმ მომენტში ბუნებრივად მძიმე იყო.

ჩვენ, ვინც სტუდიაში ვისხედით, ყველას დისკომფორტის შეგრძნება გვექონდა, თან უკვე რაღაც ხმები მოდიოდა გარედან ტელეფონებით. ვხვდებოდით, რომ შედეგები მაინცდამაინც სასიამოვნო არ იყო, მაგრამ მასშტაბს ძნელად წარმოვიდგენდით.



ივნი 2010

# აშქიიხა - სიქიხთვილო



ჰილარი კლინტონი, თბილისი 2010

ფოტო: ზურა კოხჩიაშვილი

**„საქართველოში** ჩამოვედი ჩემი და პრეზიდენტი ობამას ცალსახა პოზიციის დასადასტურებლად. ამერიკის შეერთებულ შტატებს მტკიცედ აქვს გადამწყვეტილი, მხარი დაუჭიროს საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას,“ – განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა საქართველოში ვიზიტისას.

2010 წლის 5 ივლისს კლინტონი თბილისში 6 საათით ჩამოვიდა, მაგრამ

მისი ვიზიტი გასული წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენებში მოხვდა. თეთრ სახლში ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მოსვლისა და ამერიკა-რუსეთის „გადატვირთვის პოლიტიკის“ დაწყების შემდეგ, გაჩნდა კითხვა: ხომ არ შეეწინებოდა გადატვირთვის ამერიკის მოკავშირე პატარა ქვეყნების ინტერესები?

„საქართველოში შეჭრა და მისი ტერიტორიების ოკუპაცია – იმ სიის სათავეშია, რომლის გამოც ჩვენ რუსეთს

ვაკრიტიკებთ და ვენიანალმდეგებით“ – განაცხადა კლინტონმა.

ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტი შეფასდა, როგორ იმის დადასტურება, რომ ამერიკის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, რუსეთთან დაწყებული ახალი ურთიერთობის მიუხედავად, არ იცვლება. 2010 წელს ყველა შესაბამის დოკუმენტში ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია თანმიმდევრულად აფიქსირებდა, რომ საქართველოს ტერიტორიის

ნაწილი რუსეთის მიერაა ოკუპირებული.

რუსეთის პრეზიდენტებმა ბარაკ ობამამ და დიმიტრი მედვედევმა ვაშინგტონში გამართული შეხვედრის შემდეგაც განაცხადეს, რომ მათ „გადატვირთვის“ პოლიტიკაში საქართველო კვლავ უთანხმოების მიზეზად რჩება.

წლის დასაწყისში საქართველოს ხელისუფლებამ ვაშინგტონში ორი გავლენიანი ლობისტური კომპანია იქირავა, რომელთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ბარაკ ობამასა და მიხეილ სააკაშვილის პირისპირ შეხვედრის ორგანიზება. 13 აპრილს ამერიკაში ვიზიტისას, Fox News-თან ინტერვიუში სააკაშვილს ჰკითხეს, თუ რატომ ვერ მოხერხდა მისი და ამერიკის პრეზიდენტის შეხვედრა, რაზეც სააკაშვილმა უპასუხა „ეს მხოლოდ დროის საკითხია“.

ორი პრეზიდენტის პირისპირ შეხვედრა მხოლოდ წლის ბოლოს, ლისაბონში, ნატოს სამიტის დროს შედგა.

„პრეზიდენტმა ობამამ კიდევ ერთხელ დაადასტურა აშშ-ის მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისადმი და ტერიტორიული მთლიანობისადმი. პრეზიდენტმა ობამამ ავღანეთის ოპერაციაში საქართველოს მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის და იმ მსხვერპლისთვის, რომელიც მამაცმა ქართველმა სამხედროებმა გაიღეს, მადლიერება გამოხატა,“ – ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში.

ჰილარი კლინტონის ვიზიტმა და ბარაკ ობამასთან პირისპირ შეხვედრამ, დიდწილად გაფანტა ეჭვი იმის შესახებ, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაცია აღარ გაითვალისწინებდა საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებს. მიუხედავად ამისა, 2010 წელს კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ევროპასთან ინტეგრაცია დააჩქარა და რამდენიმე ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც არ ემთხვევა ადმინისტრაციის პოზიციას, მაგალითად აღიარა ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები. **■**

### კომენტარი

**თინა ხიდაშელი**  
„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი

ფორმალური ნიშნების იქით ვერ ნავალთ. ფორმალური თვალსაზრისით, როცა ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჩამოდის ქვეყანაში, ეს კარგია. ორ შემთხვევაში ჩამოდის ხოლმე, როდესაც საქმე ფუნდამენტურად ცუდად არის (მაგალითად, ერაყში, ავღანეთში ხშირია ამერიკის სხვადასხვა მდივნის ვიზიტები) და მეორე – როდესაც დემონსტრირება ხდება თანამშრომლობის გაგრძელების, ურთიერთობის სიმყარის. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო, რომ ახალი ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ ქვეყნის მხარდასაჭერი განცხადება თბილისში გაკეთებულიყო.

თუმცა 2010 წელს აბსოლუტურად არაფერი მომხდარა საქართველო-ამერიკის ურთიერთობებში, რაც ჩვენ პოზიტიურ სიგნალს მოგვცემდა რეალური შედეგებისთვის.

კი ბატონო, ზეპირად ვამბობთ, რომ ოკუპაცია მოხდა, რომ რუსული ჯარი უნდა გავიდეს, მაგრამ ამასობაში ამ ამბავს არ უნდა შეეწიროს ამერიკა-ევროკავშირის, ან ამერიკა-რუსეთის ურთიერთობები, ამიტომ საქართველოს, როგორც პატარა ბავშვს, კანფეტს მისცემენ, რომ დააწყნარონ. ობამა-საკაშვილის შეხვედრა ლისაბონში ამის მაგალითია. „თქვენც გვახსოვხართ“ – ასეთი იყო მესიჯი.

სახელისუფლებო პროპაგანდა დღეს ცდილობს ამა თუ იმ საერთაშორისო პოლიტიკოსის ესა თუ ის განცხადება მოგვყიდოს, როგორც გარღვევა დიპლომატიაში და უდიდესი წარმატება. ამ განცხადებებს ან გადანყვეტილებებს მაშინ ექნება მნიშვნელობა, როდესაც რეალურად

**■ საქართველოს ხელისუფლებამ ევროპასთან ინტეგრაცია დააჩქარა და რამდენიმე ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც არ ემთხვევა ამერიკის ადმინისტრაციის პოზიციას.**

რი შედეგები მოჰყვება.

მხოლოდ ფორმალური შეხვედრებით ურთიერთობების გაღრმავება ვერ მოხდება. პროგრესის ნინაპირობა შეიძლება, იყოს ობამას შეხვედრები მოსკოვთან. მხოლოდ იქ შეიძლება, გადამწყვეტილი იქნება ჩვენთვის და არა სააკაშვილთან შეხვედრებზე. ეს რაც შეეხება კონფლიქტებს, ტერიტორიულ საკითხებს, უსაფრთხოების თემას. რაც შეეხება ქვეყნის შიდა პრობლემებს, მხოლოდ მაშინ ექნება ამ შეხვედრებს შედეგი, თუკი შეხვედრების მნიშვნელოვანი ნაწილი გამჭვირვალე იქნება. თუ ეს ყველაფერი დარჩება დახურულ კარს მიღმა ყურში ჩურჩულად და მინიმუმად, რომ სინამდვილეში ჩვენ არ გვინტერესებს შენ დემოკრატია გექნება, თუ არა, მაგრამ თუ გექნება, უკეთესია – მაშინ, რა თქმა უნდა, არაფერი შეიცვლება. **■**

### კომენტარი

**გიგა ზოქვიანი**  
უშიშროების საბჭოს მდივანი



ფოტო: ზურა კოხჩიაშვილი

ობამას ადმინისტრაციის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში დღეს არ დაწყებულია. თუმცა, ცხადია, ნებისმიერი თანამშრომლობა ერთხელ გაკეთებული განცხადება არ არის. ის უნდა გრძელდებოდეს. მით უმეტეს, როცა არსებობს სპეკულაციები ობამას ადმინისტრაციის მხარდაჭერის თემაზე, საჭიროა ამ კითხვაზე მუდმივად პასუხის გაცემა და სახელმწიფო მდივანმა, ჩემი აზრით, ეს ძალიან ეფექტურად და კარგად გააკეთა.

ერთ რამეს მივაქცევდი ყურადღებას – თუ რა დეტალებში ისაუბრა სახელმწიფო მდივანმა, მაგალითად, ყენენის მოლაპარაკებების შესახებ. გაცემა პასუხი სპეკულაციებს იმ თემაზეც, რომ აშშ-ს არ აინტერესებს და არ არის ჩართული მოლაპარაკებათა ამ ფორმატში. **■**

ნოემბერი 2010

# საქართველოს ბადაბუძრის ბადაბუძრის



საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა ევროპარლამენტში, სტრასბურგი, 23 ნოემბერი 2010

ფოტო: ენრიკო კალაბრი / REUTERS

2010 წლის 23 ნოემბერს, აგვისტოს ომის შემდეგ პირველად, მიხეილ სააკაშვილმა სტრასბურგში ევროპარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ იგი რუსეთის ლიდერებთან დიალოგისთვის მზადაა: „ქალბატონებო და ბატონებო, მე მზად ვარ ღრმა და ყოვლისმომცველი დიალოგისთვის ჩემს რუს კოლეგასთან... ჩვენ გვჭირდება რუსეთთან პოლიტიკური დიალოგის დაწყება... ჩვენ ყველას გვინდა, პირადად მე მსურს, რუსეთი იყოს პარტნიორი და არა მტე-

რი“. სააკაშვილმა ასევე განაცხადა, რომ „საქართველო არასოდეს გამოიყენებს ძალას, რათა უკუაგდოს რუსული ოკუპაცია და აღადგინოს კონტროლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე“. პასუხად მოსკოვმა განაცხადა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების ნდობა არ შეიძლება და ეს პოზიცია კიდევ ერთხელ გახდა ფენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის ჩავარდნის მიზეზი. 2010 წელს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში ომის შემდგომი სტატუს-კვო შენარჩუნდა. **■**

**„ძალიან მალე რუსეთს დასავლეთთან ურთიერთობა კიდევ უფრო დასჭირდება და რაღაც პერიოდში მისი მენტალობა შეიცვლება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მანამდე გავაგრძელოთ მოდერნიზაციის პროცესი“ – აკაკი მინაშვილი**

ვაზებების მიუხედავად, რუსეთის მხრიდან კონსტრუქციული, ქმედითი ნაბიჯები არ ჩანს, ამიტომ ორმხრივ ურთიერთობაზე საუბარი რთულია. ერთი, რაც გამოჩნდა, 2010 წელს რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ ძალიან ბევრი სისუსტე აქვს. 2010 წელს რუსეთი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის აღიარების პოლიტიკამ სრული კრახი განიცადა. ამის დასტური იყო 2010 წლის შემოდგომის მოვლენები – ნატოს საპარლამენტო ასამბლეა, ლისაბონის სამიტი, ასტანის სამიტი. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო 2010 წელს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გაკეთებული განცხადებები, რომ რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და არ ასრულებს 12 აგვისტოს ხელშეკრულებას. ამ განცხადებებით ის ახალი რეალობა, რომლის დანერგვასაც ცდილობდა რუსეთი, თითქოს აფხაზეთი და ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან, დაიმსხვრა. ფენევის ფორმატში ყველა თანათავმჯდომარე ადასტურებს, რომ რუსეთის პოზიცია თანამშრომლობაზე ორიენტირებული არ არის და ძალიან არაკონსტრუქციულია. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ აფხაზეთის და ცხინვალის რეჟიმს რუსეთი პირდაპირ აკონტროლებს. დარწმუნებული ვარ, მალე რუსეთის ხელმძღვანელობა მიხვდება, რომ მან მსოფლიოში დამკვიდრებული წესებით უნდა ითამაშოს. ერთი მხრივ, რუსეთი ხედავს, რომ გადატვირთვის პოლიტიკა მიმდინარეობს და მასთან თანამშრომლობისთვის მზადაა დასავლეთი, მეორე მხრივ კი, კრემლი ხედავს, რომ ყოველთვის მთავარ საკითხად დღის წესრიგში საქართველოა წარმოდგენილი. ძალიან მალე რუსეთს დასავლეთთან ურთიერთობა კიდევ უფრო დასჭირდება და რაღაც პერიოდში მისი მენტალობა შეიცვლება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მანამდე გავაგრძელოთ მოდერნიზაციის პროცესი. ეს მთავარი იარაღია ჩვენი განვითარების გზაზე. როცა პრინციპული ხარ რიგ საკითხებში, მაშინ გაქვს მხარდაჭერა. როცა ქაოტური ხარ, პარტნიორიც ვერ გაერკვევა, რაში დაგიჭიროს მხარი. **■**

**კომენტარი**  
**აროსი პინჰარევილი**  
„ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი  
სააკაშვილის განცხადება, რუსეთთან დიალოგის განახლების შესახებ, არის მხოლოდ პიარ-სვლა. მას ესმის, რომ ქვეყანა ღრმა კრიზისშია, საიდანაც გამოსვლა მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებით არის შესაძლებელი. თუმცა, მოსკოვი უკვე აღარასდროს წავა მასთან მოლაპარაკებებზე. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ სააკაშვილთან არაფერი აქვთ სალაპარაკო. ვიცი, რომ მის დაპირებებს რუსეთში სერიოზულად უკვე აღარაფერს უყურებს. ეს კარტი სააკაშვილმა მრავალჯერ გაათამაშა, მათ შორის, „განვდილი ხელის“ შესახებ გაკეთებული განცხადებების სახით. მსგავსი განცხადებები 2004 და 2008 წლებშიც გაკეთდა. ორივე შემთხვევაში, სააკაშვილმა არ შეასრულა თავისი დაპირებები. ამიტომ, რუსეთმა უარი თქვა საქართველოსთან თანამშრომლობაზე. აგვისტოში, სამხედრო კატასტროფის შემდეგ, სააკაშვილი იძულებული გახდა, ხელი მოეწერა სარკოზი-მედვედვის შეთანხმებაზე, რომელიც საქართველოსთვის კაპიტულანტური იყო – ის ავალდებულებს ქართულ მხარეს, სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას, რაც, ირიბად, ამ ტერიტორიების აღიარებას ნიშნავს. სააკაშვილმა სტრასბურგში განაცხადა, რომ მზად არის, წავიდეს დათმობაზე. სწორედ ამიტომ იყო დასავლური პოლიტიკა შედარებით კეთილგანწყობილი მისი გამოსვლის მიმართ. ასე რომ, სააკაშვილი, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, უკვე მერამდენედ ვაჭრობს საქართველოს ინტერესებით. შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ სააკაშვილის რეჟიმის ალტერნატიული პოლიტიკური ძალა მოვიდეს ხელისუფლებაში. **■**



საქაქებუი 2010

# ოპოზიციის ხიზი

**IRI-ს** („ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტი“) მიერ 2010 წლის 27 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარებული კვლევების მიხედვით, ოპოზიციური ლიდერების რეიტინგები სახელისუფლებო რეიტინგებთან შედარებით მკვეთრად დაბალია.

კითხვაზე – ვის შეუძლია საუკეთესოდ მართოს ქვეყანა? – IRI-მ ასეთი პასუხები მიიღო: სააკაშვილი – 46 პროცენტი, ირაკლი ალასანიამ და ირაკლი ოქრუაშვილი – 3-3 პროცენტი, გიორგი თარგამაძემ – 7 პროცენტი, ნინო ბურჯანაძემ – 2 პროცენტი, ზურაბ ნოლაიძელმა – 1.

ეს ნდობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია, რომელიც ოპოზიციას ბოლო წლების განმავლობაში ჰქონია.

2009 წელს ოპოზიციამ მოახერხა პოლიტიკური დღის წესრიგის შეცვლა და ხელისუფლების გადაწყვეტილება თვითმმართველობის არჩევნების ვადაზე ადრე დანიშნის შესახებ, დიდნილად ამით იყო განპირობებული. გაჩნდა მოლოდინი, რომ თვითმმართველობის არჩევნებში ჩართვით, ოპოზიცია კიდევ უფრო გააქტიურდებოდა.

თუმცა 2010 წელს პირიქით მოხდა. წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციამ ძალიან დიდი დრო დახარჯა გაერთიანებაზე, რომელიც საბოლოოდ მაინც არ შედგა.

თბილისის მერობის ყველაზე პერსპექტიულმა ოპოზიციონერმა კანდიდატმა – ირაკლი ალასანიამ, რომელსაც ჰქონდა შანსი ოპოზიციის შიგნით უპირობო ლიდერი გამხდარიყო, არჩევნები სახელისუფლებო კანდიდატთან დიდი სხვაობით წააგო.

არჩევნების შემდეგ, „ალიანსი საქართველოსთვის“ დაიშალა. ალასანიას ყოფილი თანაგუნდელები დღეს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებში გადანაწილდნენ და მისივე ოპონენტებად იქცნენ.

2010 წელი მოსახლეობას ოპოზიციურ ძალთა შორის დაპირისპირებისა და კომ-



ირაკლი ალასანია, 2010

პრომატების ბრძოლითაც დაამახსოვრდება.

ამან სერიოზული დარტყმა მიაყენა ახლად შექმნილ პოლიტიკურ მოძრაობას „ქართულ პარტიას“, რომელშიც ლევან გაჩეჩილაძესთან ერთად ეროსი კინმა-რიშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი და სოზარ სუბარი გაერთიანდნენ.

ეს პარტია, რომელმაც ნოემბერში დამფუძნებელთა ყრილობა გამართა, რადიკალური ოპოზიციის რიგებშიც კი მკვეთრი რიტორიკით და შეურიგებელი ტონით გამოირჩევა.

ნოემბერში კიდევ ერთმა ოპოზიციურმა მოძრაობამ სცადა გააქტიურება. სახალხო კრება, რომელიც ნინო ბურჯანაძის სატელიტი ორგანიზაციაა, მხარდამჭერები პარლამენტის წინ მიტინგზე შეკრიბა, თუმცა კრება მალე დაიშალა და თან უშედეგოდ.

**კომენტარი**

**ია ანთაძე**  
პოლიტიკური მიმომხილველი



2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე გამოიკვეთა ახალი ლიდერი, რომელმაც იმედები ვერ გაამართლა. ირაკლი ალასანიას მსგავს დაბალანსებულ, განონასწორებულ ლიდერზე ძალიან დიდი მოთხოვნა იყო საზოგადოებაში. თუმცა იმას, რასაც ალასანია აკეთებდა არჩევნების დროს, არაფერი ჰქონდა საერთო ოპოზიციონერი ლიდერის საქმიანობასთან.

რაც შეეხება დანარჩენ ოპოზიციას, ისინი ჯერ კიდევ ოპოზიციური ლიდერის ცარიელი ნიშის დაკავებას ცდილობენ. რით არის ეს ნიშა საინტერესო? ერთი იმით, რომ საზოგადოების ყველაზე აგრესიული ნაწილის თავმოყრა უნდა მოხდეს მის გარშემო. ამ ნიშას აუცილებლად დასჭირდება რესურსი იმისთვის, რომ დაუპირისპირდეს ხელისუფლებას. ასეთი ამომრჩეველი ჯერ-

ჯერობით გაფანტულია, მაგრამ შეიძლება მისი თავმოყრა რომელიმე ლიდერის გარშემო.

დღეს ერთმანეთს ნინო ბურჯანაძე და ირაკლი ოქრუაშვილი დაუპირისპირდნენ. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული პარტის“ აღიარებული ლიდერი სოზარ სუბარია, ამჟამად, რომ ბურჯანაძის ძირითადი კონკურენტი ოქრუაშვილია. ამ ორი ადამიანის ენერჯამ უნდა შეავსოს ოპოზიციის ლიდერის ნიშა. შესაძლებელია ერთადეც ყოფილიყვნენ, მაგრამ ვერ მოილაპარაკეს. საქართველოში ოპოზიციური რესურსი იმდენად დიდი არ არის, რომ ორ ლიდერზე გადანაწილდეს.

ხელისუფლება დღეს არის ქმედუნარიანი და ყველამ იცის, რომ მისი შეცვლა არჩევნების გზით ძალიან ძნელია, არჩევნების გარეშე კი, ფაქტობრივად, შეუძლებელი. ეს არ არის შევარდნაძის ხელისუფლება, რომელიც წყნარად წავა სახლში. არჩევნების გარეშე ამ ხელისუფლებასთან ბრძოლა სისხლიან დაპირისპირებას ნიშნავს. ამაზე პასუხისმგებლობას ვერავინ აიღებს.



ოპოზიციის მიზანი უნდა იყოს ხელისუფლების შეცვლა, ან მისი შევინროება მაინც. ოპოზიციამ ჯერჯერობით ვერ შეასრულა ვერცერთი ამოცანა. ხელისუფლება ვერც შეცვალა და ვერც შეავინროვა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოპოზიცია ქმედუნაროა.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ოპოზიცია ასეთად დარჩება მომავალშიც. ახლა მიდის დიდი დულილი ლიდერის ცარიელი ნიშის დასაკავებლად. მომავალი წელი იქნება გადამწყვეტი – ან რომელიმე ოპოზიციური ლიდერი დაიკავებს მას, ან ეს ნიშა კარგა ხნით გათავისუფლდება და სააკაშვილს ექნება სრული კარტ-ბლანში – გააკეთოს ის, რაც არის ჩაფიქრებული ახალი კონსტიტუციით – ისევე ერთი ადამიანის ხელში იყოს თავმოყრილი ძალაუფლება.

**კომენტარი**

**გია ნოღია**  
პოლიტოლოგი

2009 წელს განცდილი მარცხის სიღრმე, თუ არასწორად არჩეული ტაქტიკა 2010 წლის გაზაფხულის ადგილობრივი არჩევნების შედეგებმა გამოავლინა. ამ წლის პირველი ნახევრის შეჯამება ეს იქნება – მათ არჩევნები წააგეს და ამ მარცხით დამთავრდა 2009 წელი.

2010 წლის შემოდგომიდან დაიწყო ახალი პოლიტიკური ციკლი, როდესაც უკვე ძირითადი შინაარსი იცვლება და არის მზადება შემდეგი არჩევნებისთვის. აქ ოპოზიცია უკვე გაიყო ორ ნაწილად – ერთი, რომელიც ემზადება შემდეგი არჩევნებისთვის და ეს, როგორც ჩანს, უკვე არის უმრავლესობა და მეორე ნაწილი, რომელიც რაღაც მიზეზებით ცდილობს, ხელოვნურად გააგრძელოს 2009 წლის სულისკვეთება, რეგულაციური ტალღის აგორება,

**წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციამ ძალიან დიდი დრო დახარჯა გაერთიანებაზე, რომელიც საბოლოოდ მაინც არ შედგა.**

ან ელოდება, შესაბამის პირობებს, რომ ეს ტალღა აგორდეს.

ვერ ვიტყვი, რომ ოპოზიციის რაიმე წარმატებაზე შეიძლება საუბარი. თუ ოპოზიცია გაძლიერდა მომავალ წლებში და ჩამოყალიბდა თანამედროვე დემოკრატიის შესაფერის ოპოზიციად, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ 2010 წლის შემოდგომიდან დაიწყო ოპოზიციის გაძლიერების პროცესი, მაგრამ ჯერჯერობით ამ ეტაპისთვის ასეთი პროგნოზების გაკეთება შეუძლებელია.

ჩემი აზრით, ოპოზიციის ქმედებებმა ხალხის ნდობა აპათით ჩაანაცვლა. ზოგადი ტენდენციის თვალსაზრისით თუ იყო რაღაც მოლოდინები, 2010 წელს ისიც პესიმისტური განწყობებით შეიცვალა.

ივნისი 2010

# ბანსაბჭობა

**25 ივნისს,** ღამის პირველ საათზე, გორის ცენტრალური მოედნიდან სტალინის ძეგლი აიღეს.

სტალინის ძეგლის ჩამოხსნა ხელი-სუფლებამ ტოტალიტარიზმის ნგრევისა და საბჭოთა წარსულთან ბრძოლის სიმბოლოდ შეაფასა, საზოგადოების ნაწილისთვის კი ეს ფაქტი მოჩვენებითი დემოკრატიულობის ნიშნად იქცა.

სტალინს ქანდაკება გორში 1952 წელს, სიცოცხლეშივე დაუდგეს. ძეგლის განადგურება ჯერ კიდევ 1961 წელს ნიკიტა ხრუშჩოვმა გადაწყვიტა, როცა საბჭოთა კავშირში პიროვნების კულტის დაგმობის კამპანია დაიწყო. იგივე სცადეს 1980-90-იან წლებში ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერებმაც, თუმცა გორის მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო, სტალინის ძეგლი მაშინ გადარჩა.

გორელებისთვის ბელადის ძეგლის ჩამოხსნა სრულიად მოულოდნელი იყო. იმ ღამით საპატრულო პოლიციამ მოედანი გადაკეტა. ძეგლთან შეკრებილ 100-მდე მოქალაქეს შორის ხელისუფლების წარმომადგენლები ჭარბობდნენ. ისინი დაემშვიდობნენ ბელადს შეძახილით: „ძირს სატანა!“ ასეთი კონსპირაციის გამო, ისტორიული მოვლენა საიდუმლო ოპერაციას დაემსგავსა.

კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, სტალინის ექვსმეტრიანი ბრინჯაოს ქანდაკების ადგილას 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომსა და სტალინური რეპრესიების დროს დაღუპულ ადამიანთა მემორიალი აღიმართება. „მახინჯ კერპებს არ უნდა ჰქონდეთ ადგილი დამოუკიდებელ, თავისუფალ ქვეყანაში“, – განაცხადა კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ.

საქართველოს პარლამენტი ასევე მალე დაამტკიცებს კანონპროექტს, რომლის თანახმადაც, წითელი ვარ-

სკვლავის, ნამგლისა და უროს და სხვა საბჭოთა სიმბოლიკის საჯარო ადგილებში გამოყენება კანონდარღვევად ჩაითვლება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე გახსნა საბჭოთა არქივი და მოაწყო გამოფენა სახელწოდებით „წითელი ისტორია“, სადაც სტალინის, ბერიას და სხვა პარტიული ლიდერების აქამდე უცნობი ფოტოები და ხელმოწერებია გამოფენილი.

ამგვარად, თანამედროვე საქართველო შეეცდება, გაანადგურის 70-წლიანი საბჭოთა ისტორიის ყველა გარეგნული ნიშანი. **☒**

**კომენტარი**

**სარგო რატიანი**  
ილიას უნივერსიტეტის პროფესორი

განსაბჭოების პროცესი არის მნიშვნელოვანი იმდენად, რამდენადაც მეოცე საუკუნეში საერთოდ დასავლური ცივილიზაცია ყალიბდება ორი ტოტალიტარული რეჟიმის დაპირისპირებაში. ჩვენ რთულად გვაქვს საქმე, რადგან ერთ-ერთი ტოტალიტარული რეჟიმის შექმნის მონაწილეებიც ვიყავით და დაპირისპირებულებიც. შესაბამისად, ჩვენ ორმაგად პასუხისმგებლები ვართ, მოვახდინოთ ისტორიის გააზრება.

გააზრებას, გაცნობიერებას ყოველთვის სჭირდება დისტანცირება. წელს ჩვენთან დაიწყო მოძრაობა ამ მიმართულებით. უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კვლევის ლაბორატორიები, სადაც სტუდენტები სწავლობენ. წელს მოხდა სტალინის ძეგლის დემონტაჟი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. ჩვენ ქვეყანაში გვედგა ძეგლი ადამიანისა, რომელსაც მასშტაბური დანაშაულებები მიუძღვის კაცობრიობის წინაშე. საზოგადოების ერთ ნაწილს იმის გამო ჰქონდა კომპლექსი, რომ სტალინი ქარ-



სტალინის ძეგლი დემონტაჟის შემდეგ, გორი, ივნისი 2010

ფოტო: ბარბაქაძე

თველი იყო და მის მიმართ რალაცნაირი სენტიმენტები უჩნდებოდა დღესაც. ამ ძეგლის დემონტაჟით ჩვენ მოვიხსენით ეს კომპლექსი. ჩვენი შვილები საქართველოში საჯარო სივრცეში აღარ ნახავენ სტალინის ძეგლს, როგორც თავყვანისცემის ობიექტს. ის უნდა იყოს მუზეუმში, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვაღიარებთ და ვიცით, რომ ეს ჩვენი ისტორიაა.

კიდევ ერთი პროცესი, რომელიც წელს დაიწყო – ეხება კანონს საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვასთან დაკავშირებით. შეიძლება გვეტონდეს კამათი, თუ როგორი უნდა იყოს კანონი, მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია, რომ ასეთი კანონი რალაც ფორმით უნდა არსებობდეს. ჩვენ სახელი უნდა დავარქვათ რალაცებს. კანონის მიღებით, ამ სიმბოლიკებს თავის სახელი დაერქმევა – ისინი ჩვენი ისტორიის ნაწილი გახდება. თუ რალაცა სიმბოლო გვერდითაა და არ ვიცით, რა არის ის – ეს ჩვენი წარსული კი არა, დღევანდელი ცხოვრებაა. **☒**

**კომენტარი**

**ზაალ ნანდოშვილი**  
ლიტერატურათმცოდნე

საბჭოთა მემკვიდრეობის ჩვენეული გაგების სიმპტომად შეგვიძლია, მივიჩნიოთ დეპუტატი თორთლადის საკანონმდებლო ინიციატივა სახელწოდებით „თავისუფლების ქარტია“, რომელშიც საუბარია საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვაზე. ეს სიმპტომი გვიჩვენებს, რომ საქართველოში პო-

**კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, სტალინის ექვსმეტრიანი ბრინჯაოს ქანდაკების ადგილას 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომსა და სტალინური რეპრესიების დროს დაღუპულ ადამიანთა მემორიალი აღიმართება.**

ლიტიკოსებს და სამოქალაქო საზოგადოების ერთ ნაწილს „განსაბჭოება“ ესმის, როგორც საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვა, მოშორება, განადგურება. ამგვარ მიდგომას კვებავს (მიამიტური და მცდარი) მოსაზრება, რომ სიმბოლიკების მოშორება და საბჭოთა მემკვიდრეობის დაძლევა ერთი და იგივეა. თორთლადის კანონპროექტი აგრძელებს საქართველოს ოკუპაციის მუზეუმის მიერ დამკვიდრებულ შეხედულებას, თითქოს ყველაფერი საბჭოთა ქართველებისათვის გარედან ყოფილიყოს თავსმოხვეული და ქართველები მხოლოდ ოკუპაციის მსხვერპლნი ყოფილიყვნენ. ამგვარი შეხედულება კი მიგვანიშნებს, რომ ჩვენეული „განსაბჭოება“ ერთ (საბჭოთა) გაყალბებულ ისტორიის სხვა (მაგრამ არანაკლებ ყალბი) ისტორიით ანაცვლებს, შესაბამისად, საბჭოთა მემკვიდრეობისაგან კი არ თავისუფლდება, პირიქით, აგრძელებს მას, ოღონდ სანინააღმდეგო ნიშნით.

საბჭოთა მემკვიდრეობა არ იმალება მის მიერ დატოვებულ შენობებში ან სიმბოლიკებში. საბჭოთა მემკვიდრეობა ჩვენი ცნობიერების და კულტურული პრაქტიკების ნაწილი გახდა. ერთ სფეროს გამოვყოფ: ქართული ურაპატრიოტიზმი – საკუთარი ქართველობით, ქვეყნის წარსულით და წინაპართა მიღწევებით სრულიად ზღვარგადასული სიამაყე, რომელიც ჩამოყალიბდა კონსტანტინე გამსახურდიას და ლევან სანიკიძის რომანებში, ლადო ასათიანის პოეზიაში, და აშ. და რომელიც პოსტსაბჭოთა საქართველოს ნაციონალიზმს დღემდე კვებავს, სწორედ საბჭოთა, საქართველოსათვის გასაბჭოებად შექმნილი პროდუქტია.

საბჭოთა მემკვიდრეობის დასაძლევად (ტოტალიტარიზმგამოვლილი ევროპული ქვეყნების მსგავსად) ვერ იკმარებს სიმბოლიკებთან თამაში – ამისათვის ძალიან დიდი ინტელექტუალური შრომაა გასაწევი. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები საქართველოში არასამთავრობო სექტორმა (საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიამ) და უნივერსიტეტებმა მხოლოდ ცოტა ხნის წინ გადადგეს. **☒**

ოქტომბერი 2010

# ახალი კონსტიტუცია

**2010 წლის 15** ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია დაამტკიცა.

ახალი საკონსტიტუციო მოდელის მიზანი ხელისუფლების შტოებს შორის დარღვეული ბალანსის აღდგენა და ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობიდან შერეულ საპარლამენტო მოდელზე გადასვლაა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა მმართველობის ფორმა იცვლება.

ახალ საკონსტიტუციო მოდელში შემცირდა პრეზიდენტის უფლებამოსილება და პარლამენტი, პრემიერ-მინისტრი და მთავრობა გაძლიერდა.

ძლიერი პრემიერ-მინისტრის პოსტი 2013 წელს ამოქმედდება, იმ დროს, როცა მიხეილ სააკაშვილი თავის მეორე და უკანასკნელ საპრეზიდენტო ვადას ამოწურავს.

ეს საკონსტიტუციო ცვლილებები მიხეილ სააკაშვილს ხელისუფლებაში დარჩენის სამართლებრივ შანსს აძლევს.

ახალი კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო პრემიერ-მინისტრმა და მთავრობამ უნდა მართოს. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. პრეზიდენტი მხოლოდ ფორმალურად წარადგენს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად პირს, რომელსაც საპარლამენტო არჩევნებში პირველ ადგილზე გასული პარტია უკარნახებს.

მთავრობას მთლიანად პრემიერ-მინისტრი დააკომპლექტებს და პარლამენტი დაამტკიცებს. პრეზიდენტი ვეღარ ჩაერევა ვერც ბიუჯეტის ფორმირებაში.

პრეზიდენტი შეინარჩუნებს უმაღლესი მთავარსარდლის სტატუსს.

კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების ნაწილი უკვე 2011 წლიდან ამოქმედდება, მათ შორის, კონსტიტუ-



ფოტო: ლატი მინაროშვილი / REUTERS

ციის ახალი თავი თვითმმართველობის შესახებ და ასევე ახალი კანონი მოსამართლეების შესახებ.

საკონსტიტუციო პროექტის კრიტიკოსები ამბობენ, რომ კონსტიტუცია

მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ თავზე მოირგო და საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ პრემიერ-მინისტრობას გეგმავს.

ამ ეჭვების პასუხად მიხეილ სააკაშ-

ვილმა სხვადასხვა დროს რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი განცხადება გააკეთა.

ფრანგულ „ლე მონდთან“ ინტერვიუში მან თქვა: „მე მიფიქრია ამის (პრემიერ-მინისტრობის) შესახებ, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან ბევრი რამ გაურკვეველია. არავინ იცის, ორი წლის შემდეგ როგორი ეკონომიკური მდგომარეობა იქნება, რა კონსტიტუციური რეფორმა განხორციელდება, როგორი იქნება ჩემი განწყობა და პოლიტიკური რეიტინგი“.

ქუთაისში 12 ივნისს სააკაშვილმა განაცხადა: „ახლა ... მთავარი დებუტები მიდის იმაზე, თუ რა მოხდება 2013 წელს. მიინდა გითხრათ, რომ ჩვენ არასდროს არ ვიქნებით რომელიღაც ბანტუსტანი, სადაც კონსტიტუცია და კანონები მორგებულია კონკრეტულ ადამიანებზე ... რა თქმა უნდა, გამოჩნდება ბევრი ახალი ლიდერი, საქართველოს ეყოლება ახალი პრეზიდენტი, ეყოლება მაქსიმალურად წარმომადგენლობითი მთავრობა, რომელიც დაიცავს ქართველი ხალხის ინტერესებს და სწორედ ქართველი ხალხის კონტროლის ქვეშ იქნება“.

**კომენტარი**

**აავლე კუგლაშვილი**  
პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

ახალი კონსტიტუცია გაცილებით უფრო დაბალანსებულია ძლიერი პარლამენტით, ძლიერი საპრეზიდენტო ინსტიტუტით და სტაბილური მთავრობით. პარლამენტის როლი იზრდება და პარლამენტი ხდება ერთადერთი წყარო, რომელიც ქმნის და აკომპლექტებს მთავრობას. ასეთი რაღაც არ ხდებოდა არასდროს, 95 წლიდან მოყოლებული. მთავრობის დაკომპლექტების პროცესში ყოველთვის იყო დამოუკიდებელი მოთამაშე პრეზიდენტის სახით. ვფიქრობ, ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე საბოლოოდ ძლიერი პოლიტიკური პარტიები უნდა ჩამოყალიბდნენ, რომლებიც წარმოდგენილი იქნებიან პარლამენტში და ქვეყნის მართვაზე პასუ-

ხისმგებლობას გაინაწილებენ.

ჩვენთან, სამწუხაროდ, არის ტრადიცია, რომ ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ გუნდს აქვს, ვინც ხელისუფლებაშია. ყველა სხვა პირი, რომელიც წარმოდგენილია პარლამენტში, უარს აცხადებს მართვის პროცესში მონაწილეობაზე. სწორედ ეს მოდელი შეუწყობს ხელს იმას, რომ ყველა პარტია, რომელიც პარლამენტში იქნება წარმოდგენილი, უშუალოდ აგებს პასუხს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, რადგან ქვეყნის მართვის სადავეები მათ ხელში იქნება.

ახალი კონსტიტუციით ვერაფერს ვერ მოირგებს თანამდებობას. ყველაფერს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტში გამარჯვებული და ხალხის ნების გამომხატველი პარტია იქნება ის, ვინც დააკომპლექტებს აღმასრულებელ ხელისუფლებას.

**კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების ნაწილი უკვე 2011 წლიდან ამოქმედდება, მათ შორის, კონსტიტუციის ახალი თავი თვითმმართველობების შესახებ და ასევე ახალი კანონი მოსამართლეების შესახებ.**

**კომენტარი**

**თამარ ხილაშვილი**  
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წლის 15 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებები სრულად ცვლის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურას და მის დამოკიდებულებას საკანონმდებლო ორგანოსთან. თუმცა ძალთა ბალანსის თვალსაზრისით, შენარჩუნებულია აღმასრულებელი ხელისუფლების დომინანტური მდგომარეობა პარლამენტთან მიმართებაში. განსხვავება ისაა, რომ ახალ რედაქციაში აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი

სიმძიმე პრეზიდენტიდან პრემიერ-მინისტრზე გადადის.

პროექტი ითვალისწინებს პარლამენტის სრულიად ახლებურ როლს მთავრობის ფორმირებაში, მაგრამ პროექტის სამართლებრივი ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ საკანონმდებლო ორგანოს ახალი უფლებამოსილება სათანადო კონსტიტუციური გარანტიებით არაა გამყარებული.

პარლამენტი უფლებამოსილია, შეარჩიოს პრემიერ-მინისტრის ახალი კანდიდატურა და ნდობა გამოუცხადოს მის მიერ წარმოდგენილ მთავრობის შემადგენლობას. მაგრამ ამავე დროს, მინიმუმამდეა დაყვანილი პარლამენტის მონაწილეობა მინისტრთა კაბინეტის შემდგომ ცვლილებებთან, საბიუჯეტო საკითხებთან და ზოგადად, მთავრობის საქმიანობის კონტროლის სფეროში.

ერთადერთი ბერკეტი, რაც პარლამენტს პრემიერ-მინისტრის და მისი კაბინეტის თვითნებობის აღსაკვეთად რჩება, უნდობლობის პროცედურაა, რაც თავის მხრივ, პარლამენტის შესაძლო დათხოვნის საფრთხეს შეიცავს. უნდობლობის პროცედურის უპრეცედენტო სირთულისა და ხანგრძლივობის გამო, პარლამენტის სახლში გაშვების საფრთხე საკმაოდ რეალურია.

საინტერესოა, რომ ახალი კონსტიტუციის მთავარი დებულებები ძალაში შედის არა 2012 წელს – საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, არამედ 2013 წლის ოქტომბერში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში.

აღნიშნული დებულება კიდევ უფრო ამძაფრებს იმის ეჭვებს, რომ მოქმედი პრეზიდენტი მომავალში საკუთარ თავს პრემიერ-მინისტრად ხედავს. არადა, საკონსტიტუციო ცვლილებებით შემოთავაზებულ მოდელში ახალი მთავრობის ფორმირება არა პრეზიდენტის, არამედ სწორედ პარლამენტის არჩევნებს უკავშირდება. გამოდის, რომ შემოთავაზებული მოდელით დადგენილი წესების საწინააღმდეგოდ, 2012 წელს არჩეული პარლამენტი ვერ შეძლებს დააკომპლექტოს მთავრობა, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის თანამდებობაზე იქნება.

2010

# მანდატუხები

**2010 წელს** თბილისისა და რამდენიმე სხვა ქალაქის საჯარო სკოლებში სპეციალურ ლურჯ ფორმაში ჩაცმული, რაცეებით აღჭურვილი ადამიანები გამოჩნდნენ. ისინი მანდატურები არიან. სკოლაში წესრიგის დამყარება, მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მათი დახმარება ნებისმიერ სიტუაციაში – ეს „უსაფრთხო სკოლის“ კონცეფციის ფარგლებში მანდატურის სამსახურის შემოღების მთავარი მიზანია.

პოლიციური უფლებებით აღჭურვილი მანდატურების სკოლებში გამოჩენამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. კრიტიკოსები ამბობდნენ, რომ მანდატურების ინსტიტუტი, რომელიც მინისტრს დიმიტრი შაშკინის პირადი ინიციატივა, განათლების სისტემაში კონტროლის გამკაცრებისა და თვითმმართველობის შესუსტებისკენ მიმართული პოლიტიკის ნაწილი იყო ისევე, როგორც დირექტორების დანიშვნის ინიციატივა, სამეურვეო საბჭოების უფლებამოსილების შეზღუდვა და განათლების სამინისტროს უფლებამოსილების გაზრდა.

მანდატურთა პირველი შედეგები უკვე შეფასდა. განათლების მინისტრმა ეფექტიანი მუშაობისათვის პირადად გადაუხადა მადლობა პირველ მანდატურებს. უკვე არსებობს მანდატურთა მუშაობის პირველი ოფიციალური შედეგები ციფრებშიც:

- ▶ პრაქტიკულად მოისპო სკოლებში თამბაქოს მოხმარების ფაქტები;
- ▶ 80 პროცენტით შემცირდა მოსწავლეების დაგვიანება;
- ▶ 75 პროცენტით შემცირდა მოსწავლეების სკოლიდან გაპარვის ფაქტები (ე.წ. შატალო);
- ▶ 95 პროცენტით აღმოიფხვრა ფულის გამოძალვა;
- ▶ 80 პროცენტით შემცირდა მოსწავლეებს შორის დაპირისპირების ფაქტები;

▶ 90 პროცენტით შემცირდა საჯარო სკოლებში ვანდალიზმი (სასკოლო ქონების დაზიანება);

მანდატურები ერთადერთი სიახლე არ არის, რომელიც 2010 წელს განათლების სისტემაში დაინერგა: სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაკვეთილები, ინგლისური ენის სწავლება პირველი კლასიდან, ათასი ინგლისურენოვანი მასწავლებლის ჩამოყვანა, გამოსაშვები და მისაღები გამოცდების გაერთიანება და 8 გამოცდის დანიშვნა, რთული ქცევის მქონე, უდისციპლინო მოსწავლეების სამტრედიის სპეცსკოლაში გამწესება, ცეკვის გაკვეთილების შემოღება.

ამ ინიციატივების შედეგად, რომლებსაც კრიტიკოსები ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილთა წრეებშიც ჰყავს, დიმიტრი შაშკინი 2010 წლის უდავოდ ყველაზე კონტროვერსიული მინისტრი გახდა, მის უწყებაზე კი წელს ყველაზე მეტს წერდნენ და ლაპარაკობდნენ. **□**

### კომენტარი

**დიმიტრი შაშკინი**  
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი



მანდატური ახალი ინსტიტუციაა, რომელიც სკოლაში შევიდა, როგორც უცხო სხეული. შეგუებას დრო სჭირდება.

მანდატურის ფუნქციაა სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შინაგან-



მანდატურების შეხვედრა დიმიტრი შაშკინთან განათლების სამინისტროში, თბილისი 2010

წესის შესრულება. მანდატური ხედავს დარღვევის ფაქტს და შუამდგომლობას იყენებს დირექტორის წინაშე, დირექტორი, როგორც აღმასრულებელი ორგანო, ვალდებულია, ასეთ დარღვევებზე რეაგირება მოახდინოს.

არსებობს ფაქტები, როდესაც მანდატურის მიერ დაფიქსირებულ დარღვევაზე დირექტორმა ზოგი მოსწავლე სკოლიდან გარიცხა, ზოგ მასწავლებელს კი კონტრაქტი შეუწყვიტა.

ვინც ახლა გვაკრიტიკებს, მათ ავინყვებათ, რომ შარშან, სექტემბერ-ოქტომბერში, ბევრს საუბრობდნენ სკოლაში არსებულ ძალადობაზე. მაშინდელ სკოლაში მასწავლებლებს აყენებდნენ შეურაცხყოფას და პირიქით. ეს ის სკოლები იყო, სადაც 1 წლის წინ მოსწავლეს თითქმის ლურსმანი ჩაარტყევს და ტუალეტის კედელზე დატოვებს. მანდატურების

შეყვანის შემდეგ, ძალადობა 80 პროცენტზე მეტად შემცირდა. სამწუხაროდ, არიან ოჯახები, რომლებიც ყურადღებას არ აქცევენ ბავშვებს და ამ ერთი-ორი ბავშვის გამო სკოლა არ უნდა დაიჩაგროს და მანდატური ყოველთვის დაიცავს მასწავლებლის უფლებას. თუმცა მე არასდროს მითქვამს, რომ მანდატური სკოლაში ყველა პრობლემას მოაგვარებს. **□**

### კომენტარი

**სიმონ ჯანაშია**  
განათლების ექსპერტი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი

ჩემი აზრით, მანდატურების პროექტს ორი მიზანი აქვს. ერთი მიზანი სკოლაში უსაფრთხოების თვალსაზრისით კლიმატის გაუმჯობესებაა, მეორე

– სკოლების მართვაში სახელმწიფოსა და სამინისტროს შესაძლებლობების გაზრდა.

პირველს რაც შეეხება, ამ მისიის შესრულების კუთხით მანდატურებს, შესაძლოა, მართლაც ჰქონდეთ მოკლევადიანი ეფექტი. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, მანდატური იმ საჭიროებებს ვერ შეცვლის, რაც ბავშვის აღზრდისთვის აუცილებელია.

მეორე მიზანს რაც შეეხება, ეს სისტემის მართვის აბსოლუტურად არადემოკრატიული გზაა.

მანდატურების სკოლაში შეყვანის პირველი შედეგი შიშია. სკოლაში ეშინიათ, რომ სხვადასხვა საქციელის გამო დაისჯებიან. მხოლოდ შიშის გამო წესების შესრულება დადებით შედეგად არ შეიძლება, ჩაითვალოს.

სახელმწიფოს მიერ სკოლაში შემო-

**დიმიტრი შაშკინი 2010 წლის უდავოდ ყველაზე კონტროვერსიული მინისტრი გახდა, მის უწყებაზე კი წელს ყველაზე მეტს წერდნენ და ლაპარაკობდნენ.**

ტანილი მეთოდები, ერთი მხრივ, საზოგადოებას სახელმწიფოს მიმართ უარყოფითად განწყობს. ზოგიერთი მეთოდი კი არააჰუმანურია, მაგალითად, ის, რომ ბავშვებს, თუ დაავიანდათ, სკოლაში არ უშვებენ. ასეთ შემთხვევაში, ქუჩაში გარეთ 7 წლის ბავშვიც შეიძლება, დარჩეს. ასეთ პირობებში ბავშვები იმას კი არ ისწავლიან, რომ ჩაგვრა ცუდია, არამედ იმას, რომ ისინი ჩაგვრისთვის დაისჯებიან. **□**



ფოტორეალთა კრებული  
„პიატა“, ბათუმი, 2010

**2010 წელს** საქართველოს პრეზიდენტმა ტურიზმის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დაასახელა. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ტურიზმი არის სფერო, რომელსაც აქვს ყველაზე დიდი პოტენციალი ქვეყანაში ინვესტიციების მოსაზიდად.

მთელი წლის განმავლობაში ნაციონალური არხების ტელემარკეტინგული პროგრამები თვალს ადევნებდნენ ხან თხილამურებზე მოსრიალე, ხან ზღვაში მოცურავე პრეზიდენტს, რომელიც ხან თოვლის საფარზე და საბაგრო გზებზე საუბრობდა, ხანაც შავიზღვისპირეთის ჰაერის ტენიანობისა და ტემპერატურის დონით იყო აღფრთოვანებული.

„ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ შემოგვყურებს [რუსეთი] შურის თვალთ. იმიტომ რომ, საქართველოში ასეთი ადგილები არსებობს. აჭარაში 6 თვის განმავლობაში შესაძლებელია ცურვა, გარუჯვა და მესტიაში თხილამურებზე სრიალი. წყალი არის სუპერ, ძალიან სასიამოვნო, ახლა ვიყავი და შემიძლია ვთქვა, რომ ნიცაში, ხმელთაშუა ზღვაზე ასეთი წყალი არის სადღაც ივლისის ბოლოს“, – განაცხადა პრეზიდენტმა 20 ოქტომბერს ბათუმში, მას შემდეგ, რაც ზღვაში გაცურა და დასძინა, რომ მალე ბათუმში ქვიშის სანაპირო, ფუნქციონირი, „ეიფელის კოპი“ და ახალი სასტუმროების ზოლი იქნება.

სააკაშვილის განცხადებით, ბათუმი ყველა პირობას აკმაყოფილებს იმისთვის, რომ წელიწადში 6 თვე ტურისტებმა ზღვაზე დასვენება შეძლონ.

ჯერ კიდევ 2010 წლის იანვარში ბაკურიანში გამართულ სამთავრობო სხდომაზე პრეზიდენტმა ორი ახალი სამთო-საკურორტო პროექტის მშენებლობა დააანონსა – სვანეთსა და აჭარის მთიანეთში.

„ყველას შეგუწყოთ ხელს და იქნება უფრო დიდი და სწრაფი მშენებლობა, ვიდრე აქამდე იყო; იქნება მაქსიმალურად ლიბერალური რეჟიმი, მაგრამ იქნება ყველაფერი მონესრუებული... იმიტომ, რომ მე მინდა, სა-

ქართველოში ვაშენებდეთ არა ახალ საბჭოთა კურორტებს, არამედ ვაშენებდეთ ახალ დავოსებს და ა.შ.“, – განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, მარტო მესტიაში იმაზე მეტი პოტენციალია, ვიდრე მთელ აფხაზეთში. საქართველოს კი შეუძლია ყოველწლიურად 5 მილიონი ტურისტი მოიზიდოს შემდგომ რამდენიმე წელიწადში.

„შემოხვალ იახტით, ჩამოხვალ, დაჯდები მანქანაზე, ახვალ მთაში, ისრიალებ თხილამურებით და ნახვალ. ვინ არ ჩამოვა დასასვენებლად ასეთ ადგილზე?“, – განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2010 წლის იანვარში.

11 სექტემბერს მიხეილ სააკაშვილმა ქობულეთის ფიჭვნარი თავისუფალ ტურისტულ ზონად გამოაცხადა. მისი თქმით, ბიზნესმენი, რომელიც 2-დან 4 მილიონამდე ინვესტიციას ჩადებს სასტუმროების მშენებლობაში და ობიექტს 2011 წლის 1 აგვისტომდე აამოქმედებს, მომდევნო 15 წლის განმავლობაში მოგებისა და ქონების გადასახადებისგან გათავისუფლდება.

15 დეკემბერს თავისუფალ ტურისტულ ზონად გამოცხადდა ანაკლია და ზუგდიდი. პრეზიდენტი ინვესტორებს აქ 15 წლით გადასახადებისგან გათავისუფლებას დაპირდა.

ტურისტული გარემოს შექმნაზე ისაუბრა მიხეილ სააკაშვილმა 10 დეკემბერს სათაფლიაში გამართულ მთავრობის სხდომაზეც. „სათაფლიის ნაკრძალში გამართული მთავრობის სხდომიდან ვაპირებთ, წავიდეთ და დავათვალიეროთ პრომეთეს მღვიმე. იქ ბევრად დიდი პოტენციალია კარგი ტურისტული გარემოს შესაქმნელად. მინდა გითხრათ, რომ ამასწინათ, მე, გოგა ხაჩიძე და ვერა ქობალია ვიყავით მექსიკაში და ვნახეთ, რომ ამხელა ქვეყანას აქვს მხოლოდ ერთი მღვიმე, რომელიც არის მთავარი ტურისტული მიზიდულობის ცენტრი იმ ქვეყანაში, რომელიც ათეულობით მილიონ ტურისტს იღებს“, – განაცხადა სააკაშვილმა.



ფოტორეალთა კრებული  
„პიატა“, ბათუმი, 2010

**კომენტარი**

**ვერა ქობალია**  
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

2010 წელი საქართველოში, ტურიზმის განვითარების მხრივ, ძალიან წარმატებული იყო. 11 თვის მონაცემებით, საქართველოში იმყოფებოდა 1,874,404 უცხოელი ვიზიტორი, რაც 38 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2010 წელს შეიქმნა ახალი სამთო-სათხილამურო კურორტი მესტიაში, დაიწყო სათხილამურო კურორტის განვითარება გოდერძის უღელტეხილზე, დაიწყო საზღვაო კურორტ ანაკლიის განვითარება, შეიქმნა ახალი ტურისტული ცენტრი – ყვარლის ტბის კომპლექსი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქტიურად მიმდინარეობს ქუთაისის, როგორც ტურისტული ქალაქის განვითარება, მოხდა ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია, თანამედროვე ინფრასტრუქტურა მოეწყო სათაფლიისა და პრომეთეს მღვიმეებში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 2010 წელს ბათუმში გაიხსნა ისეთი – ტრანსნაციონალური კორპორაცია, როგორიცაა „შერატონი“.

**2010 წლის იანვარში ბაკურიანში გამართულ სამთავრობო სხდომაზე პრეზიდენტმა ორი ახალი სამთო-საკურორტო პროექტის მშენებლობა დააანონსა – სვანეთსა და აჭარის მთიანეთში.**

ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა ქობულეთის და ანაკლიის თავისუფალი ტურისტული ზონების შექმნა, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის დაჩქარებულ განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

აღსანიშნავია ახალი საჰაერო რეისების დანიშნავა, კერძოდ, საქართველოს ბაზარზე პოლონური ავიაგადაზიდვის „ლოტის“ შემოსვლამ განაპირობა პოლონელი ტურისტების რაოდენობის 53-პროცენტის ზრდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ 2010 წელს 21.000-ზე მეტი ირანელი ვიზიტორი იმყოფებოდა საქართველოში და მათი რაოდენობა 136 პროცენტით გაიზარდა. ამ მაჩვენებლით ირანმა მე-6 პოზიცია დაიკავა.

წინასწარი პროგნოზით, 2011 წელს საქართველოში ჩამომსვლელი უცხოელი ტურისტების რაოდენობა 3 მილიონს მიაღწევს. ეს ნიშნავს, როგორც ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, ისე საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდას, რაც დამატებითი სტიმულია ადგილობრივი სოფლის მეურნეობისათვის. ტურიზმის განვითარება თავის შედეგს ეკონომიკის სხვა სექტორებზეც მოახდენს.

2011 წელი გარდამტეხი იქნება ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით. ახალი სასტუმროებისა და მომსახურების სხვა ობიექტების გარდა, კიდევ უფრო გაუმჯობესდება საბაზო ინფრასტრუქტურა, რაც უზრუნველყოფს დამატებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

აღსანიშნავია, რომ ქობულეთის და ანაკლიის ტურისტულ ზონებში 40 ახალი სასტუმროს მშენებლობა დასრულების ფაზაში შევა. ასევე ბათუმში გაიხსნება სასტუმრო „რედისონი“ და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ტურისტულ ზონებში 2011 წლისათვის მხოლოდ სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმდება 1000-მდე ადგილობრივი მოსახლე და ამდენივე, უკვე სასტუმროების ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ.

# 2010 ქართული ფეისბუქი



**გასულ წელს** საქართველოში „ფეისბუქი“ ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი გახდა. მხოლოდ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მსოფლიო ქსელში 421 ათასზე მეტი მომხმარებელი ჩაერთო საქართველოდან.

Facebook Statistics-ის მიხედვით, საქართველოდან სულ 421 920 მომხმარებელია რეგისტრირებული, ანუ „ფეისბუქს“ საქართველოს მოსახლეობის 9,21 პროცენტი იყენებს.

„ფეისბუქი“ განსაკუთრებით პოპულარული 18-24 ასაკის მომხმარებლებშია. სწორედ ეს თაობა შეადგენს აუდიტორიის ყველაზე დიდი ნაწილს – 37 პროცენტს. ქსელის მომხმარებელთა 28 პროცენტი – 25-34 წლისაა. ყველაზე ნაკლებად პოპულარული „ფეისბუქი“ 55-64 წლის მომხმარებლებშია (1 პროცენტი), 65 წელს გადაცილებულთა რაოდენობა კი 2 პროცენტია.

„ფეისბუქის“ მომხმარებელთა რაოდენობის მიხედვით, საქართველო 86-ე ადგილზეა.

ქართული „ფეისბუქი“ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების ალტერნატიულ საშუალებად იქცა. ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხების განხილვამ 2010-ში, მეტწილად, „ფეისბუქში“ გადაინაცვლა.

ნაცვლა. ცხელ თემებზე პოლიტიკოსების, საჯარო ფიგურების, ექსპერტებისა და რიგითი მომხმარებლების საინტერესო კომენტარები სულ უფრო ხშირად ხვდება ტრადიციული მედიის ყურადღების ცენტრში.

ინტერაქტიულობამ, აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობამ და დიდმა აუდიტორიამ 2010-ში ქართული „ფეისბუქი“ ტრადიციული და სხვადასხვა პოლიტიკური და ბიზნეს-გავლენის ქვეშ მყოფი მედიის ალტერნატივად აქცია.

**კომენტარი**  
**დავით ზურაბიშვილი**  
„რესპუბლიკური პარტიის“ წევრი,  
„ფეისბუქის“ აქტიური მომხმარებელი

შეიძლება ითქვას, რომ განვლილი წლის მართლაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა სოციალური ქსელის, „ფეისბუქის“ შემოჭრა ქართულ რეალობაში. ეს ქსელი მსოფლიოში უფრო გამოიყენება კონტაქტებისთვის, კომუნიკაციისთვის. ჩვენთან „ფეისბუქმა“ შეიძინა დამატებითი დატვირთვა, რადგან ჩვენთან ჰიბრიდული რეჟიმი – არც დემოკრატიას და არც დიქტატურას, მასმედიაში ნაკლებად არის დისკუსიები, ამიტომ „ფეისბუქი“ საინტერესო და მნიშვნელოვანი გახდა. „ფეისბუქზე“ ყველაფრის საშუალებაა. მეგობრები ყველაფერს ლინკავენ და ისე მიეწვდიან, რომ მისი მეშვეობით ვიგებ ახალ ამბებს. იმასაც კი „ფეისბუქით“ ვიგებ, როდის არის რომელიმე არსზე საინტერესო გადაცემა და რისი ყურება ღირს. ეს არის სივრცე, სადაც არის ძალიან ბევრი ინტელექტუალი ახალგაზრდა, კითხულობს ბევრს, მსჯელობს, ანგაჟირებულია რეალობით. მათთან ურთიერთობა ძალიან მაკლდა.

**ქართული „ფეისბუქი“ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების ალტერნატიულ საშუალებად იქცა. ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხების განხილვამ 2010-ში, მეტწილად, „ფეისბუქში“ გადაინაცვლა.**

ხშირად იყო რელიგიასთან დაკავშირებით კამათი, რაზეც საუბარი საზოგადოებაში ღიად არ მიმდინარეობს. თუთბერიძის სკანდალი პატრიარქთან დაკავშირებით სწორედ „ფეისბუქიდან“ აგორდა. იყო სხვა თემები რელიგიაზე, სახელისუფლებო პოლიტიკაზე. „მოდელირებულ ქრონიკაზე“ პირველი საპროტესტო აქცია „ფეისბუქზე“ დაიგეგმა. დიდი დისკუსიები იყო, სანამ სტალინის ძეგლს აიღებდნენ.

ნელ-ნელა „ფეისბუქზე“ სიახლის ეფექტი დაიკარგა. ალბათ, იმანაც იმოქმედა, რომ როცა ახალი იყო, ბევრი აქტიურობდა. ახლაც არის დისკუსიები, მაგრამ ხელისუფლების მომხრეები ნაკლებად აქტიურები გახდნენ, ოპოზიციური ძალებიდან კი, პრაქტიკულად, არავინ არ მუშაობს ამ სივრცეში. მე თუ ვარ, ვარ პიროვნულად. მინისტრი, ან რომელიმე თანამდებობის პირი დისკუსიებში ნაკლებად გვხვდება. უფრო მეტად მონაწილეობენ მათთან დაახლოებული ინტელექტუალები. ამჯერად ეს უფრო ნაკლებადაა, მაგრამ „ფეისბუქი“ მაინც რჩება სივრცედ, სადაც თავისუფლად შეიძლება სერიოზული კამპანია წამოიწყო.

**კომენტარი**  
**გომი გვახარია**  
კინომცოდნე, „ფეისბუქის“ აქტიური მომხმარებელი

მე რამდენადაც ვიცი, მსოფლიოში არსად არ ხდება რომ „ფეისბუქზე“ ასეთი დისკუსიები მიმდინარეობდეს, უფრო ინფორმაციას გადასცემენ ერთმანეთს, ძირითადად, ახლო მეგობრები. როგორც ჩანს, აქ ეს იმიტომ ხდება, რომ ძალიან დიდი დეფიციტია დისკუსიის. ტელევიზიაში არ არის, რადიოში არ არის, პრესაში არ არის. დისკუსია არ მიდის არსად და სადღაც ხომ უნდა მოხდეს, ამიტომ არის „ფეისბუქი“ ასე აქტიუალური. არ აქვთ ტრიბუნა ადამიანებს და ამ გზით ახერხებენ ურთიერთობას, ერთმანეთის აზრის გაგებას, საკუთარის გავრცელებას.



ლიბერალი

იკითხეთ  
ლიბერალის პორტალზე  
[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)



### პაატა საგელაშვილის გლოგი თბილისი 2015

27 ოქტომბერს სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში გადამწყდა, რომ 2015 წლის ზაფხულის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თბილისში ჩატარდებოდა. სპორტის მხარდაჭერა, რაღა თქმა უნდა, მისასალმებელი საქმეა, ფესტივალის თბილისში გამართვა სხვა მხრივაცაა ხელსაყრელი – მაგალითად, ქალაქი უფრო პოპულარული გახდება და მეტი ტურისტიც ჩამოვა. მაგრამ...

### პიპი ვაღურის გლოგი სტალინის დაბადება

იმ დღეს, როცა წერა დავინწყე, სოსელ-ოს დაბადების დღე იყო. მთელი ის დღე მისი მმართველობის ყველაზე შავბნელი პერიოდის ანალოგიები მახსენდებოდა.



### გულტივიდია მოსნავლავს „უყვართ პოლიცია“

რუსულან ფანოზიშვილი „მე მიყვარს პოლიცია“ – ამ სათაურით განათლების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, სკოლის მოსწავლეებს ესეების დაწერა დაევალა. ამ თემაზე კონკურსი ყველა საჯარო სკოლაში გამოცხადდა. „პოლიცია ჩემი მეგობარია“, „მე მიყვარს პოლიცია“, „მათი გმირული საქციელი“, ასეთი სათაურებით პოლიციის სიყვარულზე პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, მოსწავლეებმა ესეები და ნახატები შექმნეს. ყველაზე მონდომებულმა ბავშვებმა საკონკურსო ნაშრომებს ფოტოები და ნახატები დაურთეს.

### პასა ჯანიაშვილის გლოგი ინტარკვი თენგიზ გამარჯვებულთან

გასულ კვირას ატენილი აჟიოტაჟის შესახებ რამდენიმე კითხვით ნაციონალური მოძრაობის წევრს, პარლამენტარ თენგიზ გამარჯვებულს მივმართე. ბატონი თენგიზ პარლამენტის მესამე სართულის კიბეებთან აღმოვაჩინე.

[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)



# მესტია, ხოპოხს ტუჩისტუდი ჰიოჯატი

სვანეთი ტურისტების არნახული ნაკადის მისაღებად ემზადება. გრანდიოზულ ცვლილებებში საკუთარი როლის გააზრება ადგილობრივ მოსახლეობას უჭირს.

თამარ ბაბუაძე

ფოტო: გ. ბერიძე

თამარ მეფის სახელობის მესტიის საერთაშორისო აეროპორტში საქმიანი ჩოჩქოლია. ახლად დაგებულ, 1200 მეტრი სიგრძის ბილიკზე კანადური ავიაკომპანია Kenn Borek Air-ის თვითმფრინავი ეშვება. მესტიის ნავიგაციის მენეჯერი და ვეტერანი პილოტი, ბენო ნიგურინი, რეისის შესახებ ინფორმაციას რაციით იღებს. აეროპორტში სამუშაო პროცესი რამდენიმე წამით წყდება – ყველა ერთად უყურებს, როგორ ეხება მიწას თვითმფრინავის ბორბლები.

ეს ის თვითმფრინავია, რომელმაც სვანეთს, ზამთარ-ზაფხულ, ყოველ დაფრენაზე ტურისტების ახალი ნაკადი უნდა ჩამოუყვანოს. ეს არის მომავალი, რომლისთვისაც სვანეთს უკვე თითქმის ხუთი თვეა, გაცხარებული მშენებლობებითა და ინტენსიური პიარ-კამპანიით ამზადებენ.

ბენო ნიგურინი აეროპორტის ძველ, საბჭოთა დროს აგებულ და ახალ, შემინულ შენობებს შორის დგას და ამაყად გვეუბნება, რომ თანამედროვე სანავიგაციო და უსაფრთხოების ზომებით აღჭურვილ აეროპორტს ავიარების მიღება ცუდ ამინდშიც შეეძლება – ის, რაც მის ახალგაზრდობაში წარმოუდგენელი იყო.

Spend Your Week-end in Mestia (გაატარე შაბათ-კვირა მესტიაში) – ეს ინგლისურენოვანი რეკლამა თვითმფრინავის ერთ გვერდს ამშვენებს და ტურისტებს სვანეთში ინვესტს. ეს არის რეგიონი, რომლის განვითარებაც და ქართულ შვეიცარიად გარდაქმნაც ბოლო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის უმნიშვნელოვანეს პროექტად იქცა.

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის, მაია სიდამონიძის ცნობით, 2010 წელს სვანეთს ოცი ათასი ტურისტი სტუმრობდა. მისი თქმით, 2011 წელს ეს რიცხვი გასამმაგდება.

თვითმფრინავიდან მგზავრები კანტიკუნტად გადმოდიან. ძირითადად, ეკიპაჟის წევრები არიან.

კანადური თვითმფრინავი მესტიაში ახლა რეგულარულად იფრენს, მანამდე მხოლოდ საცდელი რეისები სრულდებოდა.

2011 წლიდან სვანეთს ახალ რეალობას პპირდებიან



მშენებარე აეროპორტი, მესტია, დეკემბერი 2010



აეროპორტი მალე დღეში რამდენიმე რეისს მიიღებს, მესტია, დეკემბერი 2010



ახალი სათხილამურო კომპლექსი პანვალში, მესტია, დეკემბერი 2010

კანადური თვითმფრინავი მესტიაში ახლა რეგულარულად იფრენს, მანამდე მხოლოდ საცდელი რეისები სრულდებოდა. სვანეთი, როგორც ზამთრის კურორტი – ეს პროექტიც ჯერ საცდელია.

სვანეთი, როგორც ზამთრის კურორტი – ეს პროექტიც ჯერ საცდელია. თუკი სვანეთში წასვლა გსურთ და კანადურ თვითმფრინავში ვერ მოხვდით, მესტიაშივე ასასვლელად საავტომობილო გზის გამოყენება მოგიწევთ. საშუალოდ 15-ადგილიანი, ე.წ. „მარშრუტკები“ მესტიისკენ დილის 6 საათზე გადის. თუმცა, მგზავრები, შედარებით კომფორტული ადგილების დასაკავებლად, სადგურზე, ყოფილ „ბავშვთა სამყაროსთან“, დილის 4 საათიდან იკრიბებიან. ჩაბარგება-ჩალაგების პროცესი საათზე მეტ ხანს გრძელდება. ბოლოს ბარგი „მარშრუტკაში“ სართულებად ეწყობა. თუ ბოლო ადგილზე მოხვდით და უთვალავიდან ერთ-ერთ გაჩერებაზე ფეხის გასაშლელად გარეთ გასვლა გადწყვიტეთ, ორ სათადარიგო სკამსა და რამდენიმე მძიმე ჩანთაზე გადახტომა მოგიწევთ. 11-საათიანი მგზავრობის ყველაზე დამლელი, მაგრამ ყველაზე ლამაზი მონაკვეთიც ზუგდიდიდან იწყება.

აქედან მესტიამდე 136 კილომეტრია, მაგრამ „მარშრუტკა“ ამ მანძილის დაფარვას თითქმის იმდენსავე დროს ანდომებს, რამდენიც თბილისი-ზუგდიდის 300-ზე მეტ კილომეტრს დასჭირდა. მესტიამდე ასასვლელი გზა მშენებლობის პროცესშია. მუშაობა ორი სხვადასხვა მხრიდან – მესტიიდან და ხაიშიდან დაიწყო. მესტიიდან 9 კილომეტრია დაგებული, ხაიშიდან – 15-20. წინასწარი გათვლებით, მომავალი წლის ბოლოსთვის ახალი ბეტონის გზა უკვე მესტიამდე უნდა ავიდეს. ადგილობრივი მოსახლეობა ამ დროის დადგომას უფრო მეტად ელის, ვიდრე თვითმფრინავის დანიშნას – თუ თბილისი-მესტია-თბილისის რეისი 150 ლარი ეღირება, გამოდის, რომ ეს „მარშრუტკით“ მგზავრობაზე თითქმის სამჯერ ძვირი იქნება. როცა სეტში, მესტიის მთავარ მოედანზე, „მარშრუტკა“ ჩერდება, უკვე ბინდი დგას. ჩანთების ზედახორაში საკუთარი ბარგის პოვნა ქირს. მოედან-

ზე ატალახებული თოვლი დევს. ზამთრის ტურისტული სეზონის გასსნას სეტი ხარაჩოებით, ამნეებითა და სატვირთო მანქანებით ხვდება. 5-6 შენობის ფასადი უკვე თითქმის მზადაა. პროექტის ავტორი არქიტექტორი მერაბ გუჯეჯიანი. როგორც თავად ყვება, მისი პირველი დავალება ის იყო, რომ სეტისგან არ მიეღო ე.წ. „სიღნაღი“. მეორე მხრივ კი, საჭირო იყო „საბჭოთა პერიოდის უსახური არქიტექტურის საშლელით ნაშლა“. გუჯეჯიანი ამას ტრადიციული საშენი მასალის – ქვისა და ხის გამოყენებით შეეცადა. უფრო მეტი თავისუფლება კი თავს გამგეობის შენობის დაპროექტებისას მისცა. ასე აღიმართა ტრადიციული სტილის, ხის აივნებიანი და ყავარით გადახურული ნაგებობების გვერდით, გამგეობის შემინული, თანამედროვე შენობა. ამიტომ სეტი დღეს ეკლექტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, იმ ადამიანებს, რომლებიც მთავარ მოედანზე მალაზიებსა და ფარდულებს ფლობენ, თავიდან სულ

სხვა რამ ადარდებდათ: „აქაურები პატარა ფანჯრებს არიან მიჩვეული, ეს მათ დაცულობის შეგრძნებას მატებს, ამიტომ ეშინოდათ, რომ დიდ ფანჯრებსა და ვიტრაჟებს გაუტეხენ, გაძარცვებენ. იმის ასახსნელად, რომ ახლა სვანეთში სხვა დროა, დიდი შრომა დაგვჭირდა“, – იხსენებს მერაბ გუჯეჯიანი. თუკი დღეს გამვლელს აზრს ჰკითხავთ, მცირეხნიანი პაუზის შემდეგ თითქმის ერთნაირ პასუხებს მიიღებთ: „მოგწონს, როგორ არ უნდა მოგწონდეს, პირველად გვიკეთებენ რალაცას“. შებენდებისას იქვე, მოედანზე დანთებულ ცეცხლზე მუშები ხელებს ითბობენ. ზოგიერთი ყავისფრად გალაქული ხის ფანჯრებიდან საღებავსა და ჭუჭყს ახლად დამონტაჟებული ლამპიონების შუქზე ფხვკს. მეორადი ტანსაცმლის მაღაზიის გამყიდველს საკიდებზე ჩამოკიდებული პალტოები და შარვლები ოთახში შეაქვს და კარს კეტავს. საქონლის ხორცის ფარდული უკვე დაუქეტავთ, მაგრამ ლურსმანზე ნამოცმული საქონლის ბარკალი გარეთ დარჩენიათ – „კუბდარი. საქონ-

ლის ხორცი“ – ლურჯი კალმით წერია ნახევრად ჩამოხეულ ფურცელზე. ამ ორი მაღაზიის გაგრძელებაზე შემინული, ახლად გარემონტებული ოფისია. კედელზე მიმაგრებული აბრა მესტიაში ევროპის შემოსვლაზე მიუთითებს. ლის ხორცი“ – ლურჯი კალმით წერია ნახევრად ჩამოხეულ ფურცელზე. ამ ორი მაღაზიის გაგრძელებაზე შემინული, ახლად გარემონტებული ოფისია. კედელზე მიმაგრებული აბრა მესტიაში ევროპის შემოსვლაზე მიუთითებს. – გუშინ არავინ შემოსულა, მაგრამ დღეს ჰოლანდიელები მივიღეთ – რესტორანს ეძებდნენ და სასტუმრო „თეთნულდში“ მივასწავლეთ – იქ შედარებით ძვირი ღირს ყველაფერი, მაგრამ ყველაზე ხარისხიანია. მე აქაური ვარ და ვიცი, რომ ზამთარში აქ უამრავი რამ შეიძლება, ნახო. აი, ჩვენი პროგრამა, – ფურცლებს მანვდის ანა გირგვლიანი. ტურისტების მოსაზიდად მთავარ ფსონს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ახლად დასრულებულ სათხილამურო ტრასაზე დებს. მესტიაში ორდღიანი ვიზიტის მთავარი ღონისძიება სწორედ ზურულდიდან ჰანვალამდე სრიალია. ცნობილი იტალიური კომპანია „ლაიტნერის“ პროექტით გაყვანილი საბაგრო და სათხილამურო გზა ზღვის დონიდან 2.347 მეტრზე ადის. ზურულდიდან ქვევით, ცენტრის ინტერიერიც თანამედრო-



გზა პანვალისკენ, საიდანაც მთელი დაბა ხელისგულზე ჩანს, მესტია, დეკემბერი 2010





მესტიის მთავარი მოედანი ახალი იერსახით, დეკემბერი 2010

ჰანვალისკენ დაშვებისას, მზიან ამინდში წინ უშბა და მესტიის კომპლექსიანი პეიზაჟი ჩანს, მარჯვნივ – თეთნულდი. აქ 1980-იან წლებში საბაგირო გზა უკვე არსებობდა, მაგრამ დიდხანს არ უმუშავია. „ლაიტნერის“ ზედამხედველობით, შპს „საქსპეცტრანსის“ სპეციალისტებმა და ადგილობრივმა მუშებმა კი ახალი საბაგირო გზა ორთვენახევარში გაიყვანეს. დაიგო სამი, სხვადასხვა სირთულის ტრასაც.

მალხაზ უდესიანი, რომელიც ჰანვალში სათხილამურო და საბაგირო გზის ზედამხედველად დარჩება, ამბობს, რომ პირველ სეზონზე, შესაძლოა, სტუმრებს მთლიანად უფასოდ მოემსახურონ. ტურიზმის ცენტრის საინფორმაციო ბუკლეტშიც ფასები ჯერჯერობით მითითებული არ არის.

სრიალის გარდა, ორდღიან პაკეტში მესტიის დათვალიერება, ცხენებით გასეირნება, დაბის ცენტრში მოწყობილ

ყინულის მოედანზე ციგურებით სრიალი, ადგილობრივ მკვიდრთან სტუმრობა და საკრავი ინსტრუმენტის, ჭუნირის დამზადების რიტუალის ცქერა შედის.

ტურიზმის ცენტრში გვეუბნებიან, რომ თბილისიდან მესტიაში ორი დღით სათხილამუროდ ასვლა რეალურია, რადგან დაბას თვითმფრინავი მოემსახურება, მგზავრობა კი 1 საათს გასტანს. ამიტომ იქნებ, მესტიაში დასასვენებლად და გასართობად ის ტურისტებიც ავიდნენ, რომლებიც შაბათ-კვირას, თბილისთან სიახლოვის გამო, მანამდე გუდაურში ატარებდნენ.

მალხაზ უდესიანი აცხადებს, რომ სათხილამურო კომპლექსს რამდენიმე პროფესიონალი მაშველი მოემსახურება. თუმცა იმასაც ამბობს, რომ ჯერ მათი ტრენინგი არ დაწყებულია.

„აი, უკვე გაიხსნა სათხილამურო ტრასა და ახლა გაირკვა, რომ კარგად მომზადებული მაშველები არ გვყავს.

ამიტომ ახალ კურსს მაშველების მოსამზადებლად თებერვლიდან ვიწყებ“, – აცხადებს მესტიის პროფესიული კოლეჯის დირექტორი ირმა ჯაფარიძე.

პროფესიონალი მაშველების დეფიციტი – ეს ის თემაა, რომელიც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „სვანეთის ტურიზმის ცენტრის“ ხელმძღვანელს, ზაურ ჩართოლანსაც ყველაზე მეტად აწუხებს.

„ტურიზმს ვავითარებთ, მაგრამ გვაინწყდება, რომ მთავარი კადრებია. გვეგონია, რომ შენობები და ნაგებობები აგვაშენებენ და ამ ყველაფერს რომ პროფესიონალი გამოვლოდებო, მაშველები, საბაგირო გზების მომსახურე პერსონალი სჭირდება – ეს არ გვახსოვს. პროფესიონალების გაზრდა კი წლებს მოითხოვს“, – ამბობს ზაურ ჩართოლანი.

დღეს სვანეთში დაახლოებით ასი ოჯახური ტიპის სასტუმროა. თუმცა, 2010 წლის ოქტომბერში ჩატარებულ



გამგეობის ახალი შენობა მესტიის მთავარ მოედანზე, დეკემბერი 2010



ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი ტურისტებს ელის, დეკემბერი 2010

■ შებინდებისას თანდათან ინთება კომპლექსზე დამონტაჟებული პროექტორები და მალე სახლის აივნიდან ჩამავებულ რელიეფზე განათებული კომპლექსი ჩანს.

კვლევებში, რომლის საშუალებითაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა სასტუმროების სტანდარტები განსაზღვრეს, უმაღლესი შეფასება მესტიის არც ერთ მცირე სასტუმროს არ ერგო. თუმცა კომფორტი ტურისტების მისაღებად მათაც აქვთ: ელექტრო-ლუმენებით გამთბარი ოთახები, სამაგრი კვება, საერთო აბაზანა და საპირფარეო, ზოგან – ინტერნეტიც კი – ეს ყველაფერი დღეში საშუალოდ 40 ლარად.

2011 წლის ზამთრის სეზონზე ტურისტების მიღების იმედი ბევრს აქვს. მესტიის ქუჩებში ხშირად შეხვდებით ბოძებსა თუ ლოპებზე სახელდახელოდ მიკრულ ინგლისურენოვან წარწერებს, მაგალითად ასეთს: „Guesthouse – KOKA“. აქ მალაზიებსა და აფთიაქებსაც ინგლისური წარწერები აქვს: „Hot bread“, „Market“ – გზის გაკვლევა ტურისტს, წესით, არ გაუჭირდება.

თუმცა მესტიის მთავარ მოედანზე, ერთ-ერთი ყველაზე დიდი მალაზიის გამყიდველი, ამბობს, რომ უცხო ენა არ იცის და მალაზიაში შემოსულ ტურისტთან შესტიკულაციით ურთიერთობს – „სულ ასე იყო, ახლაც არ გამიჭირდება“, – ღიმილით გვეუბნება გოგონა.

რჩება შთაბეჭდილება, თითქოს, მესტიელები თავს დამტყდარი ცვლილების

მნიშვნელობას ბოლომდე ვერ ხვდებიან. ჰგონიათ, რომ ტურისტების გამასპინძლებისას „სვანური ეგზოტიკით“ გავლენ იოლას. „აქ იმდენად სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს, რომ ჩვენ ისედაც ყველას გავაოცებთ“, – ამბობს ერთ-ერთი საოჯახო სასტუმროსა და პატარა სასადილოს მეპატრონე. „ტურისტები ჩვენთან ეგზოტიკას ეძებენ, ეს კი უხვად გვაქვს“, – საუბარში ერთვება ოფიციალტიც.

ზაურ ჩართოლანის თქმით, ბოლო ტრენინგი მისმა ორგანიზაციამ მცირე სასტუმროების მეპატრონეთა გადამზადებლად შარშან ჩატარა. ადგილობრივებს ფინანსურ მართვას, საგადასახადო უწყებასთან ურთიერთობას, ტურისტების მისაღებად სახლის მოწყობას და მათთვის ტურისტული მომსახურების შეთავაზებას ასწავლიდნენ. თუმცა მსგავსი ტრენინგებისთვის ჩართოლანის ორგანიზაციამ უკვე წელს გრანტი ვეღარ მოიპოვა.

2011 წლის გახსნილი სეზონის შემდეგ ირკვევა ისიც, რომ მესტიაში პროფესიონალი და უცხო ენების მცოდნე სამთო გიდების დეფიციტაცაა. ადგილობრივი კოლეჯი გიდებს დღესაც ამზადებს, მაგრამ პროგრამა არასრულყოფილია. ამიტომ თებერვლიდან

უფრო რთული, სამსაფეხურიანი, ინტენსიური კურსით დაინწყენ სწავლას. ეს იქნება ერთადერთი სასწავლებელი მთელ საქართველოში, სადაც სამთო გიდებსა და გამყოლებს მოამზადებენ.

გიდები პროფესიის ხშირ შემთხვევაში მაღალანაზღაურებადი სამუშაოს იმედით ირჩევენ. ისინი სწავლობენ სვანეთის ისტორიას, გეოგრაფიას და შესაბამის ინგლისურენოვან ტერმინოლოგიას, შემდეგ საკუთარი კულტურული მემკვიდრეობით თავი უცხოელებს რომ მოაწოდონ. თუმცა ზოგიერთი მათგანი ტურიზმის განვითარებას შიშით ელის:

„ადრე ჩვენთან ღამის ბარები არ იყო, ახლა კი ტურისტებისთვის აკეთებენ. ჩვენს ტრადიციებს არ დავკარგავთ, მაგრამ მგონია, რომ ეს ადგილობრივი მოსახლეობის გარყვნას მაინც გამოიწვევს“, – ამბობს მომავალი გიდი ანზორ შერვაშიძე.

ანზორი მიჩვეულია რეალობას, როცა ზამთარში, საღამოს 7 საათზე მესტიის ქუჩებში ცხოვრება წყდება. ამ დროს ყველა მალაზია უკვე დაკეტილია. თუ არ ვცდები, ერთადერთი პატარა, სადღელამისო მარკეტი „ანა-მარია“ აეროპორტის გზაზე მუშაობს. სამაგიეროდ, სასტუმრო „თეთნულდში“ ტურისტებისთვის ბარია გახსნილი. ამიტომ იმ ტუ-

რისტებს, ვისაც სეტის მოედანზე ცი-გურებით სრიალი არ სურს, შეუძლია, ღამის მესტიის ხედებით „თეთნულდის“ ვიტრაჟიანი რესტორნიდან დატკბეს.

შეზინდებისას თანდათან ინთება კომპიუტერულ და მონიტორულ პროექტორები და მალე, სახლის აივანიდან ჩაშავებულ რელიეფზე განათებული კომპიუტერი ჩანს.

ორი წლის განმავლობაში მესტიის 23 კომპი ალადაგინეს და გაამაგრეს. თუმცა, როგორც გამგეობის მშენებლობისა და სივრცითი მონაცემების მთავარი სპეციალისტი, მალხაზ ფალიანი ამბობს, სასწრაფო გარემონტება სვანეთში კიდევ 123 კომპს ჭირდება. თითო კომპის რეაბილიტაცია, მისი თქმით, საშუალოდ 14-15 ათასი ლარი ჯდება.

მიუხედავად იმისა, რომ მესტიის გამგეობაში არსებობს განყოფილება შემდეგი სახელწოდებით – კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური – მას არ ჰყოფნის არც ბიუჯეტი და არც ადამიანური რესურსი, რითაც კომპების რეაბილიტაციაზე იზრუნებდა. ამ ფუნქციას დღეს მთლიანად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ითავსებს.

მესტიის გამგეობას დასუფთავების სამსახურიც აქვს, მაგრამ მის კომპეტენციაში დაბიდან ნაგვის გატანა არ შედის. ამიტომ მესტია ზამთრის ტურისტულ სეზონს ქუჩის ურნებისა და ნაგავსაყრელის გარეშე ხვდება.

– მე ნაგავს პირდაპირ მდინარეში ვყრი, – გვპასუხობს ერთ-ერთი გამგელი.

– ჩვენ მინდორში ვაგვავს და ვწვავთ, – გვეუბნება სასადილოს მებატრონე.

გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, შმაგი ნაკანის თქმით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მესტიას სანაგვე ურნების დამონტაჟებას მომავალი წლისთვის ჰპირდება. წესით, ამ დროისთვის, მესტიელებს უნდა ჰქონდეთ ნაგვის მანქანაც, ხოლო ლატალი-ლენჯერის ტერიტორიაზე ნაგავსაყრელის დაპროექტება უნდა დაიწყოს.

„საფუძვლიანი კვლევისა და კარგი სპეციალისტების მოსაწვევად სახსრები

არ გვეყო, მაგრამ ჩვენები იყვნენ ლატალი და თქვეს, რომ ეს კარგი ადგოლია ნაგავსაყრელის მოსაწყობად“, – დასძენს ნაკანი.

მანამდე კი, ხიდიდან როცა გადაიხედავთ, მდინარის გასწვრივ დამონტაჟებულ მილებს შორის დაინახავთ, ხავსში გაჩხერილ პლასტმასის ბოთლებს, სიგარეტის კოლოფებსა და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენს. „მარშრუტით“ მგზავრობისას კი ხშირად წაწყვებით ამგვარ სცენას: როგორც კი გზა ზუგდიდიდან სვანეთისკენ გადახვევს, მგზავრები პარკებში შეგროვილ ნაგავს პირდაპირ ფანჯრიდან ჰყრიან, შემდეგი ლოგიკით: „აქეთ კანონი არ მოქმედებს, ამისთვის არავინ დაგვაჯარიმებს“.

„ჩემი მოსაზრებით, რომელსაც მრავალი საბჭოთა და უცხოელი სწავლულისა და პროფესორის აზრი ამყარებს, ზემო სვანეთი მსოფლიო მასშტაბის ალპინიზმის, ტურიზმისა და ექსკურსიების მხარედ უნდა ვაქციოთ... ამისთვის ყველანაირი მონაცემი არსებობს. შესაფერისი კლიმატი, მთის სუფთა ჰაერი, მინერალური წყლების 135 საბადაო, ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეები, მრავალფეროვანი ალპური მინდვრები, დიდებული მყინვარები... ერთი სიტყვით, ეს მხარე შეიძლება, გახდეს საბჭოთა შვეიცარია, რომელმაც ზემოთ აღწერილი მონაცემების გამო, ევროპულ შვეიცარიას შეიძლება, აჯობოს კიდევ. უმაღლესი ორგანოების სათანადო მონდომების შედეგად კი, აქ კულტურის განვითარებაც რეალურია ისევე, როგორც კარგი გზების გაყვანა. თქვენ ნარმოიდგინეთ, ტბების მოწყობაც კი იოლი საქმეა... საბოლოოდ, ეს „საბჭოთა შვეიცარია“ მთელ დედამიწაზე თავისებურ უნიკუმად გარდაიქმნება და საბჭოთა ხელისუფლებას დიდ შემოსავლებს მოუტანს“.

ეს არის ნაწყვეტი 1920-იან წლებში დაწერილი წერილიდან, რომელიც ევროპაში განათლებამიღებულმა ცნობილმა მესტიელმა, სილვესტრ ნავერიანმა БКП(6)-ს (საკავშირო კომუნისტური პარტიის) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის აღმასრულებელ მდივანს მისწერა.

ამ 7-გვერდიანი მოხსენებითი ნაშრომის დაწერიდან 80 წლის შემდეგ სვანეთი განვითარების თითქმის იმავე ეტაპზეა. თუმცა საკუთარი ბუნებრივი პოტენციალის შემოსავლის წყაროდ ქცევის ისეთი სერიოზული შანსი, როგორც სვანეთს დღეს აქვს, აქამდე არასდროს ჰქონია.

დღეს სვანეთში რამდენიმე მიმართულებით დაწყებული ცვლილებები ადგილობრივ მოსახლეობას პირველად უჩენს განცდას, რომ კავკასიონის მწვერვალში გამოკეტილი მხარე სახელმწიფოს რეალურად სჭირდება. მათთვის შთამბეჭდავია ინვესტიციის რაოდენობაც, რომელსაც სახელმწიფო და საერთაშორისო ფონდები სვანეთზე ხარჯავენ. ამის გამო, ბევრი მათგანი, მოუგვარებელ პრობლემებზე, ისეთზე, როგორც მესტიიდან დანარჩენ სოფლებში ტრანსპორტის დეფიციტია, დღემდე თვალს ხუჭავს და ტურიზმს სვანეთის განვითარებისთვის საჭირო ყველაზე რეალურ გზად მიიჩნევს.

„სვანეთს ახალგაზრდები დაუბრუნდებიან“.

„კარგ გზას ველირებით“.

„დავსაქმდებით“.

„ალარ იქნება გამოკეტილი და მიტოვებული სახლები“.

„შემოსავლის წყარო გაგვიჩნდება“, – გეგმებს აწყობენ სვანები. თუმცა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მათ განვითარებისთვის სჭირდებათ და რაც დღემდე აკლიათ, შეცვლილ რეალობაში საკუთარი როლის გააზრებაა. სვანეთი მართლაც რომ გახდეს ახალი დანიშნულების პუნქტი ტურისტულ რუკაზე (და არა მხოლოდ მთავრობის გასვლითი სტრატეგიისა და ოფიციალური დელეგაციების ვიზიტისას), ამისთვის კარგად აწყობილი ინფრასტრუქტურაა საჭირო, რომელშიც ადამიანებმა საკუთარი საქმე იციან და ტურიზმის განვითარების ახალ გზებს ეძებენ.

ამიტომ სვანეთის რეალური განვითარებისთვის თანაბარი ინვესტიციაა საჭირო როგორც მსხვილ მშენებლობებში, ისე ადგილობრივი მოსახლეობის განათლებაშიც. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იქცეს რეალობად ერთი რი-



სვანეთში მიტოვებული და დაზარალებული სახლი დღემდე ბევრია. დეკემბერი 2010

ფოტო: გიორგი ბერიძე

### ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც სვანებს ტურიზმის განვითარებისთვის სჭირდებათ, შეცვლილ რეალობაში საკუთარი როლის გააზრებაა.

გითი სვანის 80 წლის წინანდელი პროგნოზი და ზემო სვანეთისგან შვეიცარია მართლაც დადგეს.

სვანეთიდან რუსული, დაახლოებით 10-ადგილიანი თვითმფრინავით მოფრინავთ. ვიდრე კანადური თვითმფრინავის რეისები დაინიშნებოდა, მესტიის კვირაში ორჯერ ნატანტის აეროპორტიდან სწორედ ეს თვითმფრინავი დაფრინავდა, თანაც ადგილობრივებისთვის ხელმისაწვდომ ფასად – 40 ლარად.

თუმცა მისი რეისები ამინდზეა დამოკიდებული. წამოსვლისას გაგვიმართლა. მესტიის მოწმენდილი, მზიანი დღე იყო – ისეთი, როცა უშბაცა და თეთნულდიც მკვეთრად ჩანს.

გერმანელი არქიტექტორის, იურგენ

მაიერის მიერ დაპროექტებულ აეროპორტის შენობაზე მუშები უზარმაზარ დამუშებულ ფანჯრებს სვამენ, დამლაგებელი ქალები კი უკვე ჩასმულ ფანჯრებს ტილოებით აპრიალებენ.

– აბრა უკვე მზად გაქვთ? შეიძლება, გადავილოთ? – ვეკითხებით ბრიგადის უფროსს. ის საქმიანად გვიპირებს თავიდან – ჯერ მზად არ არის, და ვერ დაგეხმარებით, ბევრი საქმე გვაქვს, პარასკევისთვის ყველაფერი უნდა მოვასწოროთ, – გვეუბნება და კედელზე აყუდებულ შუშებსა და სატვირთო მანქანებისგან ატალახებულ გზაზე მიგვიითითებს.

პარასკევს, 24 დეკემბერს მთავრობის სხდომა პრეზიდენტმა სააკაშვილმა მესტიის გამართა.

მესტიელებისთვის პრეზიდენტისა და მთავრობის წევრების სტუმრობა ზამთრის ტურისტული სეზონის დაწყებას ნიშნავს.

– აი, ჩამოვა პრეზიდენტი და გაიხსნება სეზონიც, – ხშირად გვესმის ეს ფრაზა, მიუხედავად იმისა, რომ სათხილამურო ტრასისთვის საკმარისი თოვლი ჯერ არ დევს.

ათი ადგილი კაბინაში მალე ივსება. კავკასიის თოვლიან ქედს ჩვენი თვითმფრინავის მოძრავი ანარეკლი მიჰყვება. ქვევით გაშლილი კომპიუტერის სოფლები თვითმფრინავის ილუმინატორიდან ნელ-ნელა პატარავდება.

ოთხ წელიწადში აქ საქართველოს პრეზიდენტი ნახევარ მილიონ ტურისტს ელოდება.

ეკონომიკური პოლიტიკა 2010

# ხაჯასიოს ფინანი

ხელისუფლება აცხადებს, რომ 2008 წლის ომის შემდგომი შოკი და გლობალური ფინანსური კრიზისის ყველაზე მძიმე ეტაპი დაძლეულია. თუმცა საქართველოს მთავარი ეკონომიკური გამოწვევები ისევ წინ აქვს.

### მანანა ვარდიაშვილი

2010 წლის საბოლოო მონაცემები ოფიციალურ სტატისტიკას ჯერ არ შეუჯამებია. თუმცა პირველი სამი კვარტლის წინასწარი მონაცემების საფუძველზე, საქართველოს მთავრობა ეკონომიკის, მინიმუმ, 6-პროცენტთან ზრდას ვარაუდობს და რეცესიის დასასრულზე საუბრობს.

გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა დღის წესრიგში საბიუჯეტო დისციპლინის განმტკიცების საკითხი დააყენა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის და ევროკავშირის ექსპერტებმა საქართველოს ხელისუფლებას სახელმწიფო ხარჯების შემცირება ჯერ კიდევ გასულ წელს ურჩიეს. მთავრობამ კი ამ რეკომენდაციის საპირისპიროდ, 2010 წლის ივნისში ბიუჯეტი 215 მილიონი ლარით გაზარდა.

ხელისუფლებამ წელს აქცენტი გადასახადების ზრდაზე გააკეთა, მაგრამ ამ ფაქტის ხმამაღლა აღიარებას ერიდება. 2010 წლის ეკონომიკური შედეგების შეჯამებისას, ყურნალ „ტაბულასთან“ ინტერვიუში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა: „საქართველო თითქმის ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაძვრენად გადასახადები არ გაზარდა“. პრემიერ-მინისტრი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, რომ ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მობილიზების მიზნით მთავრობა ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებასაც არ დაელოდა და მისი რამდენიმე მუხლი პირველი აგვისტოდან ამოქმედა: 2010 წლის პირველი აგვისტო-


დან ღვინის გარდა ყველა ალკოჰოლურ სასმელზე აქციზის გადასახადი გაორმაგდა. ამავე დღიდან მობილური კავშირგაბმულობის კომპანიებიც ბრუნვის 10%-ით იბეგრებიან. გარდა ამისა, 2010 წლის იანვრიდან გაიზარდა იმ საქონლის ჩამონათვალი, რომელიც 12-პროცენტთან საბაჟო განაკვეთით იბეგრება.

პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ინიცირებული გადასახადების შემცირება კი გადაიდო. საშემოსავლო გადასახადი 20-დან 15 პროცენტამდე ეტაპობრივი შემცირების მაგივრად 2013 წლამდე 20-პროცენტთან განაკვეთზე დარჩება. ახალი წლიდან არც მიღებულ დივიდენდზე არსებული 5%-იანი გადასახადი დაიწვეს. ახალი კოდექსის

თანახმად, დივიდენდებიც 5%-ით 2013 წლამდე დაიბეგრება.

მთავრობა აღიარებს, რომ 2010 წლის ეკონომიკური სტაბილურობა დიდწილად, ბრიუსელის დონორთა კონფერენციის შემდეგ, საქართველოსთვის დახმარების სახით გამოყოფილმა 4,5-მა მილიარდმა დოლარმა უზრუნველყო. ახლა ის იმედებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე ამყარებს, ინვესტიციებმა კი გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე მკვეთრად მოიკლო.

საქართველოს მთავრობის პროგნოზით, წელს ქვეყანაში 1 მილიარდი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია უნდა შემოსულიყო. საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2010



გია ჯანდერი

„ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს“ ვიცე პრეზიდენტი:

ჩვენ ვერ მოვახერხებთ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ინფლაცია მოგვეთოკა და იმ დონეზე დაგვეყვანა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მისაღები იქნებოდა. საქართველოს ეროვნულ ბანკს წელს ორნიშნა ინფლაციის მოლოდინი აქვს. ასეთი დიდი ინფლაცია ქვეყნის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს. საქართველოს ეროვნული ბანკი ინფლაციის ზრდის მიზეზად გარე ფაქტორებს ასახელებს. ამ მოსაზრებას მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდიც იზიარებს. ძალიან საინტერესოა, იგივე გარე ფაქტორები რატომ არ მოქმედებს სომხეთში, რომელსაც ბოლო წლებში საქართველოსთან შედარებით ბევრად დაბალი ინფლაცია აქვს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო ინფორმაციით, სომხეთში წლიური ინფლაცია 7,1 პროცენტი იქნება. 10,6-სა და 7,1-ს შორის ძალიან დიდი სხვაობაა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კარგად უნდა აგვისნას, რამ გამოიწვია ინფლაციის ასეთი მაღალი დონე.



წლის პირველ სამ კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა 433 მილიონი აშშ დოლარია. ინვესტიციების კლება 2008 წლიდან დაიწყო. 2008 წელს საქართველოში 1 მილიარდ 564 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, მაშინ, როცა 2007 წლის მონაცემებით, უცხოური ინვესტიციების ოდენობა 2 მილიარდს აჭარბებდა. გასულ წელს კი საქართველოში რეკორდულად მცირე, სულ 759,1 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა.

ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საქართველოს მთავრობამ როუდ-შოუები ევროპაში, ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ჩინეთსა და ინდოეთში ერთიმეორის მიყოლებით მოაწყო. ამ დროისთვის მთავრობის ყველაზე სოლიდური საინვესტიციო მონაგარი ამერიკულ მილიარდულ დონაზე ტრამპთან 2010 წლის 22 სექტემბერს, ნიუ-იორკში გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმია. ტრამპის სამშენებლო კომპანია Trump Entertainment Resorts-ი თბილისში, ბათუმსა და ბოზოყვითში რამდენიმე პროექტის განხორციელებას აპირებს. თუმცა, ამერიკელი მილიარდელის ინვესტიცია მოგვიანებით, მომავალ წელს შემოვა.

ის, რაც მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასიათდება, საგარეო ვალია. 2010 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების საერთო ოდენობა 6 მლრდ 812 მლნ 265 ათასი ლარია (3 მლრდ 872 მლნ 145 ათასი დოლარი). ამჟამად ქვეყნის საგარეო ვალი მშპ-ს 38 პროცენტია. მომავალ წელს ის კიდევ ერთი პროცენტით გაიზრდება. საგარეო ვალის ნაწილის დაფარვის ვადა 2012-2013 წლებზე მოდის. ხელისუფლება უკვე განიხილავს მომავალი წლისთვის 10-წლიანი ევროობლიგაციების დამატებითი გამოშვების იდეას: ახალი ვალი ძველის დაფარვას მოხმარდება.

საგარეო ვალთან ერთად ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო სალდოც იზრ-

დება. ექსპორტსა და იმპორტს შორის არსებული უზარმაზარი დისბალანსი სულ უფრო ღრმავდება და ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულებაც უფრო და უფრო იზრდება. 2010 წლის პირველი 10 თვის მონაცემებით, საქართველოს უარყოფითი სავაჭრო სალდო გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 7 პროცენტით გაიზარდა.

მზარდი უარყოფითი სავაჭრო სალდოს ფონზე კი ევროკავშირი შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმის – GSP+-ის გაუქმებით გვემუქრება. სავაჭრო პრეფერენციების სისტემა GSP+ 7200 დასახელების ქართული პროდუქციისთვის ევროკავშირის ქვეყნებში ნულოვან საბაჟო გადასახადს აწესებს. ევროკავშირთან ვაჭრობის ასეთი სისტემით მხოლოდ 15 ქვეყანა სარგებლობს. შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმი ქართულ პროდუქციას კონკურენტებთან დიდ უპირატესობას ანიჭებს. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ევროკავშირის რეკომენდაციებს არ შეასრულებს, ქვეყანამ, შესაძლოა, ეს სავაჭრო შეღავათებიც დაკარგოს. ევროკავშირი საქართველოსგან შრომის კოდექსის შეცვლას, ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენას და კვების პროდუქტებზე კონტროლის გამკაცრებას მოითხოვს.

საქართველოს მთავრობა ცდილობს, ლიბერალური რეფორმების კურსიც შეინარჩუნოს და არც ევროკავშირი მოიმდუროს – ანტიმონოპოლიური სამსახურიც აღადგინა და საკვები პროდუქტების კონტროლის გამკაცრებასაც მწვანე შუქი აუნთო. თუმცა ევროკავშირმა საქართველოს ხელისუფლებას დელიკატურად მიანიშნა, რომ მარეგულირებელი სტრუქტურების შექმნის მოჩვენებითი ნაბიჯი სავაჭრო შეღავათების შენარჩუნებისთვის საკმარისი პირობა ვერ გახდება.

საქართველოს ეკონომიკის წლის უმთავრეს გამოწვევად კი ინფლაცია იქცა. სამომხმარებლო ბაზარზე გაძვირების პროცესი 2010 წლის ივნისიდან დაიწყო, როცა ლარის კურსი დოლართან მიმართებაში ერთბაშად 1,78-დან 1,88 ნიშნულამდე დაეცა.



ლადო კახავა  
ეკონომიკის ექსპერტი

არაფერი ახალი, განსაკუთრებული და, მით უმეტეს, წინა წლებისგან განსხვავებული წელს არ მომხდარა. ქვეყანას იგივე ეკონომიკური პოლიტიკა აქვს, იგივე ადამიანები მართავენ და მართვის სტილიც იგივეა. ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში არაფერი შეცვლილა. რაც შეეხება 2010 წელს, ის ინფლაციის მაღალი დონით დაგვიამხსოვრდება. მაღალი ინფლაცია შიდა და გარე ფაქტორებით ერთნაირად იყო სტიმულირებული.



### ხელისუფლება და ბიზნესი

2010 წელი ბიზნესის მკაცრი ადმინისტრირებით გამოირჩეოდა. კვლევითი ცენტრი – კრიზისების აცილების საერთაშორისო ჯგუფი (International Crisis Group \_ ICG) საკუთარ ანგარიშში აღნიშნავს, რომ „საქართველოს ხელისუფლება შემოსავლების გაზრდას საგადასახადო ადმინისტრირების გამკაცრებით და ჯარიმების დაწესებით ცდილობს“. ფინანსთა მინისტრი კახა ბანიდურაშვილი საურავებითა და გირაოს თანხით ბიუჯეტის შევსების მოსაზრებას კატეგორიულად უარყოფს. მინისტრი 2010 წლის პირველი 9 თვის მონაცემებს იმონშებს, რომლის თანახმადაც, საპროცესო გარიგების სახით საქართველოს ბიუჯეტში „სულ რაღაც“ 30 მლნ ლარი შევიდა. გადასახადების მკაცრი ადმინისტრირებით გამოირჩეული 2010 წლის ბოლოს კი პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური იტყვის, რომ „საქართველოში საგადასახადო კულტურა დამკვიდრდა“ და რომ ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახურის მიერ შემოწმებული კომპანიებიდან ახლა მხოლოდ 10% ჯარიმდება, რაც „თითქმის ევროპულ სტანდარტთან მიახლოებას ნიშნავს“.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა აგვისტოში, როცა რუსეთის მხრიდან ხორბლის ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვებით პროვოცირებული სურსათის გლობალური გაძვირება საქართველოს სამომხმარებლო ბაზარსაც გადაედო. საქართველოს ბაზარი დიდწილად იმპორტზეა დამოკიდებული – ადგილობრივი აგროპროდუქცია შიდა ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 12 პროცენტს აკმაყოფილებს. შესაბამისად, მსოფლიო ფასები ქართულ ბაზარზე მყისიერ გავლენას ახდენს.

მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის ზრდას საქართველოში პურის

5-20-თეთრიანი გაძვირება მოჰყვა. მარცვლეულზე ფასების ზრდის გამო გაძვირდა ხორცი, რძე და რძის ნაწარმი. პურის გაძვირება ჯაჭვური რეაქციით სხვა პროდუქტებსაც გადაედო. საკვებთან ერთად საწვავიც გაძვირდა. ოფიციალურმა სტატისტიკამ სექტემბერში 9,8%-იანი, ოქტომბერში 9,6%-იანი, ხოლო ნოემბერში 10,5%-იანი ინფლაცია აღრიცხა. ეს პოსტკრიზისულ პერიოდში ინფლაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2010 წლის ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი 10,6 პროცენტით გან-

საზღვრა. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ექსპერტთა შეფასებით კი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონის ქვეყნისთვის ინფლაციის პარამეტრი 6 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

ინფლაცია საქართველოს ეკონომიკის მთავარ პრობლემად პრეზიდენტმაც დაასახელა. პრეზიდენტი მთავრობისგან წლის ბოლომდე ანტიინფლაციური პროგრამის მომზადებას, ბიუროკრატიული აპარატის და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას მოითხოვს.

ხელისუფლება აქამდეც გვარნმუნე-

თავაში ჩიხინებაში



საქართველოს ხელისუფლება ყველაზე მეტად მსოფლიო ბანკის კვლევაში – „ბიზნესის კეთება 2011“ დაკავებული მეთორმეტე ადგილით ამაყოფს. მსოფლიო ბანკის კვლევა 9 კრიტერიუმისგან შედგება. იმ კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც ახალი ბიზნესის დასაწყებად საჭირო დროს, პროცედურებს, ხარჯებსა და მინიმალურ საწესდებო კაპიტალს ეხება, საქართველოს 183 ქვეყანას შორის მერვე ადგილი უკავია. სამშენებლო ნებართვების ასაღებად საჭირო პროცედურების, დროის, ხარჯებისა და შემონმეებების მიხედვით – მეშვიდე, ხოლო საკუთრების დარეგისტრირების – კომერციული

უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებული პროცედურების, დროისა და ხარჯების მიხედვით – მეორე. ინვესტორთა დაცვის კატეგორიაში საქართველოს მე-20 პოზიცია უკავია, კრედიტის აღების კრიტერიუმში კი – მე-15. გადასახადების პარამეტრში (გადასახადების რაოდენობა, გადასახადების გადახდად ბრუნებისათვის საჭირო დრო) საქართველოს მდგომარეობა 61-ე ადგილითაა შეფასებული. რაც შეეხება საერთაშორისო ვაჭრობას, ექსპორტისა და იმპორტისათვის საჭირო დოკუმენტაციის, დროისა და ხარჯების მიხედვით საქართველოს 35-ე ადგილი აქვს დაკავებული,

კომერციული დავების მოსაგვარებლად საჭირო დროის, პროცედურებისა და ხარჯების მიხედვით კი – 41-ე. „ბიზნესის კეთება 2011“-ის შეფასების ცხრა კრიტერიუმიდან ყველაზე დაბალი შეფასება საქართველომ „ბიზნესის დახურვის“ კატეგორიაში მიიღო და 183 ქვეყანას შორის 105-ე ადგილი დაიკავა.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებელ რეიტინგებში საქართველოს წინსვლა აქვს: „ფრეიზერის“ რეიტინგის მიხედვით, მან 42-დან 23-ე ადგილზე, ხოლო „ჰერიტიჯის ფონდის“ რეიტინგში 32-დან 26-ე ადგილზე გადაინაცვლა. „ჰერიტიჯის ფონდის“ მონაცემებით, საქართველომ გააუმჯობესა ისეთი პარამეტრები, როგორებიცაა: ქვეყანაში სახელმწიფო დანახარჯების წილის შემცირება, საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა, ბიზნესის დაწყების გამარტივება, სავაჭრო ბარიერების, ბიუროკრატიული დანახარჯებისა და პროცედურების შემცირება.

„კორუფციის აღქმის ინდექსის“ 2010 წლის შედეგებით, რომელიც საერთაშორისო გამჭვირვალობამ 26 ოქტომბერს გამოაქვეყნა, საქართველოს პოზიცია ორი საფეხური გაუარესდა და 3.8 ქულით 178 ქვეყანას შორის 68-ე ადგილი დაიკავა. ორგანიზაციის გან-

ნაცემებს ეყრდნობა, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის 5 პარამეტრიდან საქართველომ სამის გაუმჯობესება შეძლო, ორი კი ოდნავ შემცირდა. საქართველოს მაჩვენებლები გაუმჯობესდა მთავრობის ზომის პარამეტრში, რაც იმას ნიშნავს, რომ წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით საბიუჯეტო ხარჯები შემცირდა. ასევე გაუმჯობესებაა მყარი ვალუტის ხელმისაწვდომობის ნაწილში და საგარეო ვაჭრობისათვის ხელისშემშლელი ბარიერების გაუქმების პარამეტრშიც. გაუარესება შეიმჩნევა რეგულაციებისა და სამართლებრივი სისტემის – საკუთრების უფლების ნაწილში. საქართველოს სასამართლო სისტემის რეფორმა კი ყველაზე დაბალი ქულითაა შეფასებული.

„ფრეიზერის ინსტიტუტის“ კვლევის თანახმად (რომელიც 2008 წლის სტატისტიკურ მო-

ბდა, რომ 2011 წლის ბიუჯეტში „ქა-მრების მოჭერის“ პოლიტიკა ასახა. საბიუჯეტო ხარჯების შემცირების რეკომენდაცია ფინანსთა სამინისტრომ მომავალი წლის მთავარ საფინანსო დოკუმენტში მართლაც გაითვალისწინა, თუმცა – სიმბოლურად. მომავალი წლის ბიუჯეტის ასიგნებები 7 მლრდ 107 მლნ ლარია. 2011 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 6 მლრდ 366 მლნ ლარით განისაზღვრა. გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი კი 5 მლრდ 571 მლნ ლარია, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 24.4 პროცენტს შეადგენს.

მარტებით, „სასამართლო სისტემაში რეფორმის გადაუდებელი აუცილებლობა, კერძო საკუთრების უფლების დაცვა, სახელმწიფო ხარჯების (პრეზიდენტის, თბილისის მერისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების) გამჭვირვალობის ნაკლებობა, ელიტური კორუფცია მაღალ ემპლონებში, გაურკვევლობა მედიის მფლობელობისა და დაფინანსების საკითხებში ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოების საჯარო პოლიტიკის წარმოებაში ჩართულობის დაბალი დონე – ეს იმ საკითხების ნუსხაა, რომლებიც საქართველოში ჯერ კიდევ პრობლემურად რჩება“.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მომზადებულ „საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ანგარიშში“ საქართველოს 139 ქვეყანას შორის 93-ე ადგილი უკავია. საკუთრების დაცვის კრიტერიუმით, საქართველო 139 ქვეყანას შორის 120-ე ადგილზეა, ხოლო

ეს პროგნოზი ფინანსთა სამინისტრომ 4,5%-იანი ეკონომიკური ზრდის მოლოდინით განსაზღვრა. სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულ სფეროებად კვლავ ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურა და განათლება რჩება, პრიორიტეტული მიმართულების სამინისტროების დაფინანსება კი მომავალი წლიდან იზრდება.

მთავრობამ ბიუროკრატია მადის მოსათოკი კონკრეტული ღონისძიებების სიაც გამოამზეურა: სრული მორატორიუმი გამოცხადდა ავტომობილების შესყიდვაზე, სამინისტროების დაფინანსება 10 პროცენტით შემცირდა და თა-

დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლა, ან ზედმეტად გადახდილი გადასახადის უკან დაბრუნება. იმ კრიტერიუმის თანახმად კი, რომელიც კომერციული დავების მოსაგვარებლად საჭირო დროს, პროცედურებსა და ხარჯებს შეეხება, მსოფლიო ბანკის კვლევაში საქართველოს ორმოცდამეერთე ადგილი უკავია. ლეგალური სტრუქტურისა და კერძო საკუთრებაზე უფლებების დაცვის კომპონენტში საქართველომ საკმაოდ დაბალი შეფასება მიიღო „ფრეიზერის“ ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგშიც. ამ კომპონენტში მისი შეფასება გარდამამსოფლიო ბანკის კვლევაში – „ბიზნესის კეთება 2011“ გადასახადების რაოდენობის და გადასახადების გადახდად ბრუნებისათვის საჭირო დროის მიხედვით საქართველოს 61-ე ადგილი უკავია – როგორც ექსპერტები შენიშნავენ, ამჟამად საქართველოში თითქმის შეუძლებელია გონივრულ დროში

ნამდებობის პირთა ხელფასები გაიყინა.

„ქაიმრების შემოჭერის“ პოლიტიკის მიუხედავად, 2011 წლის ბიუჯეტით მინც დეფიციტური იქნება. საბიუჯეტო დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებელი 4,3 პროცენტია. ფინანსთა მინისტრის განცხადებით, ბიუჯეტის დაბალანსება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან აღებული გრძელვადიანი სესხებითა და შიდა სახსრებით მოხდება. საბიუჯეტო დეფიციტის დასაფინანსებლად მომავალ წელს მთავრობა 100 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებების გამოშვებასაც აპირებს. **ა**



**დავით ოშოვიშვილი**  
ყოფილი ფინანსთა მინისტრი და პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი:

2011 წლის ბიუჯეტში ოპონენტების მხრიდან გამოთქმული შენიშვნები არ გაითვალისწინეს.

სოციალური, ჯანდაცვის და განათლების პროგრამების მიმართულებით ზრდა არ ხდება. იმ ფონზე, როცა ისეთ საკვებ პროდუქტებზე, როგორებიცაა პური, შაქარი, ზეთი და ხორცი, ფასები 20-50 პროცენტითაა გაზრდილი და ზოგ შემთხვევაში – გაორმაგებულიც, ინფლაცია კი 10 პროცენტს აჭარბებს, პენსია ისევ 70 ლარია. ცხადია, რომ ამ პირობებში იგივე ოდენობის დაფინანსების შენარჩუნება მსყიდველობითუნარიანობის მიხედვით უფრო ნაკლებ თანხას ნიშნავს. 2011 წლის ბიუჯეტი სოციალურად უფრო მძიმე ბიუჯეტია. წინა წლებთან შედარებით ამ ბიუჯეტით მოსახლეობა უფრო ნაკლებად არის დაცული. ბიუროკრატიული მადის „აღაგმვა“ არ შეიმჩნევა. პირიქით, რამდენიმე სამინისტროში მომსახურე პერსონალის იგივე რაოდენობის პირობებში სახელფასო ფონდი გაიზარდა. სახელმწიფო აპარატი საკმაოდ დიდია და მისი შემცირებისკენ მიმართულ რადიკალურ ცვლილებას ვერ ვხედავთ.




ბიზნესი და სახელმწიფო

# ხატომ უნდა აჩუქო სახელმწიფოს ქონება სახუთაში ნაბით?

მოლაპარაკება, რომელიც სინამდვილეში რეკეტია. სამი საქმე, რომელიც აღწერს როგორ ართმევს სახელმწიფო ბიზნესმენებს მათ საკუთრებას.

მადლენა მაჭარაშვილი, სტუდია „მონიტორი“



## საქმე №1

„ჯეოსელის“ მოზილური წილი

შპს „ჯეოსელის“ ერთადერთი მფლობელი დღეს თურქული სააქციო საზოგადოება „გურტელია“. უკანასკნელი 2.5%-იანი წილი თურქულმა კომპანიამ საქართველოს სახელმწიფოსგან 7 მილიონ აშშ დოლარად, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 2009 წლის იანვარში შეიძინა. ეს ის 2.5%-იანი წილია, რომელიც სახელმწიფოსა და ადგილობრივ და უცხოელ ბიზნესმენებს შორის დიდი გარიგების საგანი გახდა.

სამენარმო რეესტრის დოკუმენტების თანახმად, 2006 წლის 6 აპრილს „ჯეოსელის“ საწესდებო კაპიტალი ერთ იურიდიულ და ექვს კერძო პირს შორის ასე ნაწილდებოდა: სს „გურტელი“ – 83.2%; ავთანდილ იაშვილი – 3.9%; ფრიდონ ინჯია – 7.8%; თეიმურაზ ბერიშვილი – 1.3%; თეიმურაზ ლოლობერიძე – 1.3%; ომარ ზანგურაშვილი – 1.25%; ჯემალ

სვანიძე – 1.25%. რეესტრის მონაცემების თანახმად, რვა თვის შემდეგ ჯემალ სვანიძისა და ომარ ზანგურაშვილის წილების მფლობელი ვინმე გურამ გოგუა გახდა.

გურამ გოგუა კომპანია „არტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის, მეგობარი იყო. სწორედ მის სახელზე 2006 წელს გაფორმებულ 2.5%-იანი წილზე დაიწყო საქართველოს ხელისუფლების მოქმედება და ყოფილ მაღალჩინოსნებს შორის დავა.

„ჯეოსელის“ 2.5%-იანი წილის საკითხზე გამოძიება 2007 წლის 24 სექტემბერს, ბიზნესმენ ჯემალ სვანიძის განცხადების საფუძველზე დაიწყო ირაკლი ოქრუაშვილის ხელისუფლებიდან წასვლიდან რამდენიმე დღეში. ჯემალ სვანიძე სამართალდამცავებს აცნობებდა, რომ 2006 წელს დიმიტრი ქიტოშვილმა „ნაციონალური მოძრაობისა“ და ირაკლი

ოქრუაშვილის სახელით იძულებით დაათმობინა მისი კუთვნილი წილი „ჯეოსელში“. გურამ გოგუასთვის წილის გადაცემა, 2006 წლის 21 ნოემბერს, ოფიციალურად, ნოტარიუსში გაფორმდა. (სვანიძის განცხადებით, მას ეკუთვნოდა ის 1,25%-იც, რომელიც ომარ ზანგურაშვილზე იყო გაფორმებული. ანუ, სვანიძე გოგუას ჯამში 2,5%-ს ედავებოდა).

2007 წლის 8 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ჯემალ სვანიძე დაზარალებულად ცნო. მოსამართლე ეკა არეშიძემ გადაწყვიტა: „გურამ გოგუა ცნობილი იქნას დამნაშავედ... გოგუას მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შპს „ჯეოსელში“ გურამ გოგუაზე რიცხული წილი 2.5% დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს“.

თუმცა წილის „კანონიერ მფლობელად“ სასამართლოს „დაზარალებული“ სვანიძე არ მიუჩნევია. საქმე ისაა, რომ სვანიძის სარჩელის განხილვის პარა-

ლელურად, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მის წინააღმდეგაც დაიწყო გამოძიება. გენერალურ პროკურატურაში სვანიძის მიერ შპს „ჯეოსელის“ 2.5%-იანი წილის ჯერ კიდევ 90-იან წლებში უკანონოდ მოპოვების საკითხი შეისწავლეს.

ჯემალ სვანიძე 1995-2003 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი იყო და კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის ქვეკომიტეტს ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ პერიოდში სთხოვა მას „ჯეოთი მობილის“ ხელმძღვანელობამ საქართველოს ბაზარზე დამკვიდრებისთვის დახმარება. განუთქმული დახმარებისთვის და მომავალში დახმარების მიღების სანაცვლოდ, კომპანიამ პარლამენტარს სანესდებო კაპიტალის 20% გადასცა. სვანიძემ „ჯეოთი მობილის“ 10%-იანი წილი საკუთარ კომპანიაზე, „ჯეო დი პლუსზე“ გააფორმა, 10% კი – შვილის სახელზე გაფორმებულ ოფშორულ კომპანია „სენდ გრუპზე“. „ჯეოსელთან“ „ჯეოთი მობილის“ შეერთების შემდეგ სვანიძის წილი „ჯეოსელში“ 2.5% შეადგინა.

2007 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, პროკურატურამ „ჯეოთი მობილის“ მიერ სვანიძისთვის გადაცემული 20%-იანი წილი ქრთამად არ ჩათვალა და „უკანონო საჩუქრად“ მიიჩნია. „უკანონო საჩუქრის“ გამო სვანიძეს 1998-99 წლებში მოქმედი, 1961 წელს მიღებული კანონით გათვალისწინებული ჯარიმა დაეკისრა. თუმცა, მალევე „ხანდაზმულობის ვადის“ საბაბით, სვანიძის მიმართ სს საქმე შეწყდა. როგორც ჩანს, სვანიძის „გამოსასყიდი“ „ჯეოსელის“ 2.5%-იანი წილი გახდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, „ჯეოსელის“ 2.5%-იანი სადავო წილი სვანიძის ნაცვლად თურქულ „გურტელს“ გადაეცა.

„სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ წილი დამიბრუნდა, შემდეგ დავუბრუნე „ჯეოსელის“ დამფუძნებელს, რადგან მისგან მქონდა მიღებული. ყველაფერი ოფიციალურად და წესის მიხედვით გაკეთდა, წილი პირადი ნებით გადავეცი. ზეპირად შევთანხმდით, თუ დოკუმენტურად გაფორმდა ეს, აღარ მახსოვს. ნამდვილად მახსოვს, წილი დამიბრუნდა და მერე ჩემი ნებით და-

ვუბრუნე „ჯეოსელის“ მფლობელს. რაც შეეხება საკითხის ფინანსურ მხარეს, ვაჩუქე, თუ მივყიდე წილი „ჯეოსელის“ დამფუძნებელს, ამაზე არაფერს გეტყვით, ეს ჩემი კომერციული საიდუმლოებაა“, – გვითხრა ჯემალ სვანიძემ.

ჯემალ სვანიძე დღეს ამ თემაზე საუბარს იმიტომაც გაურბის, რომ ხელისუფლებასთან დაპირისპირება არ სურს. სვანიძემ ხელისუფლების გეგმაში თავისი როლი შესაშურა და სიმართლის თქმის არც „უფლება“ აქვს და არც სურვილი. იგი ხელისუფლებამ საკუთარი გუნდის ყოფილი წევრის, ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ ეფექტურად გამოიყენა. ხელისუფლებამ იზრუნა იმაზეც, რომ სვანიძეს „ჯეოსელის“ კუთვნილი წილზე პრეტენზიები აღარ გამოეთქვა, ამისთვის მას ძველი საქმეები შეახსენეს.

„არ ვიცი, კონკრეტულად რა მეთოდები გამოიყენა პროკურატურამ ჯემალ სვანიძის მიმართ, მაგრამ სვანიძის ჩვენებაში არსებული ბევრი წინააღმდეგობა ადასტურებს, რომ იგი ჩვენების მიცემის დროს არ იყო თავისუფალი და იძულებული გახდა, ის ეთქვა, რასაც ავალბდნენ“, – ამბობს ადვოკატი ეკა ბესელია, რომელიც იმ დროს სასამართლოში ირაკლი ოქრუაშვილის ინტერესებს იცავდა.

საკმაოდ ბევრ ეჭვსა და კითხვას ბადებს „ჯეოსელის“ 2.5%-იანი წილის საკითხზე „გურტელისა“ და საქართველოს სახელმწიფოს ურთიერთობაც. დოკუმენტები ადასტურებს, რომ კომპანია „გურტელმა“ მისსავე „საკუთრებაში“ სასამართლოს დასრულებიდან რამდენიმე თვეში 7 მილიონი დოლარი გადაიხადა.

2007 წლის ოქტომბერში მიღებული წილის კანონიერ ფლობასთან დაკავშირებით „გურტელმა“ 2008 წლის 18 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრს ნიკა გილაურს ასეთი შინაარსის წერილით მიმართა: „ჩვენი წერილი ეხება შპს „ჯეოსელის“ 2.5%-იანი წილს, რომელიც გარეული იყო საქართველოს მთავრობის კრიმინალურ საქმეში. საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებით, სს „გურტელი“ განიხილებოდა ზემოთ აღნიშნული წილის კანონიერ მფლობელად, რომელიც არაკანონიერად მიითვისა ჯემალ სვანიძემ, და, მოგვიანებით, ასევე

არაკანონიერად დარეგისტრირდა გურამ გოგუას სახელზე. „გურტელი“, რომელიც არის დადებითი რეპუტაციის მქონე კომპანია, ასკვნის, რომ არ არის წილის კანონიერი მესაკუთრე“.

2008 წლის 30 ივლისს კი კომპანიამ ასეთი შინაარსის დოკუმენტი შეადგინა: „მოუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოს სასამართლოს დადგენილებით, კომპანია „გურტელი“ არის 2.5%-იანი წილის მფლობელი და რომ ეს წილი რეგისტრირებულია კომპანიის სახელზე, ვამტკიცებთ, რომ შპს „ჯეოსელზე“ ზემოაღნიშნული 2.5% წილის საკუთრებაზე ვამბობთ უარს და უსასყიდლოდ გადავცემთ სახელმწიფოს“.

ყველაფერი იმით დასრულდა, რომ 2009 წლის 30 იანვარს საქართველოს სახელმწიფომ „საჩუქარი“ 6 თვეში „მჩუქებლს“ მიჰყიდა. ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლაშა ჟვანიამ და „ჯეოსელის“ გენერალურმა დირექტორმა ოსმან თურანმა ნოტარიუსთან გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის თანახმად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით სახელმწიფოს კუთვნილი „ჯეოსელის“ 2.5%-იანი წილი 7 მილიონ აშშ დოლარად გადაეცა „გურტელს“.

## საქმე №2

სამშუდამო კალი



ბიზნესმენი ვალერი გელაშვილი და მისი სამშენებლო კომპანია „ევრა“ დღემდე უშედეგოდ ელიან სახელმწიფოსგან კუთვნილი ვალის მიღებას. საქმე ეხება პრეზიდენტის სასახლის მშენებლობისთვის კომპანიის მიერ 2005 წელს გაწეულ ხარჯებს.

„გელაშვილი ელოდა, რომ ამ თანხას –

230 ათას ლარს – ეტაპობრივად მაინც გადაუხდინენ, 5 წელი გავიდა და არ გადაიხადეს. 2007 წლის წერილით, რომელიც სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურმა მოგვწერა, დადგინდა იყო გრაფიკი, რომლის მიხედვითაც გადაიხდებოდა სახელმწიფო ვალური გელაშვილის ვალს. 80 ათასი უნდა გადაეხადათ თებერვალში, მერე – მარტში და 70 ათასი – 31 აპრილამდე. არც ერთი კაპიკი არ გადაუხდიათ. ამიტომაც სასამართლოში ვიჩიველეთ“, – ამბობს გელაშვილის ადვოკატი თამაზ რუხაძე.

ვალური გელაშვილს სახელმწიფომ ასევე დაგვიანებით გადაუხადა პრეზიდენტის რეზიდენციის ტერიტორიაზე მდგარი სახლის ფულიც. ავლაბარში 2300 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ვალური გელაშვილმა 2002 წელს შეისყიდა და კერძო სახლის მშენებლობა დაიწყო. 2004 წელს ხელისუფლებამ გელაშვილს ამ შენობის სახელმწიფოსთვის გადაცემა სთხოვა. გელაშვილი დათანხმდა, თუმცა სანაცვლოდ პრეზიდენტის რეზიდენციის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების უფლება მოითხოვა. შეთანხმების თანახმად, პრეზიდენტის სასახლის კარკასი გელაშვილის სამშენებლო ფირმას, „ევრას“ უნდა აეშენებინა.

სწორედ პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებულ დაპირისპირებას მიიჩნევს თავად გელაშვილი 2005 წელს ნიღბიანების მიერ მისი სასტიკად ცემის მიზეზად. მაშინ პარლამენტარ გელაშვილის კუთვნილ „მერსედესს“ ჯიპს ორმა მანქანამ გზა გადაუღობა. ავტომობილი ცეცხლსასროლი იარაღით რამდენიმე შეიარაღებულმა ნიღბიანმა პირმა გელაშვილი და მისი ორი თანმხლები პირი – დაცვა და კომპანია „ევრას“ თანამშრომელი – მანქანიდან გადმოიყვანეს და დეპუტატი სასტიკად ცემეს. საზღვარგარეთ მკურნალობის შემდეგ გელაშვილი საქართველოშიც დაბრუნდა და პარლამენტშიც. თუმცა მისი პარლამენტარობა ვადაზე ადრე დასრულდა. საპარლამენტო უმრავლესობამ ის უკანონო სამენარმეო საქმიანობაში დაადანაშაულა და დეპუტატის მანდატი გაუქმდა. გელაშვილმა ჯერ კიდევ მაშინ განაცხადა, რომ მთავრობა კომპანია „ევრასთვის“ კუთვნილი ფულის გადახდას აღარ აპირებდა.

### საქმე №3 ბორის ბაზარი

სახელმწიფოს მხრიდან ძალდატანებაზე საუბრობს გორის მცხოვრები ჯემალ ნიკლაური. მისი თქმით, ქონებას – გორის საკომლემენტო ბაზარს – ხელი-სუფლებებში ახლად მოსულმა „ნაციონალებმა“ თვალი ჯერ კიდევ 2003 წლის დეკემბერში დაადგეს. შიდა ქართლის გუბერნატორის მაშინდელმა მოადგილემ, მიხეილ ქარელმა, ჯემალ ნიკლაური კაბინეტში დაიბარა და ქონების სახელმწიფოზე გადაფორმება მოსთხოვა. „იმ თანხის მცირედ ნაწილსაც კი არ მთავაზობდნენ, რაც თავის დროზე, ბაზრის კონკურსის წესით ყიდვის დროს გადავიხადე. უარი რომ ვთქვი, რაღაც აქტი შეთითხნეს და დამაპატიმრეს. ჩემს მეუღლესაც დაპატიმრებით ემუქრებოდნენ. ვიდრე ქონების გადაცემაზე არ მოვანერე ხელი, არ გამომიშვეს. ოთხი თვე ვიჯექი ციხეში“, – იხსენებს ჯემალ ნიკლაური.

ჯემალ ნიკლაურს საკუთარი ქონების დაბრუნების შანსი მხოლოდ ერთხელ



გორის ბაზარი

**ჩივილი რომ აღარ გაეგრძელებინა, ნიკლაურს ფინანსური პოლიციის მიერ, 2004 წლის ივლის-სექტემბერში, ბაზრის შემონმების დროს აღმოჩენილი დარღვევების გამო 109 ათასლარიანი ჯარიმა დააკისრეს.**

გაუჩნდა – 2007 წლის შემოდგომაზე. იმ დროს ხელისუფლება ირაკლი ოქრუაშვილისა და მიხეილ ქარელის მიერ ჩადენილ დარღვევებს ეძებდა. ნიკლაურის საქმე კი სწორედ ასეთი იყო.

„ოფიციალური პირები დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ქონების წართმევაზე თუ ყველაფერს მოვყვებოდი, ობიექტს დამიბრუნებდნენ. მერე ოქრუაშვილისა და ქარელის წინააღმდეგ სხვა კომპრომატები გამოიყენეს და მე აღარ დავჭირდი,“ – იხსენებს ჯემალ ნიკლაური.

ამ გზით ქონების დაბრუნების იმედი რომ გადაეწურა, ჯემალ ნიკლაურმა სარჩელი სასამართლოში შეიტანა. სარჩელის დაუქმყოფილებლობის მიზეზად სასამართლომ გასაჩივრების ვადების გასვლა დაასახელა.

ჩივილი რომ აღარ გაეგრძელებინა, ნიკლაურს ფინანსური პოლიციის მიერ, 2004 წლის ივლის-სექტემბერში, ბაზრის შემონმების დროს აღმოჩენილი დარღვევების გამო 109 ათასლარიანი ჯარიმა დააკისრეს. არადა, ამ პერიოდში ჯემალ ნიკლაურს ბაზარი უკვე „ნაჩუქარი“ ჰქონდა სახელმწიფოსთვის და მას გორის გამგეობის მიერ დანიშნული პირი ხელმძღვანელობდა. ჯემალ ნიკლაური უკანონო ჯარიმის გამო დღემდე ოფიციალურად ხელფასს ვერ იღებს, რადგან მისი ყველა საბანკო ანგარიში დაყადაღებულია.

„საგადასახადოში ყველანაირი საბუთი წარვადგინე, რომელიც ადასტურებდა, რომ ამ დროს ბაზარი უკვე სახელმწიფოსთვის მქონდა ნაჩუქარი, მაგრამ არავინ ყურს არ იბერტყავს, მპასუხობენ: თქვენ რომ ჩამოგანეროთ ჯარიმა, აბა ვის დავანეროთო“, – ამბობს ნიკლაური.

გორის ბაზარი 2008 წლამდე სახელმწიფოს მფლობელობაში იყო. შემდეგ ეკონომიკის სამინისტრომ 710 ათას დოლარად კერძო კომპანია „ისრაელზე“ გაყიდა, რომლის სანესდებო კაპიტალი 200 ლარს შეადგენდა.

ჯემალ ნიკლაურის საქმე ორ წელიწადზე მეტია, სტრასბურგშია და განხილვისთვის კუთვნილ რიგს ელოდება. გორელი მოსარჩელის ინტერესებს სტრასბურგში „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ იცავს.

### მემორიალის ბაზსა

# მონუმენტი მონუმენსის წიცი

ქუთაისის მემორიალის ნაცვლად მოსკოვში დადგმული მონუმენტი 21 დეკემბერს გაიხსნა, სხვა სახელითა და ფორმით.


### ნათია ახალაშვილი

ყავისფერი ატლასით შეფუთული „სამამულო ომში“ გამარჯვებისადმი მიძღვნილი მონუმენტი მოსკოვის ცენტრში, საბჭოთა ჰიმნის მელოდის თანხლებით გაიხსნა. რომ არა ჰიმნის შეცვლილი სიტყვები და მემორიალთან შეკრებილი თანამედროვე პოლიტიკოსები, 21 დეკემბერს გამართული ღონისძიება არქივის კადრები გეგონებოდათ.

ცერემონიას სპეციალურად დაქირავებული დიქტორი უძღვებოდა: „აქ არიან – მოძრაობა „თავისუფალი საქართველოსთვის“ ლიდერი – ნინო ბურჯანაშვილი. ასევე, ბატონი ნალოიდელი“. შემდეგი ქართველი სტუმრის – რეზო ჩხეიძის სახელი და გვარი დიქტორს აღარ შეშლია.

ქართველი სტუმრები რუსეთის დედაქალაქს „დიდების მემორიალის“ საზეიმო გახსნაზე დასასწრებად ეწვივნენ.

ქუთაისის „საბრძოლო დიდების“ მემორიალის სამართალმემკვიდრე ძეგლი მოსკოვში პირადად ვლადიმერ პუტინის ინიციატივით აშენდა. მან ეს გადაწყვეტილება 2009 წელს, ქართული მემორიალის აფეთქებიდან რამდენიმე დღეში მიიღო. „შესაძლებლად მივიჩნეე ამ ძეგლის აღდგენას ერთ დროს ერთიანი სახელმწიფოს [საბჭოთა კავშირის] დედაქალაქში – მოსკოვში. საჭიროა, რომ მოსკოვის ხელისუფლებამ გამოიხატოს ღირსეული ადგილი ამ მონუმენტისთვის... ვიმედოვნებ, ამ ინიციატივას მხარს დაუჭერს რუსული და ქართული საზოგადოებრიობა. მადლობა ღმერთს, ამ ძეგლის ავტორი ცოცხალია და შეიძლება ლაპარაკი ჩვენს სპეციალისტებთანაც“, – განაცხადა პუტინმა 2009 წლის 22 დეკემბერს.



„სამამულო ომში“ გამარჯვებისადმი მიძღვნილი მონუმენტი მოსკოვის ცენტრში, 21 დეკემბერი 2010

ფოტო: უსასანო ნახოვანი / REUTERS

თუმცა მოსკოვური ასლის შექმნაზე ქუთაისის მემორიალის ავტორმა მერაბ ბერძენიშვილმა რუსულ მხარეს უარი უთხრა. მიზეზად მან პროექტის, მაკეტისა და ესკიზების დაკარგვა დაასახელა. ბერძენიშვილი მემორიალის სხვა ავტორის მიერ აღდგენის წინააღმდეგ იცო: „ეს უკვე მემორიალის პაროდიია იქნება და სხვა არაფერი“. თუმცა პუტინის ინიციატივის აღსრულება მაინც გაგრძელდა. მონუმენტისთვის ახალი მისამართის შერჩევის შემდეგ,

მის პროექტზე ღია კონკურსი გამოცხადდა. თავდაპირველად მემორიალისთვის ფულის შეგროვება პრო-სახელისუფლებო ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ „ნაში“ დაიწყო. რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, საბოლოოდ მემორიალის აღდგენისთვის ფული მთელს მსოფლიოში შეგროვდა და 6 ათასზე მეტმა ადამიანმა და 300-მა ორგანიზაციამ გაიღო. 2010 წლის 8 მაისს, მემორიალის მშენებლობა თავად ვლადიმერ პუტინმა

გახსნა. ავტორების თქმით, მემორიალი რეკორდულ ვადებში შესრულდა.

ქუთაისის „დიდების მემორიალის“ სანაცვლოდ მოსკოვში აგებულ მონუმენტს ფორმაც შეეცვალა და სახელიც. „პაკლონაია გორა“-ზე აღმართულ მონუმენტს გრძელი სახელი აქვს – „ფაშოზის წინააღმდეგ ჩვენ ერთად ვიყავით“. სკულპტურული კომპოზიცია, რომლის ცენტრალური ნაწილიც მელიტონ ქანთარიასა და მიხაილ ეგოროვის რაიხსტაგზე საბჭოთა დროში ასვლის ქრესტომათიული ფოტოს გამოსახულებაა, არაფრით ჰგავს ქუთაისში დანგრეულ მემორიალს. თუმცა კომპოზიციაში „დიდების მემორიალი“ მაინც მოხვდა. უფრო სწორედ მისი პატარა ასლი, უკანა ფონად.


„მჯერა, არავის ძალუძს, დააპირისპიროს და გაართულოს ქართულ-რუსული ურთიერთობები, განყვიტოს ტრადიციული ადამიანური და სულიერი კავშირები. ჩვენ ამისკენ გულწრფელად მივისწრაფით... ეს ძეგლი გახდება ჩვენი ურთიერთობების ნორმალიზების დასაწყისის კარგი სიმბოლო“, – მიმართა ვლადიმირ პუტინმა „პაკლონაია გორა“-ზე შეკრებილ საზოგადოებას. მიმართვის მთავარ

ადრესატებს – ნინო ბურჯანაძეს და ზურაბ ნოლაიდელს რუსეთის პრემიერი ცერემონიის პირისპირაც შეხვდა. საუბარი „პაკლონაია გორა“-ზე მდებარე „სამამულო ომის“ მუზეუმში შედგა.

„ის საბჭოთა იმპერიას მისტირის“, – ასე შეაფასა ოფიციალურმა თბილისმა ვლადიმირ პუტინის მიერ მონუმენტის აშენება. კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ მონუმენტს პრემიერ-მინისტრის „ფანტაზიის შედეგი“ უწოდა, მემორიალის გახსნაზე ბურჯანაძის და ნოლაიდელის დასწრება კი თავხედობად, ცინიზმად და უტიფრობად შეაფასა: „ეს ნიშნავს, რომ არ სცემ იმ ადამიანებს პატივს, რომლებმაც რუსული ოკუპაცია საკუთარ თავზე იწვინეს“.

„რატომ არის ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები? რატომ არის რუსული ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე? ის პოლიტიკოსები, რომლებიც დღეს პუტინს ეახლნენ, ამ კითხვების დასმას ვერ ახერხებენ. მათ ეს არ აინტერესებთ. რას ნიშნავს მათი ასეთი მონური მორჩილება პუტინისადმი?“ – ამბობს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი.

ქართველი სტუმრები რუსეთის დედაქალაქს „დიდების მემორიალის“ საზეიმო გახსნაზე დასასწრებად ეწვივნენ.



ნინო ბურჯანაძე და ვლადიმირ პუტინი მონუმენტის გახსნაზე, მოსკოვი, 21 დეკემბერი 2010

1981 წელს შექმნილი 46-მეტრიანი ძეგლის დემონტაჟის გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტმა 2009 წლის სექტემბერში მიიღო. მემორიალის ადგილზე პარლამენტის ახალი შენობა უნდა აგებულიყო. დემონტაჟის თარიღად 21 დეკემბერი (იოსებ სტალინის და მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღე) დაითქვა. მაგრამ მოულოდნელად, ძეგლი 19 დეკემბერს ააფეთქეს.

დაუგეგმავი აფეთქება ტრაგიკულად დასრულდა. ბეტონის თალის ნამსხვრევები საცხოვრებელი კორპუსების მიმართულებით დიდი სიჩქარით გადავარდა და ქუთაისელი ეკა ჯინჭარაძე და მისი 8 წლის შვილი სასიკვდილოდ დააზიანა.

რუსეთის ხელისუფლება ჯერ კიდევ ძეგლის აფეთქებამდე აპროტესტებდა მემორიალის დემონტაჟის გადაწყვეტილებას. რუსეთის საგარეო უწყების მიერ გავრცელებული საპროტესტო წერილი საქართველოს საგარეო უწყებამაც არ დატოვა კომენტარის გარეშე და შეაფასა, როგორც რუსი კოლეგების „უზნეო ჩეკვა, მუდმივად ჩაერიოს სხვა სახელმწიფოების შიდა საქმეებში“.

საქართველოს ხელისუფლების მიერ მემორიალის დემონტაჟი რუსეთის საგარეო უწყებამ კიდევ ერთხელ, ტრაგიკული აფეთქების შემდეგ გააპროტესტა და ის სახელმწიფო ვანდალიზმად მოიხსენია.

ძეგლის დემონტაჟის ფაქტს პუტინმა „ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ხალხთა მეხსიერებიდან საერთო, გამორული წარსულის სხოვნის“ ნაშლის მორიგი მცდელობა უწოდა.

მემორიალის ასლის მოსკოვში აღდგენის მთავარი მიზანი ვლადიმირ პუტინის არასოდეს დაუმაღავს: „დიდების მემორიალის“ მოსკოვში აღდგენა ცხვირში კიდევ ერთი გარტყმა იქნება საქართველოსთვის, რომელმაც ისტორიული ხსოვნის წინაშე დანაშაული ჩაიდინა.“

„ეზო მასკვი“-ს რუსმა კომენტატორმა ანტონ არენმა ამ თემაზე მიძღვნილი საკუთარი საავტორო გადაცემა ასე დაასრულა: „ველოდებით სააკაშვილის საპასუხო სვლას. მე მის ადგილზე ხოდორკოვსკის და ლებედევის ბრინჯაოს ქანდაკებას ჩამოვასხამდი „იუკოს“-ის ბენზინგასამართის ფონზე“.

კულტურა და პოლიტიკა

სახონსაიხსო მეთანხმება

საქართველოს ხელისუფლება MTV-სთან ორმილიონიან კონტრაქტს აფორმებს.

მოლი კორსო, eurasianet.org

მსოფლიო ბაზარზე საქართველოს რეკლამირების, ამასთან, ინვესტორებისა და ტურისტების მოზიდვის მიზნით, თბილისმა მუსიკალურ-გასართობ ქსელ MTV-სთან კონცერტის ტელევიზიით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ეს ინფორმაცია „ევრაზიანეტს“ მოლაპარაკებების პროცესში ჩართულმა წყარომ დაუდასტურა.

კონცერტი, საგარეოდ, 2011 წლის მაისში ან ივნისშია დაგეგმილი. საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის დირექტორის – მაია სიღამონიძის – განცხადებით, ის საკურორტო ქალაქ ბათუმში ჩატარდება. კონცერტი MTV Impact-ის ფარგლებში ტარდება. ეს უკანასკნელი MTV-ის ქსელის ის განყოფილებაა, რომელიც კონცერტებს განვითარებად ქვეყნებში MTV-ის გაფართოების მიზნით ატარებს და ამ ბრენდს ადგილობრივი ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობისათვის იყენებს.

წარსულში მსგავს ღონისძიებებს ისეთი პოპ-ვარსკვლავები ჩაუდგნენ სათავეში, როგორც ლედი გაგა და „ბლეკ აიდ ფის“ არის და ამით ათობით ათასი ტურისტი ისეთ შორეულ ქვეყნებში მიიზიდეს, როგორც, მაგალითად, მალტა, სადაც Isle of MTV Malta ფესტივალს, გადმოცემით, 50 000-ზე მეტი მაყურებელი დაესწრო. საქართველოში გამართულ კონცერტზე მოლაპარაკებაში ჩართული მხარეები 60 000-მდე ადამიანის დასწრებას ვარაუდობენ. ღონისძიების ღირებულებას – რაც, მიახლოებითი გათვლებით, 2 მილიონ აშშ დოლარს აღემატება – სახელმწიფო და კერძო სპონსორები დაფარავენ.

MTV-ის სპიკერმა „ევრაზიანეტს“ დაუდასტურა, რომ კომპანია საქართველოს „სტრატეგიულ ალიანსში“ მოიაზრებს. MTV-ის ფესტივალის პირველი შემთხვევა არ არის, როცა თბილისი 2008 წლის რუსეთთან ომის ამსახველი კადრების პოზიტიური გაშუქებით – პოპმუსიკით ჩანაცვლებას ცდილობს. თუმცა ეს სტრატეგია ყოველთვის არ ამართლებს. სექტემბერში საქართველომ ნიუ-იორკის ფილარმონიის ორკესტრთან მიღწეული ზეპირი შეთანხმება თბილისში კონცერტის ჩატარების თაობაზე უცერემონიოდ გააუქმა. მიზეზად ფასების ირგვლივ წარმოქმნილი გაუგებრობა დასახელდა.

MTV-ის უზარმაზარი სატელევიზიო აუდიენციის გათვალისწინებით, მთავრობა მონდომებულია, რომ მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორდეს. როგორც სიღამონიძემ „ევრაზიანეტს“ განუცხადა, თანამდებობის პირები ამ ღონისძიების წარმატებისათვის ყველაფერს აკეთებენ. „მესმის, რომ ეს დიდი პასუხისმგებლობაა, მაგრამ, ვფიქრობ, არ გვაქვს გა-



MTV-ის კონცერტი

თვითცნობიერებული, საქართველოს შესახებ ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით, ეს რამდენად დიდი შესაძლებლობაა“, – ამბობს იგი. „თუ კარგად ორგანიზებული იქნება, თუ მომზადებას და ორგანიზებას დიდი ხნით ადრე დაიწყებთ, ვფიქრობ, ამის გაკეთებას შეეძლებთ“.

თუმცა წინ ბევრი ლოჯისტიკური დაბრკოლებაა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია, ბათუმის – როგორც საქართველოს ტურიზმის განვითარების სააკაშვილისეული სტრატეგიის ვარსკვლავის პოპულარიზაცია მიმდინარეობს, ქალაქი და მისი შემოგარენი ჯერ კიდევ განუვითარებელია. ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ძირითადი ინფრასტრუქტურული პრობლემა, როგორცაა ცუდი გზები და ელექტროენერჯის გათიშვა.

ჯერჯერობით ეს დაბრკოლებები არც ერთ მხარეს არ აშინებს. საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტი ბათუმის ირგვლივ მისაღები სასტუმროების სიას ადგენს და ბათუმის რესტორნებისა და სასტუმროების თანამშრომლებს მომხმარებელთა მომსახურების ტრენინგებს ჩაუტარებს. სიღამონიძის განცხადებით, მთავრობა ასევე მუშაობს კერძო კომპანიებთან, რათა მაყურებლებმა ადგილობრივი სასტუმროებიდან ღონისძიებამდე ავტობუსებით მისვლა შეძლონ. MTV კონცერტისთვის მომზადების თაობაზე საქართველოს მთავრობას რჩევებს აძლევს. მუსიკალური ტელეარხის Networks International-ის განყოფილების თანამშრომლები ადგილმდებარეობის შეფასების მიზნით ნოემბერში ბათუმს უკვე ეწვივნენ. კონცერტის ლოჯისტიკაზე MTV-სთან ერთად ადგილობრივი კომპანია „ისტერნ პრომოუშენი“ იმუშავებს, რომელსაც წარსულში ლია ცის ქვეშ მასშტაბური კონცერტების მოწყობის გამოცდილება აქვს.

თვალსაზრისი

# ბანათი 2010: ნაცი, ხომალსას ვეით



შევაფასოთ განვლილ წელს განათლების სისტემაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები.

სიმონ ჯანაშია

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემისთვის 2010 წელი მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებების მომტანი გახდა. გაუმჯობესდა უამრავი რამ, დაინერგა მრავალი ინოვაციური მიდგომა, რომელიც როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში განათლების ხარისხს და ხელმისაწვდომობას საგრძნობლად გააუმჯობესებს.

გაუმჯობესდა სისტემის და სკოლების მართვის პრინციპები. სისტემა უფრო გამჭვირვალე, დემოკრატიული და მონაწილეობითი გახდა. სკოლები და სახელმწიფო უფრო მეტად გახდნენ ანგარიშვალდებული საზოგადოების წინაშე. მართვის ახალი პრინციპების თანახმად, სკოლა ვალდებული გახდა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მედიასთან მჭიდროდ ითანამშრომლოს იმისთვის, რომ მათი საქმიანობა მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს. წელს დაიწყო ამ პრინციპების დანერგვაც და გარკვეული შედეგები უკვე გამოიღო. მშობლები, მეცნიერები, ბიზნესის წარმომადგენლები უფრო მეტად დაინტერესდნენ იმით, თუ რა ხდება სკოლებში. ამან კი სკოლებს მისცა შესაძლებლობა, გაეუმჯობესებინათ სასწავლო გარემო.

დემოკრატიული მართვის პრინციპების დანერგვასა და ანგარიშვალდებულების გაზრდას ხელი შეუწყო იმანაც, რომ წელს ხელახლა ჩატარდა სკოლის დირექტორების არჩევნები. 2007 წელს სკოლების მხოლოდ ნახევარმა შეძლო დირექტორების არჩევა. მას შემდეგ კი არჩევნები არ გამართულა. ამიტომ წლებიდან დღემდე არჩევნები მნიშვნელოვანი გარღვევა იყო ამ თვალსაზრისით. საზოგადოება აქტიურად იყო ჩართუ-

ლი ამ პროცესში, რასაც თავად სახელმწიფოს აქტიურობამაც შეუწყო ხელი. მოგეხსენებათ, რომ არჩევნებამდე მიმდინარეობდა სერიოზული მედიაკამპანია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ჩვენი მონაწილეობა სკოლის ცხოვრებაში.

მნიშვნელოვანი ისიც იყო წელს, რომ

**■ უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ სკოლების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა პარამეტრით შეაფასა, მაგრამ რეიტინგის სისტემის შექმნას თავი აარიდა.**

მას შემდეგ, რაც დირექტორები აირჩა, სამინისტრომ მათ კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სპეციალური კურსები შესთავაზა. ამ კურსებს დამოუკიდებელი ორგანიზაციები კურირებენ, სახელმწიფოს ფინანსური ხელშეწყობით. ამ კურსების მთავარი თემა კი ის იყო, თუ როგორ არის შესაძლებელი განათლების ხარისხის ამაღლება სკოლაში, კორუფციის შემცირება, კანონმდებლობის დაცვის კუთხით პრაქტიკის გაუმჯობესება თუ სხვა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეს კურსები ინტერნეტფორმატში გააკეთა, რაც საშუალებას აძლევდა დირე-

ქტორებს, რომ სამუშაოსგან მოწყვეტის გარეშე შეესწავლათ მართვის ის ნიუანსები, რაც მათ საგანმანათლებლო ლიდერებად ჩამოყალიბებასა და სკოლის განვითარებაში აქტიურად ჩართულ მენეჯერებად თვითდაქვიდრებაში დაეხმარებოდა.

საზოგადოებამ წელს პირველად შეიტყო ობიექტური მონაცემები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა თითოეულ სკოლაში. სკოლების აკრედიტაციის სისტემის ამუშავების საფუძველზე გამოქვეყნდა სკოლებში არსებული ვითარების აღწერა სხვადასხვა პარამეტრით. იმისთვის, რომ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს, შეიქმნა სპეციალური ინტერნეტ-პორტალი. უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ სკოლების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა პარამეტრით შეაფასა, მაგრამ რეიტინგის სისტემის შექმნას თავი აარიდა.

სამინისტრომ მნიშვნელოვანი კვლევები ჩაატარა წელს, რომელზე დაყრდნობითაც შეიმუშავა ახალი მიდგომები. ასეთია კვლევა სკოლებში უსაფრთხოებასთან და დისციპლინასთან დაკავშირებით. სპეციალური კრიტერიუმების მიხედვით და დახვეწილი კვლევითი ინსტრუმენტების გამოყენებით ჩატარდა სკოლების უსაფრთხოებისა და დისციპლინის აუდიტი. სკოლებში პრობლემების თავისებურებისა და სიმძაფრის მიხედვით, სამინისტრომ რამდენიმე განსხვავებული პროგრამა დაიწყო. ზოგ სკოლაში დამონტაჟდა კამერები, ზოგში მივლინებულ იქნა ფსიქოლოგი. ზოგ სკოლას გამოეყო თანხა იმისთვის, რომ იქირაონ მანდა-

ტურები სამინისტროს მიერ სერტიფიცირებულ სპეციალისტთა ჯგუფიდან. რაც მნიშვნელოვანია, მასწავლებლებს პრობლემურ სკოლებში ჩაუტარეს ტრენინგები მოსწავლეების ქცევების რეგულირებისა და აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით. ასევე სკოლებში დაიწყო მოსწავლეების თვითრეალიზაციაზე გათვლილი პროგრამები კლუბების, სპორტში სასკოლო ლიგის, საქველმოქმედო საქმიანობისა და თვითმმართველობის გაძლიერების კუთხით.

სახელმწიფომ კიდევ უფრო შეამცირა ჩარევა სახელმძღვანელოების ბაზრის რეგულირებაში. ამის ნაცვლად სახელმწიფოს დაფინანსებით გამომცემლობებს და სახელმძღვანელოების ავტორებსა და რედაქტორებს ჩაუტარდა ტრენინგები. შეიქმნა ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების უცხოური ანალოგების ბიბლიოთეკა. ასევე, სახელმწიფომ გამოყო გრანტი საუკეთესო უცხოური სახელმძღვანელოების თარგმანისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და მათემატიკაში. იმისთვის, რომ ეს შესაძლებელი გამხდარიყო, სახელმწიფომ, ასევე, ნაკლებად სტანდარტიზებული გახადა ეროვნული სასწავლო გეგმა. ამავედროულად, სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის, სახელმწიფომ სკოლებს სოციალური ვაუჩერი გამოეყო, რომელიც შესაძლებელია, მოხმარდეს სახელმძღვანელოების შექმნასა და მოსწავლეებისთვის გადაცემას.

სწავლების ხარისხის გასაზრდელად მასწავლებლები ვალდებული გახდნენ, რომ ხშირად და მრავალმხრივად შეაფასონ მოსწავლეები. ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებების მიხედვით, შეფასებები სულ უფრო და უფრო მეტად ხდება განმავითარებელი და არა – განმსაზღვრელი. ასევე გაიზარდა სასწავლო წლის ხანგრძლივობა და შემცირდა კლასებში მოსწავლეების რაოდენობა. ამავედროულად სახელმწიფომ ახალი საგნების დამატების ნაცვლად, გადაწყვიტა ნაკლები საგნის უფრო ინტენსიურად სწავლება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებასაც. სასკოლო ოლიმპიადები წინასწარ მოცემული ტესტების მიხედვით კი არ იმართება, არამედ – მოსწავლეების გუნდებში მუშაობის, გამჭრიახობასა და შემოქმედებითობაზე დაფუძნებული კონკურსის საფუძველზე. ასევე მოსწავლეებს აჩვენეს ფილმები იმასთან დაკავშირებით, თუ რას იწვევს ტოტალიტარული რეჟიმები, სტერეოტიპული აზროვნება, მილიტარიზაცია, რელიგიური ან პოლიტიკური ნიშნით არატოლერანტობა და სხვა.

სპეციალური ყურადღება დაეთმო სკოლების განვითარებას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა საგრანტო პროგრამა. სკოლებს, რომლებსაც აქვთ სურვილი,

**■ განათლების დაფინანსების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში წელს 2.2-დან 3 პროცენტამდე გაიზარდა. ამ მაჩვენებლით საქართველომ მსოფლიოში 123-ე ადგილიდან 108-მდე გადაინაცვლა.**

გეგმა და მოტივაცია, რომ ადამიანური რესურსები განავითარონ, ეძლევათ გრანტი იმისთვის, რომ გააძლიერონ სწავლება არჩეული მიმართულებით. წელს რამდენიმე ათეული გრანტი გაიცა სკოლებზე, რომლებიც ავითარებენ სწავლებას საბუნებისმეტყველო და მათემატიკური კუთხით. გრანტები გაიცა ისეთ სკოლებზეც, რომლებმაც დანერგეს ინოვაციური საგანმანათლებლო მიდგომები, როგორებიცაა: პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული სწავლება და სხვა. ასევე დაფინანსდა სკოლები,

რომლებიც აქტიურად ნერგავენ თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში.

იმისთვის, რომ გაძლიერდეს ინგლისური ენის სწავლება, სახელმწიფომ, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად გაზარდა ამ ენის მასწავლებლების ხელფასები, მეორე მხრივ კი სპეციალური პროგრამა შეიმუშავა იმ უმაღლესი სასწავლებლების დასაფინანსებლად, რომლებიც ინგლისურის მასწავლებლებს ამზადებენ. ასევე სახელმწიფომ შეიმუშავა დისტანციური სწავლების კურსები იმ სკოლებისთვის, რომლებშიც მასწავლებლების ნაკლებობაა.

გამართივად სკოლაში ადამიანურ რესურსებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული პროცედურები. ამის შედეგად სკოლებმა შეძლეს ახალი და უფრო კვალიფიციური კადრების მოზიდვა, არსებულებს კი პასუხისმგებლობები გაუზარდეს.

ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდა იმით, რომ ზოგადად სასკოლო ვაუჩერული დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა. განათლების დაფინანსების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში წელს 2.2-დან 3 პროცენტამდე გაიზარდა. ამ მაჩვენებლით საქართველომ მსოფლიოში 123-ე ადგილიდან 108-მდე გადაინაცვლა. ამის შემდეგ ყოფილ საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის აღარ ვართ განათლების ყველაზე დაბალი დაფინანსების მქონე ქვეყანა. ვაჯობთ ტაჯიკეთს, რუანდას, გამბიას, და მიეუახლოვდით სომხეთს, ნიკარაგუას და კონგოს.

თუ სტატიაში აღწერილმა ვითარებამ სასიამოვნოდ გაგაოცათ, იმის ნიშანი შეიძლება იყოს, რომ თქვენ რეალობას კარგად იცნობთ. დასაინანი ისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში წელს აღწერილის მსგავსი არაფერი არ მომხდარა. სამში კი ის გახლავთ, რომ წელს განხორციელებული პროექტების უმეტესობა, იმის საპირისპიროა, რაც თქვენ ზევით ნაიკითხეთ...

გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ უკეთეს საგანმანათლებლო პოლიტიკას 2011 წელს.



# ბანათლების სისტემაში ხიზონია



უამრავი გზა არსებობს, რომ სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, ფორმალური და არაფორმალური განათლების საშუალებით, გაიზარდოს მალალი სამოქალაქო შეგნების და ზნეობის მქონე ადამიანი.

თამარ ამაშვილი, პედაგოგი, 161-ე სკოლის დირექტორის ყოფილი მოადგილე



ფოტო: თინათინ ბაქრაძე

ჩემს მასწავლებლებზე მინდა, მოგი-თხროთ. სკოლაში რომ მასწავლიდნენ, იმათზე – არა, იმ მასწავლებლებზე, უკვე უნივერსიტეტამთავრებულს ცხოვრების გზაზე რომ შემხედნენ. 1981 წელი იყო, გაქანებული „ზას-ტოი“ – აი, ის დრო, დისიდენტურ ნიგნებს გაზეთმომხვეულებს რომ ვკითხულობდით და გული გვისკდებოდა, განსხვავებული აზრისთვის არ დავეჭირეთ. ყველა ერთნაირი რომ იყო ჩაცმულობით, საშინაო დავალებებით, აზრებით. არ ვიცი, ამ დროს რა მამაცი გული

უნდა გქონოდა, რომ აზრად მოგსვლოდა, საბჭოთა განათლების სისტემის წინააღმდეგ წასულიყავი. სწორედ ამ იდეით გაერთიანდა ოთხი ადამიანი – გურამ რამიშვილი, კოტე გაბაშვილი, მიხეილ მინდაძე და ნინო რამიშვილი. ასე შეიქმნა ანტისაბჭოთა სკოლა (მე მგონი, მთელ საბჭოთა კავშირში ერთადერთი), რომელიც თბილისში „გერმანული“ სკოლის სახელით გახდა ცნობილი. მათ საქმიანობაში რადიკალიზმი საერთოდ არ იყო. შეუპოვრობა – რამდენიც გინდათ. ჩუმად, ნაბიჯ-ნაბიჯ აღწევდნენ თავიანთ მიზანს. მიზანი

კი ერთადერთი იყო – დემოკრატიული სკოლა, ავტორიტარულის ნაცვლად. ბუნებრივია, საბჭოთა ჩინოვნიკები და კომპარტიის აქტივისტები ასეთი სკოლის წინააღმდეგეები იყვნენ. „გაზრდიან კი ეს ადამიანები საბჭოთა მოქალაქეებს?“ – ასე განიხილებოდა თათბირებზე გერმანული სკოლის საკითხი და მის წინსვლას სხვადასხვა მეთოდით უშლიდნენ ხელს. რასაკვირველია, იყო შეცდომებიც, ადამიანური და პროფესიული. სკოლა კი მაინც შედგა. თავისუფალი აზროვნება, ინოვაციები, პირადი და გუნდური

პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლად გადანიშნულებების მიღება, კოლეგიალობა, კეთილგანწყობილი გარემო, საქმისადმი თავდადება – ყველაფერი ეს მათ გვასწავლეს. მახსოვს, ერთხელ, ბატონ გურამ რამიშვილს ბანალურ საკითხზე მივმართე დასახმარებლად. შენ როგორ ფიქრობ ამ პრობლემის გადაჭრასო, – მკითხა. არ ვიცი, არ მიფიქრია, თანაც თქვენ ხომ არ გადაგახტებით თავზე-მეთქი, – ვუპასუხე. ეს რა დამოუკიდებლუბააო, – მითხრა, – ეს ხომ საბჭოთა გადმონაშთიაო, (არადა, გაქანებული საბჭოთა კავშირი იყო), შენ შენი წილი პასუხისმგებლობა გაქვს და შენი გასაკეთებელი შენვე გააკეთეო. მეტყველება, ურთიერთდამოუკიდებულება, საგაკვეთილო პროცესის წარმართვა – ამ ყველაფერზე მიმა მინდაძე, ჩვენი დირექტორი, მასწავლებელი და ყველაზე ახლო მეგობარი ზრუნავდა. გვეუბნებოდა, მოსწავლეებისთვის საინტერესოები და თანამედროვეები იყავით, ბევრი იკითხეთ, მოაგროვეთ ინფორმაცია, ცოტა არტისტულობაც არ განყენოთ. თითოეულ ჩვენგანს საგნობრივად პროგრამების გაკეთება მო-

სკოლაში თავისუფალი აზრი და დამოუკიდებელი მოქმედება იკრძალებოდა, მოსწავლეთა უფლებები ილახება, დემოკრატიული მმართველობის პრინციპები საპნის ბუშტივით ქრება. რეფორმირებული სკოლა ისევ აღმოჩნდა რამდენიმე ბატონის ხელში. რატომ? – არ მესმის. არ ესმის იმ ამერიკელ ინგლისურის მასწავლებელსაც, რომელიც ჩემს ოჯახში ცხოვრობს და გაოგნებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული „დირექტორების წმენდით“. მასაც უჩნდება კითხვები: სად არის საზოგადოება, როდესაც სამინისტრო ასეთ ზენოლას ახორციელებს, მინისტრი კი ტყუის? რატომ ვჩერდებით, როდესაც ჩვენი შეილებს კანონით დაშვებული ქმედება იდევნება? გგონიათ, არ უჩნდებათ შეკითხვა, რატომ დადიან ფორმიანი ადამიანები სკოლის დერეფნებში ან რატომ არ არიან მანდატურები სკოლის თანამშრომლები? მე კი ვარწმუნებ, რომ ეს ინსტიტუტი მხოლოდ ახლა ყალიბდება და აუცილებლად დაიხვეწება. მანდატური ხელშეკრულების საფუძველზე გახდება სკოლის თანამშრომე-

**■ კანონით მოპოვებულ სკოლის ავტონომიას საფრთხე ემუქრება, სკოლაში თავისუფალი აზრი და დამოუკიდებელი მოქმედება იკრძალება, მოსწავლეთა უფლებები ილახება, დემოკრატიული მმართველობის პრინციპები საპნის ბუშტივით ქრება.**

გვთხოვა. გვასწავლიდა – გაზარდეთ დისციპლინირებული მოსწავლე ისეთი, თვითონ რომ არ იკადრებს წესების დარღვევას, თორემ აკრძალვებით და ძალადობით არაფერი გამოვაო. ორი წელია, ბატონი მიშა ტყუილები-სა და დახვეწილი ინტრიგების მსხვერპლია. ეს რომ ცალკეული შემთხვევა იყოს, არაფერს ვიტყვოდი. მაგრამ ზოგადმა სურათმა ჩემი მასწავლებლები გამახსენა. ისევ იქ დავბრუნდით, საიდანაც მათ დაიწყეს, რასაც დაუპირისპირდნენ: კანონით მოპოვებულ სკოლის ავტონომიას საფრთხე ემუქრება,

ლი და უსაფრთხო სკოლის ნამდვილი გარანტი. რამდენიმე დღის წინ სკოლის მენეჯერმა, ბატონი მიშას მოვალეობის შემსრულებელმა საოცარი გულახდილობა გამოიჩინა და მითხრა: ჩვენ (ნაციონალური პარტიის რაიონული ოფისი) განათლების სამინისტროს ვეკამათებით, ნუ ერევინ სკოლის საქმეებში, გავლენას ნუ გვართმევთ, სკოლა ხომ ჩვენი, რადგან საარჩევნო უბნებიანო. მე ვუპასუხე, კანონის მიხედვით, არც თქვენია და არც სამინისტროსი – სკოლა საგანმანათლებლო დაწესებულებაა, სადაც

პროფესიონალების ხელში ქვეყნის მომავალი უნდა გაიზარდოს-მეთქი. პროფესიონალიზმი აქტიუალური აღარ არის, მთავარია, მენეჯერი იყო, – მიპასუხა. მენეჯერმა დაიტრახა (სახელს არ ვახსენებ, რადგან ამგვარი სურათი თითქმის ყველა სკოლაშია) – გათავისუფლებული დირექტორების ადგილზე სულ მანდატურები დაინიშნენ (მასაც არ მოსწონს ეს ფაქტი), მარტო ეს სკოლაა, სადაც მე დავინიშნე, ხომ ხედავთ, რა მაგარი რაიონული ორგანიზაცია გაქვს, სამინისტროს მოუფეთო(!). სამინისტრო გვეუბნება, ჩვენთან შეთანხმების გარეშე გეკრძალებათ ინტერვიუები და გადაცემებში მონაწილეობაო, პროგრამების განხორციელება და ხელშეკრულებების გაფორმებაო. პარტიას თავისი გავლენის გაძლიერება სურს. ეკლესიაც აქტიურად ერთვება სასკოლო ცხოვრებაში, მასაც თავისი ინტერესი აქვს. ვინც ცდილობს შეინარჩუნოს კანონით მინიჭებული ავტონომია, არ მოსწონთ და იშორებენ. ბოლო პედაგოგზე (მე არ ვესწრებოდი) ჩვენს მენეჯერს „მამაო“ მიუყვანია, რომელმაც განაცხადა – ვისაც ჩემს გვერდით უნდა ყოფნა, ამ კაცს დაუჭერს მხარსო. იქვე მოუთხოვია, გაკვეთილების დროს უნდა შემოვიდე ბავშვებთან გასასაუბრებლადო. თუ უარს მეტყვით, სხვაგან წავალო. თანაც, ეს მოთხოვნა ყველგან არის შეთანხმებული და უნდა შეასრულოთ! ესეც ჩვენი კანონმდებლობით მინიჭებული ავტონომია. უამრავი გზა არსებობს, რომ სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, ფორმალური და არაფორმალური განათლების საშუალებით, გაიზარდოს მალალი სამოქალაქო შეგნების და ზნეობის მქონე ადამიანი. განათლების სისტემაში აშკარა კრიზისია. სტრატეგია და ტაქტიკა თანხვედრაში არ არის. ყოველთვის ვიქნები იმ პროგრესის მხარეს, რომელიც სკოლებში დაიწყო 2005 წელს საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ საფუძველზე. დღეს კი, არსებული ხარვეზების დახვეწის ნაცვლად, უკუხვლა დავინწყეთ. ■

# ჩა სახბებლობა მოაქვს START-ს



ბირთვული განიარაღება და დაპირისპირებაზე მალლა დადგომა.

მარკ მალენი

საშობაო არდადეგებამდე, ამერიკის სენატმა რატიფიკაცია გაუკეთა ე.წ. START-ის შეთანხმებას, რომელიც ამერიკული და რუსული ბირთვული რაკეტების შემცირებას გულისხმობს. ხელშეკრულების მიხედვით, ორივე ქვეყანა ბირთვული რაკეტების რიცხვს 2000-დან დაახლოებით 1500-მდე შეამცირებს. ყველა, ვინც კი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში ერკვევა, ხელშეკრულებას მხარს უჭერს. 100-დან 26 სენატორს, რომლებმაც რატიფიკაციის წინააღმდეგ მისცეს ხმა, ობამასთვის უბრალოდ გამარჯვების წართმევა სურდათ. მათ რამე განსაკუთრებული მიზეზი არ ჰქონიათ. სამი ყოფილი „რესპუბლიკელი“ – სახელმწიფო მინისტრი, ბუშის მიერ დანიშნული თავდაცვის მდივანი და გენერალური შტაბის უფროსი ინიციატივას მხარს უჭერდნენ და აქტიურად ლობირებდნენ.

რას ნიშნავს ეს ყველაფერი საქართველოსთვის? მოკლე პასუხი: იმას, რასაც დანარჩენი მსოფლიოსთვის. აღნიშნული ხელშეკრულება უფრო ვრცელი და დეტალური მოლაპარაკებების ნაწილია, რომელიც მცირე ტაქტიკურ ბირთვულ რაკეტებს შეეხება. ასეთი რაკეტები რუსეთს უფრო მეტი აქვს, ვიდრე ამერიკას, ასევე, მომავალი მოლაპარაკებები ამ ქვეყნებისთვის საინტერესო სხვა თემებსაც მოიცავს. START-ის ხელშეკრულება მსგავსი მოლაპარაკებების წინაპირო-

ბაა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლა მსოფლიო ოდნავ უფრო მეტად უსაფრთხო ადგილია.

საქართველოში არის ჯგუფი, რომელსაც ეს ხელშეკრულება არ მოსწონს. ისინი თვლიან, რომ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიერ რუსეთთან დადებული შეთანხმება ცუდია და რაღაც გაურკვეველი აზრით, საქართველოსთვის ავის მომტანია. საბედნიეროდ, ეს ჯგუფი მცირერიცხოვანია, მაგრამ ამავდროულად, საკმაოდ ხმამაღალი. სინამდვილეში, ისინი საქართველოს პოზიციას ასუსტებენ.

კარგია თუ ცუდი, ქვეყნებს საკუთარი ბრენდი აქვთ, ანუ ის, რასაც ხალხი მათზე ფიქრობს. ამერიკაზე ფიქრობენ, რომ ის მდიდარია, თავისუფალი, „მაგარი ბიჭია“ და ა.შ. საქართველოზეც შეიძლება ფიქრობდნენ, რომ მან წარმატებით დაასრულა კორუფციასთან ბრძოლა და ახლა შესანიშნავი ადგილია ბიზნესისა და ინვესტიციებისთვის. ასევე, შეიძლება ფიქრობდნენ, რომ საქართველო ლამაზი ან მდიდარი ისტორიის მქონე ქვეყანაა, ან ქვეყანა, რომელიც რუსეთის მიმართ თავისი განსაკუთრებული სიძულვილით გამოირჩევა. ეს უკანასკნელი საქართველოსთვის მომგებიანი ბრენდი სულაც არ არის.

რა თქმა უნდა, ბევრ ქვეყანას უჭირს თავის მეზობელთან შეგუება. ბევრ ჩინელს არ მოსწონს იაპონია. ლიბანელები იმედგაცრუებულნი არიან სირია-



პილარი კლინტონი ამერიკის სენატში, ვაშინგტონი, 22 დეკემბერი 2010

ფოტო: AP/WIDEWORLD / REUTERS

ზე, ისრაელზე რომ არაფერი ვთქვათ. საქართველო ერთადერთი ქვეყანა არაა, რომელიც თავის მეზობელს ვერ ეგუება. თუ საქართველოს უუნარობა, რომელიც რუსეთთან საერთო

ენის ვერგამონახვას გულისხმობს, ისე აღიქმება, როგორც მუდმივი თვისება, მაშინ საქართველოსთვის ეს ნამდვილ საერთაშორისო დაბრკოლებად იქცევა. შეერთებულ შტატებს მსოფლიოში

■ საქართველო უნდა მოერიდოს საკუთარი თავის ისე წარმოჩენას, თითქოს ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც კრემლს შეეხება, განსაკუთრებით იმ ინიციატივებისას, რომლებიც მსოფლიოსთვის სასარგებლოა.

უამრავი სადარდებელი აქვს, მაგალითად, ორ კორეას შორის ურთიერთობების დარეგულირება, ნარკოტიკებთან დაკავშირებული ძალადობა მექსიკაში და ბირთვული განიარაღება. საქართველოს პრობლემები უფრო მეტად ფოკუსირებულია. საქართველო უნდა მოერიდოს საკუთარი თავის ისე წარმოჩენას, თითქოს ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც კრემლს შეეხება, განსაკუთრებით იმ ინიციატივებისას, რომლებიც მსოფლიოსთვის სასარგებლოა. თუ ასე მოხდება, საერთაშორისო ასპარეზზე სხვა ქვეყნებს საქართველოს რეალურ პარტნიორად და მოთამაშედ აღქმა გაუჭირდებათ.

მაიკლ მაკფაულმა, რეგიონში ამერიკის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე ყველაზე მნიშვნელოვანმა პასუხისმგებელმა პირმა, რამდენიმე კვირის წინ საინტერესო აზრი გამოთქვა. მან თქვა, რომ ორივე – რუსეთიცა და საქართველოც ცდილობს, ამერიკას არჩევანის გაკეთება აიძულოს, ამერიკის პოლიტიკა კი ორ ქვეყანას შორის არჩევანის გაკეთებას არ გულისხმობს, არამედ ორივესთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებას. ეს ჭკვიანური პოლიტიკაა და ის საქართველოს განვითარებას ხელს შეუწყობს. ყველასათვის ცნობილი მიზეზებიდან გამომდინარე, რუსეთს უჭირს ითამაშოს საერთაშორისო არენაზე, სადაც საერთო მიზნებსა და კონსენსუსს აფასებენ. საქართველოს შემთხვევაში მთავარი კითხვაა, თუ რამდენად აღიქვამს მას მსოფლიო რუსეთის მსგავს მოთამაშედ, რომელსაც უარყოფითი შედეგების მიუხედავად, გამუდმებით საკუთარი მეზობლის საბოტაჟი სურს. ამ პოზიციის ალტერნატივა დაპირისპირებაზე მალლა დადგომა იქნება. ბოლოდროინდელ რუსულ სამხედრო აგრესიასა და კრემლის მიერ განხორციელებულ საქართველოსთვის ზიანის მიყენების ცდებს თუ გავითვალისწინებთ, დაპირისპირებაზე მალლა დადგომა ნამდვილად მტკიცე ნებას საჭიროებს, თუმცა საბოლოოდ ეს საქართველოს სარგებელს მოუტანს. ■

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ

# ტიმანების შეხიზნება 2010



ჯულიან ასანჟი მოერევა თუ მარკ ცუკერბერგი?

გიორგი ცხადაია

ცნობილმა ამერიკულმა ჟურნალმა Time-მა „ფეისბუკის“ დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი მარკ ცუკერბერგი წლის ადამიანად დაასახელა. გადაწყვეტილება ჟურნალის რედაქციამ მიიღო, რასაც მკითხველთა ნაწილის უკმაყოფილება მოჰყვა. საქმე ის არის, რომ მკითხველის აზრის გასაგებად ჟურნალი სხვადასხვა ხერხს, მათ შორის, ონლაინ გამოკითხვებს მიმართავს. ამ გამოკითხვის მიხედვით, პირველი ადგილი კი „ვიკილიქსის“ მთავარმა რედაქტორმა ჯულიან ასანჟმა დაიკავა. ასანჟის ქომაგები იყვნენ არა მხოლოდ ინტერნეტის რიგითი მომხმარებლები და ბლოგერები, არამედ ისეთი ავტორიტეტული სახეებიც, როგორც მაგალითად ჟურნალ Slate-ის რედაქტორი ჯეიკობ ვეისბერგია, რომელმაც განაცხადა, რომ ცუკერბერგისთვის წლის ადამიანის წოდების მინიჭება Time-ის მხრიდან სიმხდალის დემონსტრირება იყო.

სხვადასხვა გამოცემის ვებგვერდებზე უხვად შეხვედებით გაბრაზებული და იმედგაცრუებული მკითხველების კომენტარებს. ისინი მიიჩნევენ, რომ მარკ ცუკერბერგმა ჯილდო დაუმსახურებლად მიიღო. ვარაუდობენ, რომ ასანჟის წლის ადამიანად დასახელება ამერიკის მთავრობას არ მოეწონებოდა, Time კი ამერიკული მეინსტრიმ ჟურნალია. მეორე ვერსიით, ჟურნალს არ სურდა კონტროვერსიული ფიგურის დაჯილდოება, რადგან ამერიკელ მკითხველთა ნაციონალისტურად განწყობილი ნაწილის დაკარგვის შიშშია. არის მესამე ვერსიაც: ცუკერბერგი, რომელიც ბიზნესმენი და მილიარდერია, ამერიკული ოცნების – ჩვეულებრივი ადამიანის თავბრუდამხვევი წარმატებისა და სოციალური მობილობის შესანიშნავი მაგალითია და შესაბამისად, ამერიკელებისთვის უფრო მისაღები ტიპაჟია, ვიდრე ძალაუფლებასთან მებრძოლი

ავსტრალიელი აქტივისტი. Time-ის რედაქციის აზრით, ცუკერბერგი ადამიანთა ცხოვრებაზე ზეგავლენის მოხდენას გააგრძელებს, ჯულიან ასანჟი კი ხუთი წლის შემდეგ, დიდი ისტორიის „სქოლიოდ“ დარჩება. ცუკერბერგის არჩევის გადაწყვეტილებას ამყარებს ისიც, რომ 2010 წელს „ფეისბუკის“ მომხმარებელთა რაოდენობამ ნახევარ მილიარდს მიაღწია, დევიდ ფინჩერის მიერ სოციალური ქსელის დამფუძნებელზე გადაღებულმა ფილმმა კი კომერციული წარმატება და კინოკრიტიკოსების აღიარება მოიპოვა.

Time-ის რედაქციის ერთი შეხედვით მყარ არგუმენტებს მკითხველთა და ჟურნალისტ-

**■ ცუკერბერგსა და ასანჟს გამჭვირვალობის კონცეფცია აშკარად სხვადასხვანაირად ესმით: ცუკერბერგისთვის გამჭვირვალობა ბიზნეს-კონცეფციაა, ასანჟისთვის – პოლიტიკური.**

თა ნაწილის პოზიცია არ შეუცვლია. თუმცა, Time-ის პოზიციის კრიტიკა არამომგებიანია, რადგან ნათელია, რომ ჟურნალმა წლის ადამიანის ტიტულის მფლობელი არა მორალური, არამედ პრაგმატული და სოციოლოგიური კრიტერიუმების გამოყენებით აარჩია. Time-ის არამორალისტურ პოზიციას

მონიშნავს მის მიერ სხვადასხვა დროს არჩეული „წლის ადამიანები“: ადოლფ ჰიტლერი, სტალინი, ნიკიტა ხრუშჩოვი, რიჩარდ ნიქსონი, აიათოლა ჰომეინი და სხვ.

ცალკე საკითხია და, ალბათ, უფრო საინტერესოც, თუ როგორ გამოიყენა ინტერნეტის მიერ მოცემული შესაძლებლობები ციფრული ეპოქის ორმა გმირა: ასანჟმა და ცუკერბერგმა.

ასანჟის შემთხვევაში, ინტერნეტი პოლიტიკური და სამოქალაქო ბრძოლის იარაღი და არა წარმატებული ბიზნესის წამოწყებისა და ქონების დაგროვების. იგი მიიჩნევს, რომ ახალი მედიის მიერ საზოგადოებრივ დისკურსში გამოთავისუფლებული სივრცის ათვისება სამოქალაქო მიზნებისთვის უნდა მოხდეს, რამაც საბოლოო ჯამში, უფრო გამჭვირვალე პოლიტიკურ ინსტიტუტებამდე და საჯარო სივრცემდე უნდა მიგვიყვანოს. ცუკერბერგს, მისგან განსხვავებით, პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებს და ცდილობს, ყველაფერს პრაგმატული ბიზნეს და ტექნოლოგიური გადმოსახედიდან შეხედოს. ბიზნეს გადმოსახედი იმას გულისხმობს, რომ ცუკერბერგისთვის მთავარი წარმატებული კომპანიის შექმნაა. არ უნდა მოგვატყუოს იმ ფაქტმა, რომ ცუკერბერგი „ფეისბუკის“ განვითარების ადრეულ ეტაპზე ერიდებოდა სოციალური ქსელის ვებსაიტზე რეკლამების განთავსებას. მისი საბოლოო მიზანი წარმატებული ბრენდის და მოდელის შექმნა იყო და არა ხალხის პოლიტიკური ან სამოქალაქო აქტივობის გაზრდა. მიუხედავად ამისა, „ფეისბუკი“ მაინც იქცა პოლიტიკურ მექანიზმად. თუმცა ხალხის ორგანიზების შესაძლებლობა, ინფორმაციის სწრაფი გავრცელება და მისიერი კავშირების დამყარება – ეს თვისებები უფრო ინტერნეტის, როგორც ასეთის დამსახურებაა, ვიდრე კონკრეტულად „ფეისბუკის“.



ცუკერბერგსა და ასანჟს გამჭვირვალობის კონცეფცია აშკარად სხვადასხვანაირად ესმით: ცუკერბერგისთვის გამჭვირვალობა ბიზნეს-კონცეფციაა, ასანჟისთვის – პოლიტიკური. ასანჟს მიაჩნია, რომ გამჭვირვალობა საჯარო პოლიტიკური სივრცის აუცილებელი პრინციპია, რომლის უგულვებლყოფაც აუცილებლად ინვესტის ხელისუფალთა უკანონო ქმედებასა და გადაცდომებს. ცუკერბერგისთვის კი გამჭვირვალობა მხოლოდ სოციალურ გარემოში არსებობს, სადაც ინდივიდებმა ერთმანეთს თავიანთი პირადი ცხოვრების დეტალები უნდა გაუზიარონ. ცუკერბერგი აღიარებს, რომ „გაზიარებას“ და „ანონიმურობას“ შორის მისთვის გაზიარება უფრო მეტად მნიშვნელოვანი ღირებულებაა. ცუკერბერგი „ფეისბუკის“ მომხმარებელთა გამჭვირვალობით მილიონებს შოულობს: დიდ კომპანიებს პოტენციურ მყიდველზე დემოგრაფიულ და პირად მონაცემებს აწვდის.

ცუკერბერგს აქვს პრეტენზია, რომ საზოგადოების ინტერნეტში ასახვა შეუ-

ძლია. „ფეისბუკი“ ხომ სოციალური სამყაროს ვირტუალურ განზომილებაში გადატანის მცდელობაა. ცუკერბერგი თვლის, რომ „ფეისბუკზე“ დამეგობრებით ადამიანებს აახლოებს. მისთვის დამეგობრების პროცესი მარტივი ტექნიკური ტერმინით გამოიხატება: „შეერთებით“. შეერთების თვალსაზრისით, „ფეისბუკი“ მართლაც ხელს უწყობს ახალი ნაცნობების შექმნას (მხოლოდ მათთვის, ვინც უცნობების მეგობრებში დამატებას არ ერიდება) და ზოგ შემთხვევაში, თანამოაზრეების პოვნასაც, მაგრამ „მეგობრობის“ თვალსაზრისით, იგი შლის გახსნილობისა და ინტიმურობის დონეებს შორის სხვაობას. „ფეისბუკის“ მომხმარებელი ერთნაირად საჯაროა უახლოესი მეგობრისთვისაც და უცნობისთვისაც. ის გიბიძგებს, ვირტუალურ სივრცეში ან ყველას მიმართ ერთნაირად გახსნილი იყო, ან – ერთნაირად ჩაკეტილი.

ასანჟს, ცუკერბერგისგან განსხვავებით, ადამიანების პირად ცხოვრებაზე გავლენის მოხდენა არ სურს. მას საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ინტერნეტში ასა-

ხვა უნდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცუკერბერგის მიზანი ადამიანის საზოგადოებისა და ძალაუფლების ინტერესების მიხედვით შეცვლაა (პირადი ცხოვრების მეტი გამჭვირვალობა), ასანჟისთვის კი პირიქით – ძალაუფლების შეცვლა ადამიანის ინტერესების დასაკმაყოფილებლად (კომპანიებისა და მთავრობების გამჭვირვალობა).

Time-ის გადაწყვეტილებაზე დავას, როგორც შეეთანხმებით, აზრი არ აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი თავად მკითხველის და ინტერნეტის მომხმარებლების გადაწყვეტილება იყო, რომლებმაც ჯულიან ასანჟი ერთ თვეზე ნაკლებ დროში (გამოკითხვის მიხედვით) წლის ადამიანად აქციეს. ამ ფონზე აშკარაა, თუ რამდენად აქვთ ადამიანებს სურვილი, ინტერნეტი სწორედ ისეთ ვირტუალურ პლატფორმად იხილონ, რომელიც მეტ ყურადღებას „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ დაბალანსებას დაუთმობს და არა მათი პირადი ცხოვრების და პირადი ინფორმაციის ხშირად გაუთვალისწინებელ და გაუფრთხილებელ გამომზეურებას.

# ქინდლიან ფაისბუქამდე



2010 წლის 5 ყველაზე მნიშვნელოვანი ტექნოლოგია საქართველოსთვის.

ნიკო ნერგაძე

წლის ყველაზე მნიშვნელოვანი თუ საინტერესო ტექნოლოგიების ჩამონათვალს ინტერნეტში ბევრგან ნახავთ. ასე რომ, თუ გლობალური მასშტაბით ყველაზე კარგების ნახვა გინდა, მაშინ დაგუგლე. ჩვენ კი, მოდი, აქცენტი საქართველოზე გავაკეთოთ. 2010 წლის ტექნოლოგიის რა მიღწევები იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის? აი, ჩემი სუთეული:

### 5. AMAZON KINDLE 3

**რა არის ეს?** ელექტრონული წიგნების საკითხავი მოწყობილობა – იგივე რიდერი. ლეპტოპებისგან და „აიპედის“ მსგავსი მოწყობილობებიდან განსხვავდება იმით, რომ განსაკუთრებული ეკრანი აქვს, რომელიც კითხვას უფრო სასიამოვნოს ხდის. ასევე, ამათგან განსხვავებით, რიდერი წიგნის კითხვის გარდა ბევრი არაფრისთვის გამოდგება. Kindle 3 მუსიკასაც უკრავს და იდეაში, ინტერნეტშიც შეუძლია შესვლა, მაგრამ ამას „აიპედზე“ ბევრად უარესად აკეთებს. მსგავსი ხელსაწყოები, დიდი ხანია, არსებობს და ყოველ წელს იხვეწება და იაფდება. Kindle 3 ფასისა და ხარისხის კომბინაციით ყველას სჯობს.

**რამდენად შეგვეხოს სიახლე?** თუ წიგნის კითხვა არ გიყვარს, არ შეგხვება. თუ კითხულობ, მაშინ ძალიანაც მნიშვნელოვანი სიახლეა. მართალია, Kindle 3 რევოლუციური პროდუქტი არ არის, უბრალო გაუმჯობესებაა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ძალიან მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა. რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, გაიფადა და ბარათზე 250 ლარი თუ გაქვს, ორ კვირაში სახლში მოგიტანენ. გაიფადა იმისა, რომ უფრო მეტი მეკობრეული ელექტრონული წიგნი ჩნდება ინტერნეტში. ეს, ცხადია, მე და შენ არ გვეხება, ჩვენ ხომ ყველაფერში ფულს ვიხდით და MP3-ების ის რამდენიმეგაბაიტის კოლექციაც სულ ლეგალური გზითაა ნაშოვნის, მაგრამ მაინც...



### 4. 3D

**რა არის ეს?** მაინცდამაინც წლებიანდელი ტექნოლოგია არ გახლავთ, მაგრამ სწორედ 2010 გახდა სამი განზომილების წელიწადი. „ავატარის“ წამოწყებამ კინოთეატრებიდან უფრო მცირე ზომის ეკრანებზე გადაინაცვლა. სამგანზომილებიან ტელევიზორებზე ფასები დაეცა და მათ ელექტრონიკის ყველა მსხვილ მალაზიაში ნახავთ. ამბობენ, კარგადაც იყიდებაო. წელს გამოჩნდა მობილური ტელეფონები სამგანზომილებიანი ეკრანით – მართალია, ჯერ მხოლოდ რამდენიმე მცირე ბაზარზე იყიდება, მაგრამ მალე ჩვენთანაც შემოვა.

**რამდენად შეგვეხოს სიახლე?** გააჩნია. ამ კატეგორიაში ბევრი განსხვავებული პროდუქტი მოხვდა. ზოგმა უკვე მოახდინა გავლენა, ზოგი – მერე მოახდენს. თუ კინოში დადიხარ და ანიმაციური ფილმები გიყვარს, 3D სათვალეს უკვე მიეჩვიედი. თუ სახლში გინდა გამოსახულების სამ განზომილებაში ნახვა – აქ საქმე უფრო რთულად არის. 3D ტელევიზორები წინანდელთან შედარებით გაიფადა, მაგრამ ჯერ მაინც ათასი დოლარის ღირებულება და სპეციალური სათვალეების ფასი – ასე, 70 დოლარი. კი, საახალწლოდ ბევრ მოდელს სათვალე მოჰყვება, მაგრამ რა, მარტომ უნდა უყურო? მოკლედ, თუ არ გეძვირს – გილოცავ და მშურს. თუმცა აქ ფასი მთავარი პრობლემა არ არის – მალევე დაეცემა საგრძობლად. საკითხავი ის არის, რას უნდა უყურო სამ განზომილებაში? დღეს არჩევანი უკიდურესად მწირია – თუ ტელევიზორის ყურება გინდა, GlobalTV-ს აქვს ერთი 3D არხი სატელეკომუნიკაციო რეჟიმში და სულ ესაა.

### 3. ანდროიდი 2.2 და ანდროიდი 2.3

**რა არის ეს?** „გუგლის“ მიერ მობილური ტელეფონებისათვის შემუშავებული ოპერაციული სისტემის ბოლო ორი ვერსია. კონკურენციას უწევს „ფელის“ iOS-ს და „მაიკროსოფტის“ Windows Phone 7 -ს. „ფელის“ პროდუქტისგან განსხვავდება იმით, რომ ანდროიდის ნახვა ბევრ სხვადასხვანაირ ტელეფონზე შეიძლება – ყველაზე კარგები HTC-ს, Samsung-ის და Motorola-ს მოდელზეა. (iOS მხოლოდ „აიფონით“ შემოიფარგლება.) ანდროიდის საბაზრო წილი ყოველკვარტალურად იზრდება და ბევრის აზრით (მათ შორისაა „ფელის“ თანადამაარსებელი, სტივ ვოზნიაკი) მალე წამყვანი მობილური ოპერაციული სისტემა გახდება.



**რამდენად შეგვეხოს სიახლე?** მობილური ტელეფონები, კარგა ხანია, რაც მხოლოდ ტელეფონები აღარ არის. ისინი წელ-წელა ანაცვლებენ იაფიან ციფრულ კამერებს, პერსონალურ აუდიო თუ ვიდეო პლეერებს და მსგავსებს. შეხვალ ელექტრონიკის მაღაზიაში, მოგეჩვენებ 3D ტელევიზორი და იქვე, მობილურში შეამონებ, თუ რა ფასად ყიდის კონკურენტი მაღაზია (ეს თეორიულად. უფრო სავარაუდოა, ნახო, თუ რამდენად უფრო იაფია „ამაზონზე“ და გული დაგწყდეს). მოკლედ, მობილური ტელეფონები მნიშვნელოვანია. მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში, უმეტესობას, ალბათ, „ანდროიდიანი“ ტელეფონი გვექნება. ჰოდა, შეგვეხოს, არა?

### 2. ახალი საკაბელო ტელევიზიები

**რა არის ეს?** სათაური მთლად ზუსტი არ არის, მაგრამ სათაურად SilkTV-ს დანერგა არ მინდოდა. ნამეტანი რეკლამა გამოვიდოდა. ესაა სერვისი, რომელიც საშუალებას გაძლევს, დააპაუზო და უკან გადაახვიო ნებისმიერი სატელევიზიო პროგრამა. ეს ტექნოლოგია მსოფლიოში უკვე რამდენიმე წელია არსებობს, ჩვენთან კი 2010-ში გამოჩნდა. დღეს მსგავსი



სერვისი მხოლოდ Silknet-ს აქვს, თუმცა Caucasus Online-ის ანალოგიც უკვე სატელეკომუნიკაციო რეჟიმშია და მომავალ წელს სრულად ჩაირთვება.

**რამდენად შეგვეხოს სიახლე?** დაპაუზება და უკან გადახვევა შეიძლება, დიდ ვერაფერ შვილად მოგეჩვენოს, (მეც ეგრე ვიყავი) თუ საქმეში არა გაქვს ნანახი. ნარმოიდეგინე, რომ „ენტევე პრემიერაზე“ ან რამე მსგავსზე გადართე და შუა ფილმში მოხვდი. საინტერესო ჩანს. აჭერ ხელს მენიუს, ნახულობ სატელევიზიო პროგრამას და რამდენიმე წამში ფილმს თავიდან უყურებ. არ არის ფილმი საინტერესო? ნახე, მაგის წინ რა იყო ეთერში და ის ნახე. „ჯეოსტარი“ გიყვარს და სტუმრები ყურებაში ხელს გიშლიან? გაუშვი სახლებში და მერე უყურე. თან გზად რეკლამებსაც გადაახვევ.

### 1. FACEBOOK MESSAGES.

**რა არის ეს?** „ფეისბუქის“ უკიდურესად მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც საიტმა წელს შემოიღო, მესიჯები, ჩეტი და იმილია ერთ ფანჯარაში. მომხმარებელს შეეძლება @facebook.com-ის მისამართიანი ელექტრონული ფოსტის გახსნა. ამ მისამართით „ფეისბუქის“ მომხმარებლებს შეეძლება იმათთან ურთიერთობა, ვინც ამ საიტით არ სარგებლობს (ბევრი დარჩა ნეტა ასეთი?). „ფეისბუქი“ სიახლეს წელ-წელა ნერგავს და მომხმარებლების უმეტესობას მას, ალბათ, რამდენიმე თვის განმავლობაში ნახავს.



**რამდენად შეგვეხოს სიახლე?** ჯერ არ გვინახავს, მაგრამ უახლოეს ხანებში ძალიანაც შეგვეხება. მარკ ცუკერბერგი ამბობს, რომ „ფეისბუქზე“ დღეში 4 მილიარდი მესიჯი იგზავნება. რამდენიმე თვეში, როდესაც მომხმარებლების დიდ ნაწილს ექნება მესიჯების ახალი ფუნქცია, ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ცუკერბერგი ამბობს, რომ ცდილობს კომუნიკაციის ახალი პლატფორმა შექმნას, რომელიც იმიელს ჩაანაცვლებს. ვნახავთ, გამოუვა თუ არა (ალბათ, ჯერ არა), მაგრამ ძალიან საკამათო არ უნდა იყოს, რომ მესიჯების ახალი სისტემა კიდევ უფრო დამოკიდებულს გაგვხდის „ფეისბუქზე“.

PS. მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური სიახლეების დასავლური ჩამონათვალის უმრავლესობის სათავეში „აიპედს“ ნახავთ. აქვე სადმე აუცილებლად იქნება ნახსენები Microsoft Kinect-იც. ჩვენთან არც ერთი მოხვდა და არც მეორე. მგონია, რომ საქართველოსთვის ეს სუთეული უფრო მნიშვნელოვანია. თუ სხვა აზრი გაქვთ, სწორედ მაგისთვისაა „ლიბერალის“ საიტზე კომენტარების ფუნქცია... [X]

# დიდი მანაჰჯები ახს-ინფრასიის ფონზე



2010 წელი: მეტი სანახობა, ნაკლები პური და „მდგრადი“ საოპერო ტურიზმი.

დავით ბუხრიკიძე



„სიყვარულის ქანდაკება“, ბათუმი 2010.

ფოტო: რაქალი ძეგლაძე

შესაძლოა, დამცინავად ჟღერს, მაგრამ პოლიტიკურად მშვიდ, თუმცა მყიფე და ფინანსურ კრიზისში მყოფ საქართველოში, 2010 წელს ბევრად უფრო საინტერესო და სიახლის პრეტენზიით გაცხადებული კულტურული ამბავი მოხდა, ვიდრე 2008 წლის ოკუპაციამდე. იმდენად, რომ გასული წლის არტ-მრავალფეროვნება შევარდნაძის ეპოქის, უფრო ზუსტად, „ზასტის“ დროინდელ კულტურტრეგერსა თუ თეატრალს შემურდებოდა კიდევ...

ეს ომგადატანილი ქვეყნის ახალ, იმ-პროვიზირებულ სტრატეგიას ჰგავს, რომელიც შინ იარების მოშუშებას და დაფინანსებას გულისხმობს, ხოლო საზღვარგარეთ – ჩვენი დიდი კულტურული ისტორიული წარსულის შესხენებას და რეპრეზენტაციას. თანაც ამგვარი მიდგომა თანამედროვე და „მდგრადი“ ეკონომიკური განვითარების ტურისტულ სტრატეგიაშიც ჯდება. გასული 2010 წლის კულტურული კალენდარი კლასიკური საოპერო წრედივით შეიკრა: წლის დაწყება ახალ წელს სახელოვანმა ესპანელმა ტენორმა ხოსე კარერასმა ბათუმის „პიაცაზე“ გამართული კონცერტით გვამცნო, ხოლო ლამის დასასრული – უფრო სახელოვანმა პლასიდო დომინგომ 25 ნოემბერს, იმავე „პიაცაზე“; მომხიბვლელი ქართველი საოპერო დივებისა და პაატა ბურჭულაძის გარემოცვაში.

ამ პროლოგსა და ეპილოგს, ანუ ორ პომპეზურ საოპერო კონცერტ-კიჩს შორის მოქცეულია მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენები, რომლებიც მესხიერებაში, ყველაფრის მიუხედავად, რჩება. მაგალითად, ახლად ფეხადგმული და მერიის მხარდაჭერით ნახალისებული საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ოქტომბერში და მუდამ გადარჩენის ზღვარზე მყოფი თბილისის კინოფესტივალი „პრომეთე“, რომელიც წელს მეთერთმეტედ გაიმართა. კინომანებს ეს ფესტივალი ალბათ, ოთარ იოსელიანის „მანტრაპას“ წარუმატებელი ჩვენებით, რუსუდან პირველის შესანიშნავი დებიუტით (მთავარი პრიზი – „ოქროს პრომეთე“) და მსახიობ გრეტა სკაკის ვიზიტით დაამახსოვრდებათ. „პრომეთეს“ ორგანიზატორებს კი მუდმივი თავისტიკვილით – სად მოვიძიოთ ფული? ფესტივალის ბედი ამჯერადაც ბენჯზე ეკიდა და მხოლოდ ბოლო დღეებში მოიპოვეს მინიმალური 100 ათასი ლარი...

სამაგიეროდ, სტაჟიანი და კარგად განვრთნილი კომპანია „ისტერნ-პრომოუშენის“ მიერ ორგანიზებული წლევიანდელი ჯაზფესტივალი უპრობლემოდ და ხარისხიანი გამოდგა. შეიძლება იმითომაც, რომ კულტურის მინისტრს ჯაზი ყველაზე მეტად უყვარს და მფარველობს კიდევ. ლამის მთელ საქართველოს მო-

დებული ფოლკლორული ფესტივალის, „ჩვენებურები“ ფინალი წელს სვანეთში, კერძოდ, მესტიამი ჩატარდა და როკისა და ფოლკლორის მოულოდნელი შერწყმით გამოირჩეოდა.

თავის დროზე, ჯანსუღ კახიძის მიერ დაარსებული კლასიკური მუსიკის ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ და თელავში, ელისო ვირსალაძის მიერ აღორძინებული, ასევე კლასიკური მუსიკის ფესტივალი (რომლის ადრინდელი სახელწოდება „ქება ვაზისა“ ნამდვილად მომგებიანად ჟღერს), ერთმანეთს კარგად ავსებენ. მცირე ფორმატის თეატრალური წარმოდგენების ფესტივალი სამეფო უბნის თეატრში („არდი-ფესტი“) და თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვანი ფორუმი თბილისში (უკვე მესამედ, სახელწოდებით „არტისტერიუმი“) ძველი თბილისის ქუჩებში სასიამოვნოდ და მოულოდნელად ერთიანდებოდა.

შემოდგომაზე, რეზო გაბრიაძემ, სამწლიანი პაუზის შემდეგ, განახლებული და ლამის უკვე დაფინანსებული მარიონეტების თეატრი და საოცარი, დახრილი არტ-კოშკი ერთდროულად „აკურთხა“. ამ მოვლენას „ლიბერალმა“ ვრცელი რეპორტაჟი უძღვნა, ამიტომ აღარ ჩავუღრმავდებით დეტალებს... თუმცა ვიდრე შავთელის ქუჩამდე მიაღწევთ, სადაც ანგელოზიანი კოშკი და თეატრი მდებარეობს, განახლებული პატარა მოედნისა და ჯერ კიდევ გადათხრილი ქუჩების ერთდროული გავლა მოგიწევთ. ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროექტს კულტურის სამინისტრო და ქალაქის მერია ერთიანი ძალებით განახორციელებენ... განსაკუთრებული „თავგანწირვა“ ოქტომბრის ბოლოს, „თბილისობის“ დღეებში იგრძნობოდა, თუმცა არქიტექტორების და ექსპერტების ნაწილი აბანოთუბანსა და კალის უბანში განხორციელებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს ეჭვის თვალთ უყურებს და მას „სტერილურსა და შეუსაბამოს“ უწოდებს... მაგრამ ეს უფრო კონკრეტული განხილვისა და ანალიზის საგანია.

სამინისტრო კულტურული პროექტების ევროპაში გატანასა და პროექტების შეფუთვაზე, კარგა ხანია, იდეოლოგიური



ფოტო: მარიამ შორიაშვილი

ქრისტინა სქოთი თბილისის საერთაშორისო ჯაზფესტივალზე, ოქტომბერი 2010

დატვირთვით მუშაობს. ეს, ერთი მხრივ, ამარტივებს საგარეო პრიორიტეტების ნუსხას, პოლიტიკას, მის საქმიანობას და მეორე მხრივ, ართულებს ფინანსურ გამჭვირვალობას. ამავე დროს, კულტურის პოლიტიკა და სწრაფად ცვალებადი პრიორიტეტები კვლავ ამოუხსნელ რეზუსად რჩება მედიისათვის. არადა, კულტურა ტურიზმთან ერთად, ომის-შემდგომი საქართველოსთვის მთავარ პრიორიტეტად რჩება.

მეტად რომ არ გავეხვიოთ კულტურული პოლიტიკის ბურუსში, თეატრალურ სივრცეს დაეუბრუნდეთ. 2010 წელს, უკვე მეორედ, მთავარი თეატრალური პრემია „დურუჯი“ (ხელოვნების სფეროში დანერგული ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური ფულადი ჯილდო, 20 000 ლარი) დიდი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. „წლის საუკეთესო რეჟისორულ ნამუშევარზე“ პრეტენზიას ხუთი ნომინანტი აცხადებდა. მთავარი ინტრიგა მიანიც

რობერტ სტურუას („ბიდემანი და ცეცხლის წამკიდებელი“) დავით დოიაშვილსა („მაკბეტი“) და გოგა თავაძეს („ბანანისა და კომისი პუდინგი კონიაკითა და რომით“) შორის გამარჯვებულის გამოვლენა იყო. ჟიურიმ გამარჯვებულად დავით დოიაშვილი დაასახელა (თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი).

წლის თეატრალურ მოვლენად რჩება ჯორჯო სტელერის ისტორიული სპექტაკლი „არლეკინი, ორი ბატონის მსახური“ თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე. ლეგენდარული მსახიობის ფერუჯო სოლერის მონაწილეობით. ისევე, როგორც ორი გრძელმეტრაჟიანი „ჰამლეტი“ პატარა, მაგრამ დიდი თეატრალური ტრადიციებით მდიდარი ლიტვიდან. ერთი „მჭმუნვარე მეტაფორების“ დიდოსტატმა, ნეკროპუსმა დადგა, მეორე – სიმონისეული ექსპერიმენტითა

და ელექტრომუსიკით „ალჭურვილმა“ კორმუნოვასმა.

ფესტივალს მიღმა მშვიდი თეატრალური სეზონი თვლემდა. იყო გამოფხიზლების პერიოდებიც; მაგალითად, თეატრალური უნივერსიტეტის სამსახიობო ჯგუფის ხელმძღვანელმა, რეჟისორმა გიზო ჟორდანიამ რაზუმოვსკაიას, ცვაიგის, შილერის და ბრუკნერის ტექსტის მიხედვით დადგა ქრონიკისა და ფსიქონალიზის სინთეზი – სპექტაკლი „მარად თქვენი ტყვე“, მარიამ სტიუარტის ტრაგიკული ისტორიის შესახებ. ამავე თეატრში დათა თავაძე მარიუს ფონ მაიენბურგის „მახინჯს“ მკაფიო ქორეოგრაფიულ ფორმას უძებნის. ახალი თაობის, ალბათ, ყველაზე საინტერესო რეჟისორმა მაკა ნაცვლიშვილმა კი „არდი-ფესტის“ ფავორიტი პიესა „საპნის ოპუსი“ დადგა (ავტორი დავით გაბუნია).

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარე-



ფოტო: ირაკლი მსულაძე

პაატა ბურჭულაძე, პლასიდო დომინგო და ქეთევან ქემუკლიძე ბათუმში, „პიატაზე“, ნოემბერი 2010

ბის ფონდის ორგანიზებით უკვე მესამედ ჩატარდა პიესების კითხვა-კონკურსი. საუკეთესოთა შორის ჟიურიმ ლამაზულადის „პრეზიდენტს ხალიჩაში ახვევენ“ და ოთარ ქათამაძის „აივანი“ დაასახელა. გარდა ამისა, სპეციალურად მოწვეულმა მსახიობებმა თამარ ბართაიას, ბასა ჯანიკაშვილისა და ლალი კეკელიძის პიესები წაიკითხეს. თუმანიშვილის სახელობის თეატრში ქეთი დოლიძემ, ერთ დროს ბროდვეის თეატრში პოპულარული, ჯორჯ კაუფმანი-სა და ედნა სერბენის „სამეფო ოჯახი“ გააცოცხლა. მარჯანიშვილის თეატრის „სხვეწზე“ ბესო კუპრეიშვილმა ნამდვილი ავანტიურა ჩაიფიქრა: დანიის პრინცის ამბავს სპექტაკლში სახელწოდებით „ჩემი ჰამლეტი“ მთავარი როლის შემსრულებელი ქეთი ცხაკაია (ჰამლეტი) და თოჯინები გვამცნობენ.

წლის ბოლოს ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა დიდ საკონცერტო

დარბაზში კონცერტი გამართა. „სუხიშვილები“ მაყურებლის წინაშე ახალი პროგრამით წარდგნენ და თექვსმეტი ცეკვა წარადგინეს. ერთ-ერთი სიახლე „ხორუმის“ პოსტმოდერნისტული ვერსიია, რომელსაც 70 მოცეკვავე ასრულებს. საახალწლო პროგრამისათვის ახალი საცეკვაო კოსტუმები შეიკერა, რომლის ესკიზებიც თავად ნინო სუხიშვილმა შექმნა.

ბათუმი ერთდროულად „ოპერისა“ და „სიყვარულის“ ქალაქად იქცა. ამიტომ არავის გაკვირვებია, რომ „სიყვარულის ქანდაკება“ გაიხსნა. საზეიმო ცერემონია „ნორჩ გენიოსად“ მონათლული პიანისტის – ბექა გოჩიაშვილის კომპოზიციების ფონზე მიმდინარეობდა. ქალისა და მამაკაცის მოძრაობა ქანდაკება, რომელიც ფოლადისგანაა ჩამოსხმული, ბათუმის სანაპიროზე, ქალაქის შემოსასვლელში დაიდგა. შვიდმეტრიანი სკულპტურა 8-10 წუთის ინტერვალით

მოძრაობს. მისი ავტორი ამერიკაში მცხოვრები მოქანდაკე თამარ კვეციანაა. მუდმივი მოძრაობის, სიყვარულისა და ერთიანობის გამომხატველი სკულპტურა პირველად 2007 წელს ვენეციის „ბიენალეზე“ იყო წარმოდგენილი და მოწონება დაიმსახურა.

„დიდი მანევრები“ ისევ ოპერით დასრულდება: ბათუმში ჩამოსვლას ცნობილი იტალიელი უსინათლო მომღერალი ანდრია ბოჩელი გეგმავს, რომელიც მსმენელს ცნობილ ჰიტებს შესთავაზებს. ბოჩელისთან ერთად საახალწლო ღამეს ბათუმში ქართველი ვარსკვლავებიც იმღერებენ და ცხადია, მათ შორის, სოფო ნიჟარაძეც იქნება. ბოჩელის, როგორც კლასიკური და პოპ-მუსიკის შემსრულებელს, მუსიკალურ სამყაროში ლუჩიანო პავაროტის გვერდით მოიხსენიებენ. მან ძალიან ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ ადამიანებისათვის კლასიკური მუსიკა ცხოვრების ნაწილად ექცია.

# "მხვდელის ჰიბიანა"



კაცების მიერ ჩადენილი კრიმინალი და მკვლელობები ბევრად უბრალოდ და უინტერესოდ გამოიყურება ამგვარ სოციალურ მკვლელობებთან შედარებით

რატი ამალაშვილი

ალბათ, ხშირად მოგვისმენია, ან შევსწრებივართ, ან სულაც თავად ვყოფილვართ მონაწილენი ისეთი თავყრილობის და საუბრის, რომელიც მხოლოდ სხვებს ეხება; ძირითადად მათ, ვინც სხენებულ თავყრილობაზე არ არის, ან შეიძლება, მალე მოვიდეს. ამ დროს რომელიმე ჩვენი ნაცნობი უნებლიეთ გამხდარა დიდი გარჩევის, ანალიზის, დახასიათებისა და თავიდან ფეხებამდე განხილვის საგანი.

მაგალითად აი ასე: – „...ან რა აცვია, პროსტა, ტიპს, რას გავს! – ნუ იტყვი, ნუ, – ვერ ხვდება ხო? ვილაცამ იქნებ უთხრას... ჰაჰაჰა, ჰიჰიჰი...“ ეს ყველაზე უწყინარი ალუზიებია ადამიანთა ყოველდღიურობაზე. ბევრად მძიმე, ცინიკური და ზიზლით აღსავსე შეფასებები ამოიზიდება ხოლმე მოსაუბრეთა სიღრმეებიდან. ეს პირველყოფილი და უმიზეზო ზიზლი, თანდათან ძალას იკრებს, ზვირთდება. ხშირად გაავეებამდე და ყვირილამდეც კი მისულა: „დამპალი ეგ, ვის უბედავს, პროსტაააა!“ უხერხულობის მწვერვალებს კი მაშინ შემო-



ეცლება ნისლის საბურველი და მთელი სიცხადით გამოჩნდება, როდესაც უცებ რომელიმე კაფის კარები გაიღება და განსჯის ობიექტი შემოაბიჯებს ამაყად და ღირსეულად, საკუთარი მეგობრების სივრცეში. აი, ფარისევლობა მაშინაა სანახავი, რამდენიმენამიანი დაბნეულობის შემდეგ, ზიზლისა და კვილის უსაზღვრო ეგზისტენცია-

ოქრო?“. თავხედობა აქამდეც შეიძლება სრულიქმნას: – „შენზე ვლაპარაკობდით ზუსტად, მოგვენატრე, ფისო...“ მონატრებული ბებიის სითბოთი შემოგეგებებიან, თუ შემთხვევით თქვენ აღმოჩნდით ის ადამიანი, რომლის ადგილას ნებისმიერი შეიძლება, აღმოჩნდეს. დაზღვეული არავინაა. შესაძლოა, გადაჭარბებული

სიყვარულით უცებ ხელში აგიტაცონ და ტაკოც გამოგბანონ, როგორც ჩვილს: „მოდი, დედა, მოდი!“ თქვენ კი გაოგნებული აცეცებდეთ აქეთ-იქით თვალს. აუცილებლად დაგაბნევთ ეს გენიალობამდე მისული სიყალბე.

კაცების მიერ ჩადენილი კრიმინალი და მკვლელობები ბევრად უბრალოდ და უინტერესოდ გამოიყურება ამგვარ სოციალურ მკვლელობებთან შედარებით, რომელთაც კაცებთან ერთად ქალებიც ბევრად დახვეწილად ჩადიან. სულ ერთი წამით თუ დაეუშვებთ იმას, რომ ადამიანს ეხება ყველაფერი, რასაც მასზე ამბობენ და როგორც მას ექცევიან, მიუხედავად იმისა, იცის თუ არა მან ამის შესახებ, მაშინ ცხადი გახდება ერთი რამ: მსგავსი შეურაცხყოფილი და დამამცირებელი საუბრები, სხვა არაფერია, თუ არა პიროვნების კოლექტიური, ჯგუფური მკვლელობა, რომელსაც კრიმინალური ბანდა ახორციელებს სხვადასხვა მიზეზით. თუ მკვლელი ფიზიკურ სხეულს ართმევს მსხვერპლს, ჩვენი „სოციალური ბანდები“ „განკითხვის“ ობიექტის ღირსებასა

და ინდივიდუალობას ხელყოფენ, ასახიჩრებენ, ხშირად კლავენ კიდეც. რა უფრო მძიმე დანაშაულია, არ ვიცი. ეცადეთ, თავი აარიდოთ რომელიმე ადამიანზე გამართულ ამგვარ „ესქატოლოგიურ“ საუბრებს და თუკი ბევრს შემოგცინიან და „ტაკოს გბანენ“, იცოდეთ, თქვენი სამსჯავრო იყო სულ რამდენიმე წუთის წინ. ■

# ჰოდა, მოყინა



გიო ახვლედიანი

წინა კვირას იმდენი ვწერე, საშობაოდ ამდენი თამაში იქნება, ასე და ასეა, რომ ყოველდღე დიდი ფეხბურთია-თქო, რომ იმ ნაწერიდან მოყოლებული, აგერ გუშინდლამდე, ერთადერთი თამაშია გაიმართა.

მიზეზი, რა თქმა უნდა, დიდთოვლობაა და ეს დიდთოვლობაც უცნაურია, ანუ – ნამდვილი ინგლისური. ფანჯრიდან გადახედავ და თოვლი აღარსად დევს, აეროპორტები კი უსაფრთხოების გამო დაკეტილია. ყველგან ხიფათსა და უზარმაზარ თოვლზეა ლაპარაკი და ძალაუფლებურად ფიქრობ: კი, მაგრამ ნორვეგიაში როგორ ცხოვრობენ? ანდა იმ პირმშვენიერი ციმბირის და მრისხანე ალიასკის ადგილებში რა ხდება?

პასუხი ადვილია და ორნაირი: ერთი, რომ იმ ადგილებში თოვლისთვის მზად არიან, ინგლისის სამხრეთში კი თოვლი გვარინად უცხო ხილია, და ბოლო ორ წელიწადს ლონდონს შემოჩვეული ფიფქობა დიდი განსჯის საგანიც კი გამხდარა, მეორე და უფრო მთავარი კიდეც ისაა, რომ მგონი, არსად იმდენს არ ფიქრობენ ადამიანის უსაფრთხოებაზე, რამდენსაც – ბრიტანეთში. ჩვენთან ამნაირ თოვლში ფეხბურთს თამაშობენ-თქო, ვერ ვიტყვი, იმიტომ რომ ბურთს მგონი, კარგ ამინდშიც დიდად არ დასდევენ, მაგრამ ასე დათოვლილ გზებზე კი მანქანები დადიან და, მგონი, ყოველგვარი ჯაჭვების გარეშე. ეგ იქით იყოს, ჩვენ სიმაგრეს და ამათ ვერსი-მაგრეს კი არ ვანგები, ჩვენი ხინკალია უკეთესი, ამათი – უსაფრთხოება. კიდეც სხვა რამეების შედარებაც შეიძლება, მაგალითად: ინგლისში მთები არ არის, ჩვენთან კი, რამდენიც გინდა, იმდენია. ინგლისს გარშემო ზღვა არტყია, ოღონდ შერუჯვა მაინც ჭირს, თუმცა

კი ზღვა სუფთაა. ჩვენთან ზღვას ზოგჯერ კარტოფილი და რამეები მოაქვს, სამაგიეროდ, „ზაგარი“ გადასარეგია. ინგლისს დედოფალი ჰყავს, ჩვენ მეფეები გვიყვარს და ასე დაუსრულებლად.

მაგრამ მაინც ფეხბურთის საქმეს მივდევთ და თამაშების გადადების მიზეზი ის კი არ იყო, რომ მინდვრებიდან თოვლს ვერ გახვეტდნენ, არამედ ის,



რომ მინის გაყინვის გამო გაქვავებულ ადგილზე თამაში მეტად სახიფათო იქნებოდა ფეხბურთელებისთვის, აი, ბავშვობაში ასფალტზე რომ წავიქცეოდით ხოლმე... ჰოდა, ისევ უსაფრთხოება.

ამასობაში კი, რაც უნდა მოხდეს, საშობაო პირველი ადგილი კვლავაც „მანჩესტერ იუნაიტედს“ ეჭირება ხელში. კვლავაც იმიტომ, რომ ასეთი რამ ბევრჯერ უქნია და მხოლოდ ერთხელ ჩაფლავებია, რომ შობას ჩემპიონი ვერ გამხდარა.

სწორედ ამ დღეებშივე „მანჩესტერის“ მენეჯერს, სერ ალექს ფერგიუსონს ზუსტად ოცდახუთი წელიწადი შეუს-

რულდა, რაც ამ გუნდის სათავეში დგას. ის ფეხბურთელები, რომელთა მწვრთნელიც ის „მანჩესტერში“ მოსვლის დღეს იყო, უკვე თავად არიან მწვრთნელები. შესაშური ამბავია. ერთი შვიდი წლის წინათ, ფერგი ამბობდა, უნდა წავიდეთ, მაგრამ დარჩა. ახლა ამბობს, ეს რა სისულელე ვთქვი მაშინაო. სწორსაც ამბობს. დიდად დაიღვარა ხალხი მისი მილოცვებით; ფაბიო კაპელომ ისიც კი

თქვა, ეგ იმგვარი კაცია, ოცი წლის მეტად უნდა იყოს მწვრთნელად. მძიმე და მყვირალა კაცად იცნობენ, მაგრამ დიდ პატივსაც სცემენ, ვნებით სავსე სკოტია. მის იუბილეს, ბარსელონადანაც კი გაეპასუხნენ, ბარსას პრეზიდენტმა სანდრო როსელმა თქვა, ჩვენი პეპ გვარდიოლა, ფერგის გადაუსწრებს კიდეც ბარსაში მუშაობის ხანგრძლივობით და ტიტულებითო. ღმერთმა იცის, გვარდიოლა მაგარი კაცია, მაგრამ, აბა, რამდენი წელია, რაც მწვრთნელია? ერთი, ორი, სამი, რამდენი? დრო უნდა გავიდეს.

ჰოდა, ზამთარია. მერი ქრისტმას, როგორც ამ მხარეში იტყვიან. ■

# ველოსიკლისტების მანიფესტის მოცოდინში



კაბა თოლორდავა

აჩრდილი დადის თბილისში, ველოსიპედის აჩრდილი. ჩვენი ქვეყნის მთელი ძალები გაერთიანდნენ ამ აჩრდილისათვის ქება-დიდებას მისაგებად: გარემოსდამცველები და უბრალო მოქალაქეები, ეკლესია და პოლიტიკური პარტიები, ახალგაზრდები და ხნიერები, ქალაქის მერი და პრეზიდენტი... უფრო მეტიც, – ველოსიპედი მთელმა დასავლურმა სამყარომაც აღიარა... დროა უკვე, ქართველმა ველოსიპედისტებმა მთელი მსოფლიოს წინაშე ღიად ჩამოაყალიბონ თავიანთი შეხედულებები, მიზნები, მისწრაფებები და ველოსიპედის აჩრდილზე ქალაქში მოარულ ზღაპრებს დაუპირისპირონ თვით ველოსიპედისტების პარტიის მანიფესტი. ამისათვის სულ მალე ქართველი ველოსიპედისტები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეიკრიბებიან ქ. თბილისში, სადაც ისინი შეადგენენ „მანიფესტს“, რომელიც გამოქვეყნდება ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ და აფხაზურ ენებზე. ქვემოთ, სპეციალურად „ლობერალის“ მკითხველისათვის და მათთვის ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად, მოყვანილია ამ შეხვედრაზე განსახილველად მომზადებული აუცილებელი საკითხების (ძირითად დოკუმენტში საკითხები იყოფა ძირითად, მნიშვნელოვან, აუცილებელ და არააუცილებელ კატეგორიებად) ძალიან (ძალიან!) შემოკლებული სია (შეხვედრაზე განსახილველად მომზადებული საკითხების სრული ჩამონათვალის გასაცნობად მიმართეთ „ლობერალის“ მთავარ რედაქტორს, ქალბატონ შორენა შავერდაშვილს).

საკითხები, მათი უკეთ და მოხერხებულად შესწავლის მიზნით, გაერთიანებულია თემატურად. ველოსიპედი და ქალაქური სივრცე: ა) ველოსიპედი ქალაქში მოკლე დისტანციებზე გადაადგილების ყველაზე მოსახერხებელი და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი; ბ) საქართველოს ქალაქების სივრცე ნელ-ნელა უნდა მოერგოს ველოსიპედისტების მზარდი ნაკადის მოთხოვნილებებს; გ) კვირაში ერთი დღე საქართველოს ყველა დიდ და მოზრდილ ქალაქში უნდა გამოცხადდეს „ველო-დღე“; ველოსიპედი და ოჯახი: ა) ველოსიპედი უნდა იდგეს ყველა მოქალაქის ავტოფარეხში და ველოსიპედზე უნდა იჯდეს ყველა მეტ-ნაკლებად ჯანმრთელი მოქალაქე; ბ) დაისაჯოს ყველა მშობელი, ვინც ბავშვს „დედა, ველოსიპედი მიყიდე, რაა!“ მოთხოვნაზე უარს ეტყვის; ველოსიპედი და ხელისუფლება: ა) ქალაქის ახლანდელი და შემდგომი მესვეურები ვალდებული არიან, კვირაში ერთხელ მაინც ველოსიპედით გამოცხადდნენ სამსახურში (დღეების რაოდენობა შეიძლება, გაიზარდოს); ბ) განიხილოს საკითხი მომავალში ქვეყნის პრეზიდენტის დაჯავშნული მანქანიდან ველოსიპედზე გადასმის შესაძლებლობის შესახებ; ველოსიპედი და განათლება: ა) ველოსიპედის სარგებლობის შესახებ განათლება აკენიდანვე იწყება; ბ) მანდატურებს ეკრძალებათ პოტენციურად „მეტა-ლისტი“ ბავშვებისათვის ველოსიპედების საბურავების მალულად დაშვება; ველოსიპედი და მძღოლები: ა) კარგი ველოსიპედისტი მკვდარი ვე-



ლოსიპედისტი არაა!; ს) ველოსიპედისტებსაც უნდა ჰქონდეთ მძღოლების შეგინების უფლება; ველოსიპედი და რწმენა: ა) ველოსიპედის მართვის შესწავლა აუცილებელია ყველა აღმსარებლობის მოქალაქისთვის (ბუდისტებისთვისაც); ბ) ტრავმების თავიდან ასაცილებლად ველოსიპედისტებისათვის აკრძალული უნდა გახდეს მ ა რ თ ვ ი ს დ რ ო ს ეკლესია-მონასტრებთან, მეჩეთებთან, სინაგოგებთან, აშრამებთან თუ სხვა რელიგიურ დაწესებულებებთან (მაგალითად, საეკლესიო მალაზიებთან) ნებისმიერი სახის რელიგიური რიტუალის შესრულება; ვ) ველოსიპედების და აღჭურვილობის კურთხევა დაშვებული უნდა იყოს; ველოსიპედი და სამოქალაქო პროტესტი: რ) ყველა პოლიტიკური პარტიის წევრებს აქვთ ველო-მიტინგების თუ სხვა სახის ველო-საპროტესტო აქციების მოწყობის უფლება; უ) აკრძალულია ველო-აქციებზე წასასვლელად მომზადებული მოქალაქეებისათვის ველოსიპედების მოპარვა; ველოსიპედი და პოლიცია: დ) დიდ ქალაქებში აუცილებელია ველო-პოლიციის დანაყოფების შექმნა; ლ) უნდა შეიქმნას ჩამორთმეული ველოსიპედების საჯარიმო სადგომი; ველოსიპედი და გეი-კულტურა: შეხვედრაზე განსახილველ საკითხებს წარმოადგენს ველოსიპედისტთა კლუბი „გეინავარდება ველოსიპედით“; ველოსიპედი და ეროვნული ტანსაცმელი: ჯ) ველოსიპედზე ჩოხაში დაჯდომა დაშვებულია; ყ) შოტლანდიელი ტურისტებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე აუცილებელია ქვედა საცვლის ტარება; ველოსიპედი და მისი ქართველი პიონერები: ა) დაიდგას პირველი ქართველი ველოსიპედისტების ძეგლი დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში; ველოსიპედი და პროსტატიტი: საკითხს განიხილავს პროსტატის კიბოთი დაღუპული ველოსიპედისტის ბატონ გ.მ.-ს სახელობის ქვეკომიტეტი; ველოსიპედი და ჩინური ენის შესწავლის აუცილებლობა: ამ ეტაპზე შეხვედრა ამ საკითხის განხილვას აუცილებლად არ მიიჩნევა; ველოსიპედი და ქართველი ველოსიპედისტების შესაძლებელი ლოზუნგები: „ველოსიპედისტი ველოსიპედისტის ტყავს არასდროს დახვება!“ „ველოსიპედისტებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით!“



თელავი, ყვარკლი, ლაგოდეხი

FM 105.5

გორი, ქარკლი, ხაშური

FM 103.0

ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედი

FM 104.5

ურეკი, ქოგულეთი, გათუმი

FM 101.0

ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 101.9





**[WWW.LIBERALI.GE](http://WWW.LIBERALI.GE)**

